ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 ივლისი შაბათი 2013
№169 (14 085) ფასი 80 თეთრი

# ისევ სიმსივნე, ვილანოვამ გადადგა!



7

# თქვენ იცით, ბიჭებო!

გია ცეცაძე: მინდა, ევროპას ქართული სახე ვაჩვენოთ




ფოტო: www.gff.ge

2

20 ივლისი. 20:00
საქართველო–საფრანგეთი

## ჩოგბურთელებმა ახალი ისტორია დაწერეს



ფოტო: www.geonoc.org.ge

საქართველოს დელეგაციამ მაჟორულ ნოტაზე დაასრულა გამოსვლა უტრეხტში, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე – გუშინ, შეჯიბრების ბოლო დღეს ძიუდოისტ **გიორგი ძებისაშვილის** (+90) ვერცხლის შემდეგ ჩოგბურთელი გოგოების წყვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს ჩვენი მერვე ჯილდოა, ამდენი კი ანალოგიურ თამაშებში არასოდეს მოგვიპოვებია. ისტორიულ წარმატებას **მარიამ ბოლქვაძემ** და **ანა ახალკაცმა** მიაღწიეს, რომლებმაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რუსები დაამარცხეს.

ამ მაჩვენებლით საქართველო ფესტივალის მონაწილეთა შორის XIII ადგილზე გავიდა, რაც არაა ურიგო შედეგი. თავად ჩოგბურთელებისთვის ეს არაა პირველი საფესტივალო მიღწევა – 2007 წელს, ბელგრადში **ეკატერინე გორგოძე** პირად პირველობაში მესამეზე გავიდა, **ხმიადაშვილთან** ერთად კი წყვილებში გაიმარჯვა.

ქართული დელეგაციის ეს უტრეხტული 8-მედლიანი მონაგარი ხარისხობრივად ასეა გადანაწილებული: 2 ოქრო და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო. ჩოგბურთელთა გარდა, დანარჩენი 7 მედალი ძიუდოისტებზე მოდის, მათ ვინაობას კი მე-11 გვერდზე წაიკითხავთ.

ირაკლი თავაძე

# დინამოს სტიაუა, დილას – პაიდუკი ან ტურნოვო

თუ ჩიხურამ პატარა სასწაული მოახდინა, ჩეხურ სპარტას, ან შვედურ ჰაკენს გადაეყრება





ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრის შედეგები

3

## ლელოს სტუმარი

## დავით ჭოიბაძე

6



1957 წელს გაზეთ „ლელოს" პუბლიკაცია გავუგზავნე, რომელიც რედაქციამ შემოკლებულ ვარიანტად გამოაქვეყნა რუბრიკით - „ეს სასარგებლო" იქნება

# დროა, ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშოთ!

ინტერვიუ გორის დილას გმირ მიხაილ გორელიშვილთან

4



ეროვნული ბიბლიოთეკა

U19

# დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე რვავე ნაკრები კაუნასშია - ჩვენს ჯგუფში მოხვედრილი ყველა გუნდი სასტუმრო "რადისონში" დაბინავდა.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საგანგებოდ საქართველოს 19-წლამდელებისთვის მომზადებული პრეზენტაცია ცნობილმა ბერძენმა მსაჯმა, უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრმა **კიროს ვასარასმა** ჩაატარა – ისევე, როგორც შარშან სლოვენიაში გამართულ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, უეფამ ის ლიტვაშიც მსაჯების დამკვირვებლად მიავლინა.

ვასარასმა ფეხბურთელებს რამდენიმე ახალი წესი და ცვლილება გააცნო და სათამაშო ეპიზოდები მათთან ერთად განიხილა: *"ელიტრაუნდის ჯგუფებს თვალს აქტიურად ვადევნებდი და ძალიან კარგად ვიცი, ევროპის ჩემპიონატამდე როგორი ბრძოლით მოხვედით. ყველა, ვინც შარშანდელ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს ესწრებოდა, ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრები იყო გუნდი, რომელიც არ ლაპარაკობდა და ფეხბურთს თამაშობდა. მე სწორედ ამით დამამახსოვრდით. მინდა წარმატება გისურვოთ და იმედი მაქვს, რომ წლეულსაც ნამდვილ, სამართლიან ფეხბურთს ითამაშებთ".*

შეხვედრით კმაყოფილი დარჩა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია ცეცაძე** და აღნიშნა, რომ გუნდისთვის ეს გასაუბრება ძალიან სასარგებლო იყო. ამის შემდეგ, უეფას ოფიციალური ფოტოსესია მხიარულ ვითარებაში წარიმართა.



ბოლო დღეების ვარჯიშები ცეცაძემ და მისმა შტაბმა მთლიანად ტაქტიკური სქემების დახვეწას დაუთმეს. სასიხარულოა, რომ ლატვიაში ბოლო ვარჯიშზე დაშავებულმა მეკარე **გაბრიელ თებიძემ** ივარჯიშა, რომელსაც სამი დღე წელის ტრავმის გამო გაუცდა.

გუშინ ყველა მონაწილის გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს, 19 საათზე კი "ჯვაროსნებმა" კაუნასის სტადიონზე ივარჯიშეს.

სერბების მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში ეროვნული გუნდის ცნობილმა ფეხბურთელმა **ლუბინკო დრულოვიჩმა** უეფას ვებგვერდთან შანსებსა და მეტოქეებზე ილაპარაკა: *"ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ხუთი მცდელობიდან მეოთხედ მოვხვდით – ჩვენ კარგად ვიმუშავეთ. ევროპის ჩემპიონატზე გასვლა მეტყველებს, რომ ამ თაობას ფეხბურთისთვის აუცილებელი სპორტული და ფსიქოლოგიური თვისებები და შემტევი ფეხბურთისკენ მიდრეკილება გააჩნია. ორი მათგანი, ლაზარ მარკოვიჩი და ალექსანდრე მიტროვიჩი უკვე ეროვნული ნაკრების წევრია. მათთან ერთად, სულ სხვა გუნდი ვიქნებით... სერიოზულ ჯგუფში მოვხვდით. საფრანგეთი ამ ასაკში ყოველთვის ძლიერი იყო. საქართველოსთან ერთი მოვიგეთ, ერთი წავაგეთ და ასევე ღირსეული მოწინააღმდეგეა. თურქები შარშან ლიტვის ტურნირზე 6:3 დავამარცხეთ, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობით არ იყვნენ. ელიტ რაუნდში კი ისეთი გუნდები ჩატოვეს, რომ ცხადია, მათ პოტენციალი გააჩნიათ... ფეხბურთელებს ვეუბნები, ითამაშონ სიხარულით და აჩვენონ, რაც შეუძლიათ, ჩვენი მიზანი კი ნახევარფინალში გასვლაა".*

შეგახსენებთ, რომ დღეს საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებების შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს მე-9 არხი 20 საათზე შემოგვთავაზებს.

**მერაბ მამულაშვილი**



# გია ცეცაძეს ახალი თაობის სჯერა

## მინდა, ევროპას ქართული სახე ვაჩვენოთ

**ბოლო 30 წელიწადია, ფეხბურთი იმდენად პრაგმატული გახდა, თვით ბრაზილიაც კი (რომელსაც დაცვაში ჯდომა სირცხვილად მიაჩნდა) მისთვის უცხო სტილს გაუშინაურდა. ათლეტიზმმა და მოგებაზე დაგეშილთა პრაგმატიზმმა უსახური სქემები გაამეფა. ქართველებმაც საკუთარ ფეხბურთზე უარი ვთქვით და არც დავფიქრებულვართ, საით მივდიოდით.**

**კიდევ კარგი, გამოჩდნენ მწვრთნელები, რომლებიც ლაღ ფეხბურთს ამჯობინებდნენ – გია გეგუჩაძე, გიორგი დევდარიანი, თემურ ფოცხვერია, გია ჭიაბრიშვილი, გელა სანაია... ამ ფეხბურთის მიმდევარია გია ცეცაძეც. მან ჯერ კიდევ გორის "დილას" მთავარი მწვრთნელობისას გამოაჩინა, რომ გუნდს ფეხბურთს ათამაშებდა და მოხდა პატარა სასწაული - გორელი მაყურებელი სტადიონისკენ შემოტრიალდა. ცეცაძემ თავისი შესაძლებლობები ყველაზე სრულად მაინც 19-წლამდელთა ნაკრებში გამოავლინა. მისმა გაწვრთნილებმა ბელგიაში გამართულ ელიტ რაუნდზე ბელგია, შოტლანდია და ინგლისი ჯგუფში ჩატოვეს და ევროპის ჩემპიონატზე გავიდნენ, რომელიც დღეს ლიტვაში დაიწყება.**

**გია ცეცაძეს მზადებაზე და მიზნებზე ველაპარაკეთ:**

- მზადებით კმაყოფილი ვარ, რადგან შეკრება კარგად ორგანიზებული იყო. მშვენიერი ამინდებიც დაემთხვა, სიცხეები არ გვაწუხებდა და მგონია, რომ ლიტვაში კარგ მდგომარეობაში ჩავედით. დანარჩენი ფრანგებთან შეხვედრაში გამოჩნდება.

**- სულ ამბობდით, ქართულმა ფეხბურთმა საკუთარი სახე უნდა წარმოაჩინოსო – ახლა საამისოდ, მშვენიერი სარბიელი გაქვთ.**

- ძალიან ამაღლებული განწყობა გვაქვს, ისეთი, ევროპის ჩემპიონატს რომ შეჰფერის. ცხადია, ბევრად უფრო მოტივირებულები ვართ, ვიდრე ელიტ რაუნდში და შევეცდებით, ერთ ადგილზე არ გავჩერდეთ. საბედნიეროდ, საქართველოში უკვე ისეთი დამოკიდებულებაა, რომ წარმატებად მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას აღარ თვლიან. ჩვენც არ წამოვსულვართ მხოლოდ მონაწილეობისთვის. შევეცდებით, ისეთი ცეცხლი დავანთოთ, თითოეული ქართველის გული რომ გავახაროთ.

სხვათა შორის, ელიტ რაუნდზე წასვლამდეც ეკლესიაში ვიყავით და მამა დავით ქვლივიძემ დაგვლოცა. ახლაც ასე მოხდა.

**- ამ თაობას როგორ დაახასიათებთ.**

- მათ წინა თაობების მაგალითები აქვთ. ძალიან ნიჭიერი ბიჭები გვყავდა, დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს და დაისაჯნენ. ეს ამ თაობისთვის იყო მაგალითი, ნიჭი როგორ არ უნდა გაფლანგო.

არა მგონია, რომ ადრინდელი თაობები ამ შეცდომებს შეგნებულად უშვებდნენ. უბრალოდ, ცუდი დრო იყო, "პირველი მერცხლები" იყვნენ, ქართულ ფეხბურთთან ერთად, დამოუკიდებლად ნაბიჯებს დგამდნენ და ევროპულ ფეხბურთში კარგად გარკვეულები არ იყვნენ. მათ ჩვენზე ნაკლებად კი არ სურდათ დიდი ფეხბურთი ეთამაშათ, მაგრამ გარემომ ხელი ვერ შეუწყო.

ჩემი დიდი სურვილია, 19-წლამდელთა ნაკრებში მოხვედრილმა ბიჭებმა მაინც მიაღწიონ მეტს და საქართველო ასახელონ. ეს ქვეყანას და ხალხს ჰაერივით სჭირდება, მორალურად ფეხზე რომ დადგეს და მოღონიერდეს.

**- წარუმატებლობამ ქართული ფეხბურთის სტილი რადიკალური შეცვალა და "კატენაჩოს" ცუდ ვარიანტზე გადავედით. თქვენ კი სულ იმეორებთ, რომ ბავშვებს ფეხბურთი უნდა ვასწავლოთ და არა ანტიფეხბურთიო. არ ფიქრობდით, რომ ამ სიტყვების გამო, ბევრის საქილიკო გახდებოდით?**

- არ ვნაღვლობდი, თუ რას ფიქრობდნენ პესიმისტები. მათ რომ ვუსმინოთ, ვერასოდეს მოვიგებთ. საერთოდ, ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაშიც არის დარწმუნებული. საერთოდ, რასაც 10 წლის წინათ უსტატუსოდ ვფიქრობდი, იგივეს განხორციელებას შევეცადე ნაკრებში – ნაკრების მწვრთნელები, ფეხბურთელები და მთელი დელეგაცია საქართველოს წარმოვადგენთ. ასეთ დროს, უსახურად თამაშის უფლება არ გვაქვს. საკუთარ პლუსზე, ფინტებსა და ტექნიკაზე უარი როგორ უნდა ვთქვათ? მაშინ ქართული ფეხბურთისგან არაფერი დარჩება.

ფეხბურთი მხოლოდ ფულზე არ დგას და უნდა მოვიშოროთ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელსაც ჯერ გორის "დილაში" ვებრძოდი, ახლა კი – 19-წლამდელთა ნაკრებში. ან რატომ უნდა გვქონდეს არასრულფასოვნების კომპლექსი, როდესაც ძალიან დიდი ფეხბურთელები და გუნდები გვყავდა? არავინ თქვას, რომ 1964 და 1981 წლების "დინამო" ევროპული დონის კლუბი არ იყოო. ამ ორ გუნდს სანაკრებო სარბიელი რომ ჰქონოდა, დარწუნებული ვარ, ძალიან დიდ წარმატებებსაც მიაღწევდნენ.

წინასწარ როგორ ვიტყვი, ევროპის ჩემპიონატიდან რა შედეგით დავბრუნდებით. მაგრამ ჩემი დიდი სურვილი არა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა, არამედ, ევროპისთვის საკუთარი სახის ჩვენებაც არის.

როდესაც "მიხეილ მესხზე" ლატვიაში გასაცილებელი სალამო მოგვიწყვეს, ბევრი ხალხი არ ყოფილა, რადგან ეს ამბავი ყველამ ვერც გაიგო. იმედია, ევროპის ჩემპიონატზე ისეთ შედეგს მივაღწევთ, რომ ჩამოსვლის შემდეგ სტადიონზე ბევრად მეტი მაყურებელი დაგვხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# ლევან ზუბზაია: ხელშეკრულების პირობებს 2011 წელს ყველა დაეთანხმა

რამდენიმე დღის წინათ ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" ერთ-ერთი ხელმღვანელის, **ნიკა ივანიშვილისა** და თბილისის "დინამოს" ყოფილი სპორტული დირექტორის, **ამირან ღიბრაძის** ინტერვიუები შემოგთავაზეთ. მათი განცხადებით, რომან ფიფიამ "დინამოს" საწვრთნელი ბაზა არარეალურად მცირე თანხად შეიძინა, რაც ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბზე წინა ხელისუფლების ზეწოლით იყო გამოწვეული.

ამჟამად ამ თემაზე თბილისის "დინამოს" იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და ტრანსფერების მენეჯერის, **ლევან ზუხბაიას** კომენტარს შემოგთავაზებთ.

"დინამოს" საწვრთნელი ბაზა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე 49 წლის ვადით გადმოეცა საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისს" ჯერ კიდევ 2001 წლის 25 ოქტომბერს, ამავე პერიოდში ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბს ჩაერიცხა 1 მილიონი დოლარი.

იჯარის გადასახადი განისაზღვრა ყოველთვიური გადასახადით 10 000 ლარის ოდენობით, ამ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული იყო ფორმულა, რომლის შესაბამისადაც "დინამოს" ნებისმიერ დროს შეეძლო ბაზის სრულად გამოსყიდვა "საქართველოს ფიზკლულტურულ-სპორტული კლუბი დინამოდან".

ცნობისათვის, ამ ხელშეკრულების შესაბამისად, 2011 წელს "საფეხბურთო კლუბ დინამოს" დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშეც შეეძლო გამოესყიდა ბაზა ფიქსირებულ თანხად, 598 891 ლარად, სწორედ ამ კონტრაქტის შინაარსის გათვალისწინებით და შესაბამისად, მხარეებს შორის 2011 წლის 6 ივნისს დამატებით გაფორმდა ბაზის გამოსყიდვის ხელშეკრულება. მის პირობებს დაეთანხმა "საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი დინამოს" გამგეობის უკლებლივ ყველა წევრი და თავმჯდომარე.

ისე, ძალიან საინტერესოა 2001 წელს ვისი "ზეწოლის" ქვეშ იმყოფებოდნენ "ფიზკლულტურულ-სპორტული კლუბის" მესვეურნი და საერთოდ, რატომ არიან ისინი მუდმივი "ზეწოლის" პოზიციაში", - აცხადებს ზუხბაია.



ლევან ზუხბაია

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა, ევროპის ლიგა. წილისყრა

# დილას გაუმართლა, დინამოს ჩემპიონთა თასის მფლობელი ერგო

უეფას შტაბბინაში გუშინ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა გაიმართა. ჯერ უცნობია, რამდენი ქართული კლუბი მიაღწევს შემდეგ ეტაპამდე, მაგრამ თბილისის "დინამოსა" და გორის "დილას" მიერ წარმატებით ჩატარებულმა პირველმა მატჩებმა საშუალება მოგვცა, მათ მომავალ მეტოქეებზე ვიმსჯელოთ. იმედია, საპასუხო მატჩში საჩხერის "ჩიხურაც" ბოლომდე იბრძოლებს წარმატებისთვის.

ჩემპიონთა ლიგაზე "დინამო" საქმეს, სავარაუდოდ, რუმინულ "სტიაუასთან" დაიჭერს. პირველ შეხვედრაში ბუქარესტელებმა მაკედონიური "ვარდარი" შინ 3:0 გაანადგურეს, რითაც შემდეგი ეტაპისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგეს.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონს გაუმართლა – მართალია, მესამე ეტაპზე განთესილთა შორის ხელწამოსაკრავი გუნდები არ იყვნენ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა, "დინამოს" უფრო სასურველი მოწინააღმდეგე შეხვედროდა. თუმცა ჩვენი ჩემპიონი უშანსოდ მაინც არ არის და დიდი იმედი გვაქვს, სავარაუდოდ, "სტიაუას" ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს და ქართველ გულშემატკივრებს გაახარებს.

რაკი "დინამოს" მეტოქე ბოლომდე არ გარკვეულა, ვრცლად მოგვიანებით ვისაუბროთ. თუმცა რადგან პირველი შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე, თბილისში რუმინელებს ველით, შეგახსენებთ, რომ "სტიაუა" თავისი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია და მიღწევები არც ევროარენაზე აკლია. სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, გასახსენებლად 1986 წელს მოგებული ჩემპიონთა თასიც კმარა.

"დინამოს" ვებგვერდზე გუნდის მთავარი მწვრთნელის, რუმინეთში ნამუშევარი დუშან უჰრინის კომენტარი გამოქვეყნდა: *"სტრეიმურის" ძლევის შემდეგ, ჩვენი გუნდის მომავალი მეტოქე, სავარაუდოდ, "სტიაუა" იქნება. დღევანდელი "სტიაუას" შესახებ მცირე ინფორმაციას ვფლობ. გუნდი წინა სეზონში წარმატებით გამოვიდა ევროპის ლიგაზე. "სტიაუაში", უმეტესად, რუმინელი ფეხბურთელები თამაშობენ. რამდენიმე მათგანი – ლატოვლევიჩი, ნიკოლიჩი, ბორჩანუ, ჩემთან თამაშობდა "ტიმოშოარაში". "სტიაუას" თითქმის ყველა საშინაო მატჩზე ანშლაგია და იმედი მაქვს, მასთან შეხვედრისას "დინამო არენაც" გაივსება. სხვათა შორის, რუმინეთში მუშაობისას "სტიაუასთან" არასდროს წამიგია".*


დუშან უჰრინი: რუმინეთში მუშაობისას "სტიაუასთან" არასდროს წამიგია

## ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

**30/31 ივლისი და 6/7 აგვისტო**

**ჩემპიონთა ჯგუფი**

ბაზელი (შვეიცარია)-დიორი ეტო (უნგრეთი)/მაქაბი თელ ავივი (ისრაელი)

სლიგო როვერსი (ირლანდია)/მიოლდე (ნორვეგია)-ნიუ საინთსი (უელსი)/ლეგია (პოლონეთი)

**სლოვანი (სლოვაკეთი)/ლუდოგორეცი (ბულგარეთი)-შირაქი (სომხეთი)/პარტიზანი (სერბეთი)**

დინამო (საქართველო) /სტრეიმური (ფარერები)-სტიაუა (რუმინეთი)/ ვარდარი (მაკედონია).

აპოელ (კვიპროსი)-ბირკირკარა (მალტა)/მარიბორი (სლოვენია)

სელტიკი (შოტლანდია)/კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)-ელფსბორგი (შვედეთი)/დაუგავა (ლატვია)

ბატე (ბელარუსი)/შახტიორი (ყაზახეთი)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი)/შკენდერბეუ (ალბანეთი)

აუსტრია (ავსტრია)-ეკრანასი (ლიტვა)/ჰაფნარფიორდური (ისლანდია)

ჰიკ (ფინეთი)/ნომე კალიუ (ესტონეთი)-პლზენი (ჩეხეთი)/ჟელეზნიჩარი (ბოსნია)

ფოლა ეში (ლუქსემბურგი)/დინამო (ხორვატია)-შერიფი (მოლდოვა)/სუტიესკა (ჩერნოგორია

**ლიგის ჯგუფი**

ნორდსიელანდი (დანია)-ზენიტი (რუსეთი)

ზალცბურგი (ავსტრია)-ფენერბახჩე (თურქეთი)

პაოკ (საბერძნეთი)-მეტალისტი (უკრაინა)

პსვ (ჰოლანდია)-ზულტე ვარეგემი (ბელგია)

ლიონი (საფრანგეთი)-გრასჰოპერი (შვეიცარია)

გორის "დილას" ჯერ თავი ქუდში არ აქვს, მაგრამ დანიურ "ოლბორგთან": შთამბეჭდავად ჩატარებულმა პირველმა მატჩმა და სოლიდურმა ანგარიშმა **გიორგი დევდარიანის** გუნდს შემდეგი ეტაპისკენ მიმავალ გზაზე, წესით, ხელი ვერაფერმა უნდა შეუშალოს.

"ოლბორგის" მაღალი რეიტინგის გამო, ეს წყვილი განთესილი იყო და შესაბამისად, მაღალი გახლდათ იმის ალბათობა, რომ "დილას" მეტოქედ არცთუ ძლიერი კლუბი ერგებოდა. ასეც მოხდა და გორელები მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში ურთიერთობას ხორვატულ "ჰაიდუკსა" და მაკედონიურ "ტურნოვოს" შორის გამარჯვებულთან გაარკვევენ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა სპლიტში "ჰაიდუკის" გამარჯვებით, 2:1 დასრულდა, ასე რომ, ამ წყვილში ყველაფერი მომავალ ხუთშაბათს გაირკვევა.

თუ "ჩიხურამ" შვეიცარიული "თუნის" ბარიერი გადალახა, ჩეხურ "სპარტასა" და შვედურ "ჰაკენს" შორის გამარჯვებულს შეხვდება. პრალაში ამ გუნდებმა 2:2 ითამაშეს.

## ევროპის ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი

**1 და 8 აგვისტო**

ჩერნომორეცი (უკრაინა)/დაჩია (მოლდოვა)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)/ვესტმანაეიარი (ისლანდია)

სუონსი (ინგლისი)-მალმიო (შვედეთი)/ჰიბერნიანი (შოტლანდია)

სევილია (ესპანეთი)-მლადოსტი (ჩერნოგორია)/სენიცა (სლოვაკეთი)

სენტ ეტიენი (საფრანგეთი)-შახტიორი (ბელარუსი)/მილსამი (მოლდოვა)

ირტიში (ყაზახეთი)/შიროკი ბრიეგი (ბოსნია)-უდინეზე (იტალია)

**პეტროლული (რუმინეთი)/ვიკინგური (ფარერები)-ვიტესი (ჰოლანდია)**

ჰაიდუკი (ხორვატია)/ტურნოვო (მაკედონია)-დილა (საქართველო)/ოლბორგი (დანია)

იაბლონეცი (ჩეხეთი)-სტრომსგოდსეტი (ნორვეგია)/დებრეცენი (უნგრეთი)

ვენტსპილსი (ლატვია)/ჟენეს ეში (ლუქსემბურგი)-მაქაბი ჰაიფა (ისრაელი)/ხაზარი (აზერბაიჯანი)

სკონტო (ლატვია)/ლიბერეცი (ჩეხეთი)-ციურიხი (შვეიცარია)

კუკეში (ალბანეთი)/სარაევო (ბოსნია)-მეტალურგი დ. (უკრაინა)

ყარაბახი (აზერბაიჯანი)/პიასტი (პოლონეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი)/გეფლე (შვედეთი)

დინამო მ. (ბელარუსი)/ლოკომოტივა ზაგრები (ხორვატია)-ტრაბზონსფორი (თურქეთი)/დერი სიტი (ირლანდია)

ჰოდი (ნორვეგია)/აქტობე (ყაზახეთი)-ბრეიდაბლიკი (ისლანდია)/შტურმი (ავსტრია)

ლევადია (ესტონეთი)/პანდურიი (რუმინეთი)-ბეროე (ბულგარეთი)/ჰაპოელი თელ ავივი (ისრაელი)

რიეკა (ხორვატია)/პრესტატინი (უელსი)-ოლიმპია (სლოვენია)/ჟილინა (სლოვაკეთი)

სლასკ ვროცლავი (პოლონეთი)/რუდარი (ჩერნოგორია)-ბრიუგე (ბელგია)

რანდერსი (დანია)-იაგოდინა (სერბეთი)/რუბინი (რუსეთი)

ტრომსო (ნორვეგია)/ინტერი (აზერბაიჯანი)-დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)/უტრეხტი (ჰოლანდია)

ასტერასი (საბერძნეთი)-რაპიდი (ავსტრია)

გიოტებორგი (შვედეთი)/ტრენჩინი (სლოვაკეთი)-ასტრა (რუმინეთი)/ომონია (კვიპროსი)

ჟალგირისი (ლიტვა)/პიუნიკი (სომხეთი)-ჰონკა (ფინეთი)/ლეხი (პოლონეთი)

მოზერველი (შოტლანდია)-ყუბანი (რუსეთი)

ჟრინსკი (ბოსნია)/ბოტევი (ბულგარეთი)-შტუტგარტი (გერმანია)

ეშტორილი (პორტუგალია)-ჰაპოელ რამათ განი (ისრაელი)

ვოივოდინა (სერბეთი)/ჰონვედი (უნგრეთი)-ბურსასფორი (თურქეთი)

ქსანთი (საბერძნეთი)/ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-რეიკიავიკი (ისლანდია)/სტანდარდი (ბელგია)

**სპარტა (ჩეხეთი)/ჰაკენი (შვედეთი)-თუნი (შვეიცარია)/ჩიხურა (საქართველო)**

ვალეტა (მალტა)/მინსკი (ბელარუსი)-როსენბორგი (ნორვეგია)-სენტ ჯონსტონი (შოტლანდია)

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

**დავით თავართქილაძე**

## რა დილა თენდება

ესეც პასუხი კითხვაზე, რატომ იყო აუცილებელი „დილასთვის" ორი მილიონის გამოყოფა - სამი უპასუხო ბურთი დანიელებს!

„დილას" წარმატება „ოლბორგთან" პირველ შეხვედრაში, არ ყოფილა ერთიორი დღის მუშაობის შედეგი. ამ კლუბის აღორძინება ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მოხდა, მილიონობით ლარი დაიხარჯა, რათა უცხოეთში გაბნეულ ქართველ ფეხბურთელებს „დილაში" მოეყარა თავი, მოწვეულნი იყვნენ ლეგიონერებიც. მერე ვითარება შეიცვალა, ითქვა ის, რის თქმასაც ადრე ვერ ბედავდნენ: რატომ მხოლოდ „დილას"? თუ სახელმწიფო ფულს საკლუბო ფეხბურთზეც ჩამოდის, თანხა თანაბრად უნდა განაწილდეს!

ამ ეტაპზე თანაბრობა არ გამოვიდა და „დილას" მისცეს ორი მილიონი. შედეგიც ვნახეთ - „დილამ" დაამტკიცა, რომ ევროპული გუნდის დამარცხება საქართველოს ჩემპიონატის მეორეადგილოსანს შეუძლია.

**გიორგი დევდარიანი** კი მწვრთნელია, რადგან იცის, თუ როგორ ააწყოს გუნდი. არავინ იცის, როგორ დაასრულებს „დილა" წლევანდელ ევროსარბიელზე გამოსვლას, მაგრამ დევდარიანს რომ აქვს მწვრთნელობის განსაკუთრებული მუღამი, ვგონებ, საკამათო არ უნდა იყოს.

მწვრთნელი თუ გუნდი ერთი თამაშით არ ფასობს და „ოლბორგთან" 3:0 არ უნდა იყოს ეიფორიის საბაბი. უბრალოდ, ასეთ რამეს რომ გააკეთებ, ეს უკვე საქმეა.

ისევე როგორც ყველა გუნდი, „დილაც" მეკარით იწყება: **ნუკრი რევიშვილმა** „ოლბორგთან" მატჩის პირველ ტაიმში ორჯერ იხსნა გუნდი, რომ არა მისი ჩაუქრობა, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

**მამუკა კობახიძე** 20 წლის კი გახლავთ, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება უკვე აქვს, ევროტურნირზე შარშანაც ითამაშა, როცა „ზესტაფონის" ფეხბურთელი იყო. „ოლბორგთან" კობახიძეს თამაშს წუნს ვერ დაუდებდით.

**ოთარ ხიზანეიშვილი** დაცვაში ლიდერივით გაისარჯა და ამით ყველაფერი ნათქვამია.

**გულვერდ თომაშვილიც** საიმედო იყო და დაცვის შედუღაბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

**კახა ალადაშვილი** მარჯვენა ფლანგზე და **გიორგი გურული** მარცხნივ - მეტი აგრესია სასურველი კი იყო, თუმცა საერთო ჯამში „დილამ" ამ სეგმენტშიც რიგიანად ითამაშა.

**ლაშა გვალიას** ასეთი ეფექტური თამაში პირველ რიგში ალბათ „ოლბორგისთვის" იყო სიურპრიზი.

**დავით ბოლქვაძეს** ნაკლები წუნი რომ ჰქონოდა გადაცემებში, უკეთესი იქნებოდა, თუმცა მთლიანობაში მისი გარჯაც დადებითად უნდა შეფასდეს.

პირველი გოლი „დილამ" **გრიგოლ დოლიძის** ჩაწოდებით გაიტანა. დოლიძეს უფრო ეფექტურადაც შეუძლია თამაში, თუ ფლანგზე სივრცეს შეუქმნიან.

**გიორგი ილურიძე** ჩინებულად მოქმედებდა, ერთხელაც დაამტკიცა, რომ ძალიან საინტერესო ფეხბურთელია.

**ირაკლი მოდებაძეზე** ქების მეტი არაფერი ითქმის.

**მიხეილ გორელიშვილი** - „ოლბორგთან" ისეთები ჩაატარა, მისგან ამაზე ნაკლებს აღარ ველით.

**გიორგი აბურჯანია** - კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ საქართველოს ნიჭიერი ფეხბურთელები სულ ეყოლება, მთავარია, ხელშეწყობა და სწორი განვითარება.

**რატი ალექსიძე** - ის კიდევ იტყვის თავის სიტყვას „დილაში".

აი, სწორედ ამ ყველაფრისთვის არის საჭირო ორი მილიონი და უფრო მეტიც.

■ ■ ■

თუ რამ სასწაული არ მოხდა, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მოწინააღმდეგე ბუქარესტის „სტიაუა" იქნება. შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს" და „სტიაუას" ერთნაირი ისტორია აქვთ - ორივე სახალხო, ქვეყნის გუნდი იყო და ორივეს პოლიტიკური ელიტა მართავდა.

ფარერულ „სტრეიმურთან" დინამოელებმა გაილაღეს, ნამდვილი ძალა კი „სტიაუასთან" გამოჩნდება - ამ „დინამოს" აქვს ყველა წინაპირობა, რომ რუმინელებს ტოლ-სწორად ეთამაშოს.

ფარერებთან პირველი მატჩი ყველაზე უფრო ალბათ იმით იყო საინტერესო, თუ რამდენად ნაყოფიერი ტრანსფერები განახორციელა „დინამომ". 23 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილი** გამორჩეული იყო ქუთაისის „ტორპედოში" და ეს არც უმცროს **დუშან უჰრინს** არ გამოეპარებოდა. „სტრეიმურთან" შეხვედრაში გრიგალაშვილი ისე ეფექტურად ჩაერთო, რომ ყველა კითხვა მოხსნა - ის „დინამოს" გამოადგება. ელგუჯა გრიგალაშვილს ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში და შუა ხაზის ცენტრშიც, ტექნიკურია, დირიჟორის თვისებებიც აქვს და დაცვით ფაზაშიც ძლიერია, ორთაბრძოლებს თითქმის არასდროს აგებს.

კოტდიუვარელი **პატრიკ ვოუც** ჩინებულად გაისარჯა ფარერებთან, თუმცა ამ თავდამსხმელს თავისი ჯერაც დასამტკიცებელი აქვს საქართველოში.

როგორც უნდა იყოს, „დინამოსგან" ყველა მეტს მოელის. 2004 წელს ეს გუნდი უეფას თასის ჯგუფში გავიდა და იქნებ ცხრა წლის შემდეგ გაიმეოროს მსგავსი წარმატება.

ღმერთმანი, საინტერესო აგვისტო გველის!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მიხაილ გორელიშვილი


მიხაილ გორელიშვილმა ევროთასებზე სადებიუტო გოლები გაიტანა

# დროა, ევროპის ლიგაზე მოვხვდეთ

**დანიურ ოლბორგთან" 20 წლის შემტევის, მიხაილ გორელიშვილის ფერიან თამაშსა და დუბლს გულგრილი არავინ დაუტოვებია. მას ჩვენი გულშემატკივარი კარგად არ იცნობს და ამიტომ წარმოგიდგენთ მის მცირე დოსიესა და ინტერვიუს.**

*"ყაზანელთა ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშე"* – ასე დაახასიათა 2012 წლის მარტში გამოცემა "ტატარსტანსპორტმა" "რუბინის" დუბლების 20 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომელიც გუნდის ვიცე-კაპიტანი და რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი იყო.

მამამისი თბილისელი გახლდათ, მაგრამ ნიჟნი ნოვგოროდში დასახლდა. მიშამაც პირველი ნაბიჯები ამ ქალაქის საფეხბურთო აკადემიაში გადადგა. მერე ტოლიატში **იური კანაპლიოვის** ცნობილ საფეხბურთო აკადემიაში იზრდებოდა, ბოლოს კი ორი წელიწადი „ჩერტანოვოში" ვარჯიშობდა – სწორედ იქიდან მიიწვიეს ყაზანის „რუბინში".

2012 წლის დასაწყისიდან, გორელიშვილს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი** "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში ავარჯიშებდა. გუნდის კაპიტანი **რომან შარონოვი ანდრეი არშავინის** ზედმეტსახელს, "შავას" ეძახდა, რადგან ახალგაზრდა ქართველს რუსული ფეხბურთის ვარსკვლავს ამსგავსებდნენ – სხვათა შორის, ორივე 29 მაისს არის დაბადებული.

რუსეთის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **დმიტრი ალენიჩევმა** 2011 წლის დასაწყისში შენიშნა და მას შემდეგ საერთაშორისო ტურნირებსა და შესარჩევი ციკლის შეხვედრებშიც ათამაშებდა.

2012 წლის ივნისში, "რუბინის" იმედი საქართველოში ჩამოვიდა და გორის „დილაში" ჩაირიცხა – ცხადია, მოულოდნელი იყო. თუმცა, შარშან გორის "დილა" დიდ მადაზე იყო და გუნდის საევროპო განაცხადში კი მოხვდა, მაგრამ არ უთამაშია. ჩემპიონატშიც ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 8-ჯერ ითამაშა.

ფეხბურთის "შიმშილი" დანიელებთან მოიკლა – მოედანზე 63-ე წუთზე შესულმა დუბლი მიითვალა და გორელების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**- გილოცავ - ევროთასებზე მშვენიერი დებიუტი გამოგივიდა.**

- მადლობთ, ძალიან ბედნიერი ვარ, კარგია მოგება, მაგრამ ცაში ფრენა არას გვარგებს. დანიაში განმეორებითი შეხვედრისთვის აქედანვე უნდა მოვემზადოთ. ჩავთვალოთ, რომ "ოლბორგმა" ყველაზე ცუდი შეხვედრა სწორედ თბილისში ჩაატარა. ალბათ, საკუთარ სტადიონზე უფრო აგრესიულად ითამაშებს.

**- თბილისში ისეთი სიცხე არ ყოფილა, რომ გაგუდულიყვნენ.**

- მესმის, მაგრამ მათთვის მაინც უჩვეულო კლიმატი იყო. ჩრდილოელებისთვის ზაფხულში თბილისში თამაში ძალიან ძნელია. სხვათა შორის, უფრო გვიან თამაში მეც მესიამოვნებოდა.

**- სიცხემ შენზეც იმოქმედა?**

- არა, უბრალოდ, ხალხი სამუშაოს 6-7 საათზე ამთავრებს და ასე მგონია, უფრო მეტი მაყურებელი გვეყოლებოდა. თუმცა ესეც გარკვეული ტაქტიკა იყო და კარგად მესმის – რადგან მოვიგეთ, ეტყობა, მართლა ასე სჯობდა.

მაგრამ ეს სიტყვები მეტოქის მეტისმეტ დაფასებაში არ ჩამითვალოთ. საკმაოდ კარგი გუნდია, სათამაშო დისციპლინას იცავდა, თითქოს, კვალიფიციური ფეხბურთელებიც ჰყავთ. მაგრამ ადრე ქართული ფეხბურთი დანიელებზე ნაკლები დონის არ იყო და ჩვენი მიზანია, ვალდებულებიც ვართ, "ოლბორგის" ბარიერი გადავლახოთ.

**- დანიელ მცველებს სისწრაფეში სჯობდი – ალბათ, განმეორებით შეხვედრაში კონტრშეტევებზე თამაში გაგიადვილდება.**

- მეც მგონია, რომ დანიაში "ოლბორგი" თავიდანვე წინ წავა, მათ დასაკარგავი არაფერი აქვთ და თუ სწრაფი კონტრშეტევების ორგანიზებას მოვახერხებთ, შემდეგ წრეში გასვლის კარგი შანსი გვექნება. ცხადია, საამისოდ, მწვრთნელი მოგვამზადებს.

**- გორის "დილას" ახალ შემადგენლობაზე რას იტყვი?**

- "დილა" ისეთ ფეხბურთს თამაშობს, მე რომ მიყვარს. ამბიციური მწვრთნელი და ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს. მაგალითად, ილურიძე, აბურჯანია, გამოცდილი ფეხბურთელები კი ძმებივით გვექცევიან. დანიელებთან მოგება ამ ატმოსფერომაც განაპირობა.

დიახ, ჯერ დანიური ბარიერი უნდა გავიაროთ, გასვლაზე ლაპარაკი ნაადრევია. გასვლის შემთხვევაში კი, ბევრი რამ იქნება კენჭისყრაზე დამოკიდებული. მაგრამ დროა, ქართული გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდეს – პირადად მე, ეს შესაძლებელი მგონია.

**- ალბათ, ამ თამაშის შემდეგ, ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელები ყურადღებას მოგაცევენ – თავად თუ დათმობ რუსეთის მოქალაქეობას?**

- რატომაც არა? ვიცი, ბევრისთვის გაუგებარი იყო ჩემი შარშანდელი გადაწყვეტილებაც, ყაზანის "რუბინიდან" საქართველოში რომ წამოვედი. მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რუსი დედა მყავს და ქართულ ენას ლექსიკონით ვსწავლობდი. მაგრამ სისხლი თავისას შვება - საქართველო ყოველთვის მიზიდავდა და საქართველოს ნაკრებში თამაშის პერსპექტივაც ძალიან მხიბლავს.

**მერაბ მამულაშვილი**

## დოსიე
## მიხაილ გორელიშვილი

**დაიბადა:** 1993 წლის 29 მაისს
**მოქალაქეობა:** რუსეთი
**სიმაღლე:** 175 სმ
**წონა:** 66 კგ
**პოზიცია:** ფლანგის შემტევი ნახევარმცველი

**საკლუბო კარიერა**

2011-2012 - ყაზანის "რუბინი 2" 25 მატჩი, 3 გოლი
2013 - გორის "დილა" 21 მატჩი, 4 გოლი

ლანჩხუთის გურია

# გაუგებარი ფეხბურთი ლანჩხუთში

## შიგა დაპირისპირება გურიის წინააღმდეგ

ლანჩხუთში პოლიტიკური ფეხბურთი გრძელდება, გარე თუ შიგა დაპირისპირებას კი საბოლოოდ „გურიის" ინტერესები ეწირება.

ეს ფეხბურთი აღარ არის, ეს პოლიტიკაა! საქმე იმაშია, რომ ახალი სეზონისთვის „გურიას" ხელმძღვანელობაში ცვლილებები იგეგმებოდა. ეს ერთგვარად არასამართლიანი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან გამოდიოდა, რომ შინ უშვებდნენ იმ ადამიანებს, რომლებმაც კლუბის აღზევებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ანუ საუბარი იყო „გურიის" ყოფილ მმართველებზე. მათ ადგილობრივ ხელისუფლებას სრული თავისუფლება მისცეს - თანამდებობა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა, **ირაკლი ფაცურიამაც** დატოვა. „ძველი გუნდი" უკან დაბრუნებას ერთ შემთხვევაში აპირებდა - თუ გარჯა ყველას დაუფასდებოდა. *„ჩვენ თანამდებობისთვის არ ვიბრძვით, მეც დავტოვე თანამდებობა და კლუბის დირექტორმაც. თუ ჩემ გამო ხდება ეს, წავალ (მოგეხსენებათ, გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა, რომელზეც ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩიათ, სკანდალურად ჩაიშალა და შიგადაპირისპირება ამანაც გაამწვავა - რედ.), ოღონდ ამ ხალხს, ვინც „გურიას" წარმატებაში წვლილი შეიტანეს, გუნდიდან ნუ გაუშვებენ"* - აცხადებდა კლუბის აწ უკვე ყოფილი სპორტული დირექტორი **კახაბერ ებრალიძე,** რომლის წვლილს „გურიის" წარმატებაში მისი ოპონენტებიც აღნიშნავენ. „ძველ" გუნდს საინტერესო წინადადება ჰქონდა - ექვსეულში მოხვედრის პირობას დებდა.

როგორც უკვე ვწერდით, „გურიის" მთავარმა მწვრთნელმა, **თემურ ლორიამაც** მუშაობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, თუ მის თანამებრძოლებს „გურიის" დატოვება მოუხდებათ. *„არასდროს არავისთვის მითქვამს, რომ კლუბი დატოვოს. უბრალოდ, პირველ ეტაპზე მთავარია დავიწყოთ ვარჯიში. ვინ გაავრცელა ეს ინფორმაცია, ძალიან გაკვირვებული ვარ, რადგან ეს ჩემგან არ მოდის და თუ ვინმე ჩემი სახელით რაიმეს ამბობს ან ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, მაშინ თავად უპატრონონ ამ გუნდს, ჩემგან რა უნდათ? ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გუნდში ყველა უნდა დარჩეს, ვინც „გურიის" უმაღლეს ლიგაში გადასვლაში შეიტანა წვლილი. შესაძლოა, რაღაც შიგაგაურკვევლობა არის ორ ჯგუფს შორის, მაგრამ ეს ყველამ უნდა გვერდზე გადავდოთ და „გურიის" წარმატებაზე ვიფიქროთ. მე შემიძლია, დავაფიქსირო მაჟორიტარის პოზიციაც - ბატონი თემურიც მხარს უჭერს, რომ ეს ხალხი გუნდში დარჩეს. ვინ ამბობს, რომ ადმინისტრატორი და მეკარეთა მწვრთნელი უნდა შეიცვალოს? ეს არაზუსტია, არავის გაშვებაზე არ ყოფილა ლაპარაკიც კი"* - ეს ერთი კვირის წინათ ჩვენთან საუბარში ლანჩხუთის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განაცხადა.

მიუხედავად, ასეთი განცხადებების და მონდომებისა, „გურიის" შეკრების დაწყება გაჯანჯლდა - პრობლემა შექმნა იმანაც, რომ საკადრო საკითხებში დეფიციტი შეიქმნა: მოგეხსენებათ, უმაღლეს ლიგას გაცილებით მეტი პერსონალი და ლიცენზირებული მწვრთელი სჭირდება. ამ დროს კი გუნდიდან გასაშვები კადრები „გურიას" ნამდვილად არ ჰყავს.

რამდენიმე დღის წინათ, მხარეებს შორის შეხვედრა შედგა და გადაწყდა, რომ ყველა გუნდში რჩებოდა, იმ შეხვედრას ლანჩხუთის მაჟორიტარი **თემურ ჩხაიძე,** გამგებელი ზაზა ურუშაძე, ახალი დირექტორი **კობა მირზაშვილი** და თემურ ლორიაც ესწრებოდნენ, სადაც გაერთიანება გადაწყდა. ანუ მუშაობა გაერთიანებულ გუნდს უნდა გაეგრძელებინა - ცვლილება მხოლოდ დირექტორატში უნდა მომხდარიყო. ამაზე „ძველი გუნდი" თანახმა იყო, პრეტენზია არც მაჟორიტარს და არც გამგებელს გამოუთქვამს. მეტიც, ზაზა ურუშაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი და თემურ ჩხაიძის პოზიცია, რომ გუნდიდან არავის გაშვებას არ გეგმავდნენ. თუმცა საწინააღმდეგოს აფიქსირებდა კობა მირზაშვილი - ახალი დირექტორი თავისი გუნდით მოსვლას ითხოვს.



ასეც ხდება, თუმცა კადრები საკმარისი არაა - ამჟამად გუნდის განკარგულებაში ათიოდე ფეხბურთელია ლიცენზირებული მწვრთნელის გარეშე, ამ დროს კი ძველი ხელმძღვანელობა და პერსონალი დათხოვილია. გუნდი, რომელმაც „გურია" უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, საგანგებო პრესკონფერენციის მოწყობას ამ დღეებში გეგმავს. *„ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ „გურიას" ახალ ხელმძღვანელობას, ამ კლუბისთვის წლები ვიშრომეთ და სულ ერთი არაა ჩვენთვის მისი მომავალი. არ შევეგუებით, თუ ჩვენს გაკეთებულს ვინმე დაანგრევს, ხოლო წარმატების გაგრძელებას მივესალმებით. როგორც ჩანს, ჩვენს ადგილს გუნდში ვერ ხედავენ და არ ვჭირდებით. ამით გულნატკენები კი ვართ, მაგრამ კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, რაიონის თავკაცებს სრული საკადრო თავისუფლება მივეცით"* - აცხადებენ ისინი.

ახლა ზაზა ურუშაძეც მძიმე დღეშია - მას მოტყუებული დაურჩა თემურ ლორიაც და ჟურნალისტებიც. სხვა შემთხვევაში გამოდის, რომ ყველაფერი დროის გაყვანას ემსახურებოდა. თუმცა ეს დრო გამგებლის და მაჟორიტარის, მით უფრო გუნდის სასარგებლოდ აღარ მუშაობს - რაც უფრო გვიანდება, გუნდის მდგომარეობა სულ უფრო გამოუვალი ხდება. მით უფრო, მას შემდეგ, რაც ძველმა გუნდმა ექვსეულის გარანტია გაახმაურა, „გურიაში" ასეთი საკადრო ცვლილება გამგებელს წესით ხელს არ უნდა აძლევდეს - თუ ახალი გუნდი უკეთეს შედეგს არ დადებს, მას პასუხს იმაზეც მოთხოვენ, რომ ვინც ფეხბურთის ცოდნა საქმით დაამტკიცა, ვერ ან არ შეინარჩუნა.

თუმცა აქ აშკარაა, რომ ფეხბურთი არაფერ შუაშია და ის პოლიტიკური ფეხბურთი გრძელდება, რომელიც გრფფ-ის არჩევნებზე დაიწყო. ეს „გურიას" დაარტყამს უპირველესად - გუნდი ჯერაც ფეხბურთელებისა და მწვრთნელის ძიებაშია. სავარაუდო კანდიდატებად **გოჩა ტყებუჩავა** და **დავით მახარაძე** დასახელდნენ, თუმცა უმაღლესლიგელს სამი ა ლიცენზიის მწვრთნელი სჭირდება და პლუს ამას, ჩამოყვანილი მწვრთნელ-ფეხბურთელები გაცილებით ძვირი ჯდება. „გურიას" კი ჯერ წინა სეზონის ბოლო თვის ხელფასი, პრემია და უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის დაპირებული ბონუსი არ გაუცია ფინანსური პრობლემების გამო.

**მათე ბურული**
**ლანჩხუთიდან**

ლეგიონი

# გოგუას დებიუტი, ხუბუტიას გოლი

18 ივლისს რუსეთის I დივიზიონის III ტურის მატჩები გაიმართა, სადაც ერთი ქართული გოლი გავიდა, მისი ავტორი მცველი **აკაკი ხუბუტიაა.**

ხუბუტიას „მორდოვია" ნოვოსიბირსკის „სიბირს" ევნია და 2:4 დამარცხდა. მე-9 წუთზე მეტოქის საჯარიმოში არეულობით, რომელიც სტუმართა კუთხურს მოყვა, ქართველმა მცველმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ხუბუტიამ შეუცვლელად ითამაშა. „მორდოვია" 6 ქულით მეორე ადგილზეა.


გოგიტა გოგუა მოსკოვის „ტორპედოს" წინააღმდეგ

**დავით სირაძის** „სპარტაკი" პეტერბურგის „დინამოს" სტუმრად 0:0 დაუზავდა. სტუმრებმა ვერ გამოიყენეს პენალტი, მაგრამ იმ დროისთვის მოედანზე ქართველი ფორვარდი აღარ იყო - სირაძე 67-ე წუთზე შეცვალეს.

**გიორგი ნავალოვსკის** „სკა-ენერგია" ხაბაროვსკში 0:0 დაუზავდა მოსკოვის „ტორპედოს". **ვალდას ივანაუსკასის** გუნდს ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირების უფლება დაუბრუნეს. ამიტომაც **გოგიტა გოგუას** დებიუტი შედგა მან 90 წუთი ითამაშა, გიორგი ნავალოვსკი 83-ე წუთზე შეცვალეს. მატჩის შემდეგ ივანაუსკასმა დებიუტანტები, და მათ შორის გოგუაც, შეაქო და აღნიშნა, „სკა-ენერგია" გააძლიერესო.

„უფამ" 3:2 მოუგო „ბალტიკას", რომლის სათადარიგოთა სკამზეც იჯდა მეკარე **გიორგი შელია.**

სამწუხაროდ, „ალანიაში" ჯერ ვერ გაიფორმეს **გოჩა ხოჯავა** და **ოთარ მარცვალაძე.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „ვარდების მოედანზე“ „თბილისის ლუდის ფესტივალი“ გაიმართა...

„კომპანია „ნატახტარი“ ხელს უწყობს ლუდის კულტურის განვითარებას, ფესტივალის მთავარი მონაწილეები კი ლუდის მოყვარულები არიან...“

საქართველოში „თბილისის ლუდის ფესტივალი“ უკვე მეოთხედ გაიმართა. ამ ღონისძიების ორგანიზატორი და სპონსორი კომპანია „ნატახტარია“, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა მოწინავე ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული ლუდის ფესტივალების ქართული ანალოგის შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

მაშ ასე, გასულ კვირას „ვარდების მოედანზე“ დიდი ჟრიამული იგრძნობოდა, რაც ლუდის სმით, შესანიშნავი განწყობით და ცოცხალი მუსიკით იყო გაჯერებული. ლამაზად გამოწყობილი გოგონები საგანგებოდ ჩამწკრივებულ დახლებთან მსურველებს ლუდით უმასპინძლდებოდნენ და ხალისიან განწყობას უქმნიდნენ. ამასთანავე, ლუდის მოყვარულებს ერთმანეთის გაცნობის და ურთიერთობის საშუალება ეძლეოდათ. ხშირად კი საუბრის თემა სწორედ ის იყო, თუ რომელი ლუდია უკეთესი... ლუდის მოყვარულებს „ნატახტარის“, „კოზელის“, „მთიელის“, „ეფესის“ და „კაიზერის“ დაგემოვნება შეეძლოთ. შესაბამისად, არჩევანი სხვადასხვა გემოვნების ადამიანისთვის იყო გათვალისწინებული.

ნინო სურმავა, კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: რა თქმა უნდა, ლუდის ფესტივალზე ყველა მსურველს უფასოდ შეუძლია მოხვედრა, ფესტივალი კი უამრავი გასართობი, საინტერესო კომპონენტისგან შედგება. ისევე როგორც შარშან, წელსაც ისმის ცოცხალი მუსიკა. ორი დღის განმავლობაში ისეთი ცნობილი ჯგუფები და შემსრულებლები წარდგნენ აქ შეკრებილი საზოგადოების წინაშე, როგორიცაა „მელოუ“, „სვანსიხი“, „ლაუდსფიქერსი“, „სალიო“, „ზარები“, „ზურგი“, ელენე კალანდაძე, ფესტივალი ჯგუფმა „შინმა“ დახურა.

ლუდის სმაში კი სხვადასხვა სახის შეჯიბრებებიც ჩატარდა.

—**როგორ გაჩნდა საქართველოში ამ ფესტივალის ჩატარების იდეა?**

— 2010 წელს კომპანია „ნატახტარმა“ განიზრახა რაღაც ფორმით მადლობა გადაეხადა ფანკლუბისთვის და ფესტივალის ჩატარების იდეაც სწორედ მაშინ გაჩნდა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულია ამგვარი ფესტივალის ჩატარების იდეა და რატომ არ უნდა გამართულიყო ჩვენთან ანალოგიური ღონისძიება? მით უფრო, რომ ქართული ლუდის დამზადებას და სმას აქვს დიდი ხნის ტრადიციები. რასაკვირველია, კომპანია „ნატახტარი“ ყოველთვის ხელს შეუწყობს ლუდის კულტურის განვითარებას.

ვფიქრობთ, დადებითი გამოხმაურება აქვს ამ ფესტივალს, მონაწილეთა რაოდენობა წლიდან წლამდე გაიზარდა. ასევე, ჩვენც გავიზარდეთ, - ყოველ წელს უფრო საინტერესოდ ორგანიზებული ფესტივალი გვაქვს.

**ოთარ ლეჟავა**, ფესტივალის ორგანიზატორი: წელს დამატებით ორი ლუდის ბრენდი – „კოზერი“ და „კაიზერი“ არის წარმოდგენილი ფესტივალზე და ალბათ ეს არის წინა ფესტივალებთან შედარებით მთავარი განსხვავება. რაც შეეხება ორგანიზებას, ის თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა, ოღონდ წელს უფრო დახვეწილი სახით წარმოვადგინეთ საჭირო ინვენტარი. მთავარია ის, რომ თვითონ ხალხი და შთაგონება იხვეწება ლუდთან მიმართებაში... ვხედავ, რომ ადამიანებს მოსწონთ ეს ღონისძიება. ამჯერად სომეხი და აზერბაიჯანელი ტურისტებიც არიან ჩვენი სტუმრები, რაც ძალიან სასიამოვნოა. ვფიქრობ, კომპანია „ნატახტარმა“ საკმაოდ წარმატებულ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. ასეთი ფესტივალი წელს საქართველოს კიდევ 7 ქალაქში ჩატარდება.

ეკა ასათიანი

®





ლელოს სტუმარი
დავით ქლიბაძე

## დავით ქლიბაძე

# მიზანი: მეათე მუნდიალი და ფილმი ქართულ ფეხბურთზე

**"ლელოს" რუბრიკის სტუმარი ყველასთვის ცნობილი ქართველი ჟურნალისტი დავით ქლიბაძეა. იგი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე და ქართველ ტელემაყურებელს იმ დროისთვის მიუწვდომელი საფეხბურთო და სპორტის სხვა სახეობათა ჩანაწერებით ანებივრებდა. "სპორტული კალეიდოსკოპი", "45 წუთი", "დრიბლინგი" – ეს გადაცემები სტაჟიან ქომაგებს ძალიან კარგად ახსოვთ. ქლიბაძე მსოფლიოს 9 და ევროპის ამდენივე ჩემპიონატზეა ნამყოფი. *"ჩემი მიზანი ამ მაჩვენებლების ათამდე გაზრდაა"*, - გვითხრა რესპონდენტმა, რომლის ნაამბობიცა და მოსაზრებებიც მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.**

### დებიუტი

1957 წელს გაზეთ "ლელოს" პუბლიკაცია გავუგზავნე, რომელიც რედაქციამ შემოკლებულ ვარიანტად გამოაქვეყნა რუბრიკით – "ეს სასარგებლო იქნება". ჩემი იდეა იყო, თბილისის "დინამოს" ყველა მატჩი კინოფირზე გადაეღოთ, რათა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მისი ნახვისა და გაანალიზების საშუალება მისცემოდათ. ეს ინიციატივა მოგვიანებით მაინც განხორციელდა.

გარკვეული ხანი რადიოში ვიმუშავე, რის შემდეგაც ტელევიზიაში გადავინაცვლე. მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში არაერთი მეგობარი და კოლეგა მყავდა, რომლებიც უნიკალურ ჩანაწერებს მაწვდიდნენ. ქართველ მაყურებელს ვუჩვენე საკალათბურთო თბილისის "დინამოს" მატჩი 1968 წელს, როცა ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა თასის ფინალი, სადაც "მილანმა" "აიაქსი" 4:1 დაამარცხა, NBA-ს ფინალური მატჩი "ბოსტონ სელტიქსსა" და "ცინცინატი როიალსს" შორის. ამ უკანასკნელმა საქართველოში განსაკუთრებული ფურორი მოახდინა...

### ფეხბურთის ორი ბურჯი

ასეთებად ბორის პაიჭაძე და ეროსი მანჯგალაძე მიმაჩნია. პირველმა მათგანმა ქართველებს ფეხბურთი შეაყვარა, მეორემ კი თავისი რეპორტაჟებით ფეხბურთი სახალხო თამაშად აქცია.

რასაკვირველია, არ ვაკნინებ სხვა ქართველი ფეხბურთელებისა და კომენტატორების დამსახურებას. კოტე მახარაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ 1976-81 წლების თბილისის "დინამო" მთელ საბჭოთა კავშირში პოპულარული გუნდი იყო.

სამწუხაროდ, ახლანდელი კომენტატორების შესახებ დადებითს ვერაფერს გეტყვით. მირჩევნია, ტელევიზორს ხმა გავუთიშო და ფეხბურთს ასე ვუყურო...

2002 წლის მუნდიალის მერვედფინალისას, როცა ბრაზილია ბელგიას ეთამაშებოდა, საქართველოს ტელევიზიას ტელეფონით ჩავერთე. ამ დროს ბრაზილიამ ანგარიში გახსნა და ბრაზილიელმა კომენტატორებმა გოლი ჩვეული ემოციით აღნიშნეს. ეს ხმები ქართველ მაყურებელს მოვასმენინე და მას შემდეგ ხალხი ტელევიზიაში რეკავდა, ისევ ბრაზილიელი კომენტატორები მოგვასმენინეთო.

საზღვარგარეთ იშვიათია, როცა მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ორ ჟურნალისტს მიჰყავს. საჭიროების მიხედვით, ორიდან ერთი კომენტატორი, როგორც წესი, ან მოქმედი ფეხბურთელია, ან ვეტერანი მოთამაშე, ანაც მსაჯი.

### ცხრა მუნდიალი და ცხრა ევროპა

ჩემი პირველი საზღვარგარეთული ვოიაჟი 1967 წელს შედგა. ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ტანვარჯიშის ევროპის ჩემპიონატზე მიმავლინეს. 1974 წელს რომში ვიყავი, მძლეოსნობის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ვიქტორ სანეევმა ოქროს მედალი მოიპოვა.

1978 წლიდან მოყოლებული კი მსოფლიოსა და ევროპის არც ერთი საფეხბურთო ჩემპიონატი გამიცდენია. 1990 წლის მუნდიალამდე ტურნირს დაახლოებით ბოლო ორი კვირის განმავლობაში ვესწრებოდი ხოლმე, რის შემდეგაც მსოფლიოს ჩემპიონატს თავიდან ბოლომდე ვაშუქებდი. მხოლოდ სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე არ მინდოდა წასვლა და იქ ბოლო 12 დღით ჩავედი.

რეკორდსმენი კი ნამდვილად არ ვარ. 1994 წელს, აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიცანი ურუგვაელი ჟურნალისტი დიეგო ლუსერო, რომელსაც 1930 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს ჩემპიონატი არ ჰქონდა გაცდენილი. იგი ღრმად მოხუცებული, 1995 წელს გარდაიცვალა.

დიდი ტურნირებიდან გავიხსენებდი ცუდი მსაჯობის არაერთ შემთხვევას, რამაც მატჩის შედეგზე გავლენა იქონია. ხშირად ჩაგრავდნენ პატარა საფეხბურთო ქვეყნებს. ამის საფრთხე საქართველოს ნაკრებსაც ემუქრება, თუ ფინალურ ეტაპზე გავა.

ბედნიერი ვარ, რომ ამდენი დიდი მატჩი ვნახე ცოცხლად. სატელევიზიო რეპორტაჟებით გულშემატკივარი ბევრ რამეს ვერ აღიქვამს. პირდაპირ ვიტყვი, რომ ტელევიზია ყალბ წარმოდგენას ქმნის ფეხბურთზე. ბევრი ფეხბურთელის ღვაწლი ეკრანზე არ ჩანს, ბევრის დამსახურება კი პირიქით, გადამეტებულად წარმოჩინდება.

რაც შეეხება ორგანიზაციულ მხარეს, საუკეთესოდ ორგანიზებულად იტალიაში გამართულ ტურნირებს მივიჩნევ – ევროპის 1980 წლის ჩემპიონატსა და 1990 წლის მუნდიალს.

### ქართული ბიბლია გუტენბერგის მუზეუმში

სასიამოვნო მოგონებად დამრჩა გერმანიაში გადახდენილი ამბავი. 1995 წელს ქალაქ მაინცში გახლდით, სადაც მასპინძლებმა ცნობილი მეცნიერის, სტამბის გამომგონებლის, იოჰან გუტენბერგის მუზეუმში მიმიყვანეს. მაჩვენეს პირველი ნაბეჭდი ბიბლია და სხვადასხვა ენაზე გამოცემული ბიბლიები. ქართული ბიბლია იქ ვერ ვიპოვე და გამოვთქვი სურვილი, რომ იგი მუზეუმისთვის მეჩუქებინა.

რამდენიმე თვის შემდეგ გერმანიაში საგანგებოდ ამ მისიით ჩავედი და მუზეუმს ქართული ბიბლია გადავეცი ჩვენი პატრიარქის მინაწერით. ასე შევიტანე მცირედი წვლილი გუტენბერგის მუზეუმის გამრავალფეროვნებაში.

### მწვრთნელების შესახებ

მიმაჩნია, რომ მწვრთნელებად აუცილებლად მხოლოდ ყოფილი ფეხბურთელები უნდა მუშაობდნენ, სხვაგვარად, მწვრთნელი ვერ შეძლებს ფეხბურთის სულის აღქმას. ჟოზე მოურინიო, რა თქმა უნდა, მაღალი დონის სპეციალისტია, მაგრამ ყოფილი ფეხბურთელი არაფრისდიდებით არ დაჩაგრავდა იკერ კასილასს, რომელსაც მოურინიომ სათადარიგოთა სკამზე ყურყუტით ცხოვრების ხალისი დააკარგვინა.

კასილასის სხვა მიღწევებს თავი რომ დავანებოთ, მან უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპის ბოლო ჩემპიონატის მოგებაში. რომ არა ხორვატიასთან მოგერიებული ურთულესი დარტყმა, ესპანეთის ნაკრები ჯგუფში ჩარჩებოდა.

### გერმანული ფინალის ფასი

გერმანული ფეხბურთის გულშემატკივარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან გამიხარდა, ჩემპიონთა ლიგაში გერმანული ფინალი რომ ვიხილეთ. შემიძლია ვთქვა, რომ ამან ფეხბურთი გადაარჩინა. "ბარსელონას" "ტიკი-ტაკა" არის სრული კატასტროფა და ამ მიმართულების დამარცხებით ფეხბურთმა მხოლოდ მოიგო.

### რჩეული სამეული

დი სტეფანო, პელე, მარადონა – ასეთია ჩემი ფავორიტი ფეხბურთელების სამეული, ოღონდ იერარქიის გარეშე. დი სტეფანოს უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს ფეხბურთში უნივერსალიზმი ფასობს. მას არაერთ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეეძლო თამაში. პელეს თამაში საკუთარი თვალით მინახავს და სიტყვები არ მყოფნის ამ გრძნობის გადმოსაცემად. საჯარიმოში კაცის მომტყუებელი ასეთი სხვა ფეხბურთელი არ მეგულება.

მიმაჩნია, რომ ბრაზილიას პელეს შემდეგ რონალდოს სიდიდის სხვა ვარსკვლავი არ ჰყოლია. ზიდანი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების წინასწარ ამოცნობა მაინც შეიძლებოდა. რაც შეეხება მესის, მან ჯერ არგენტინის ნაკრებში უნდა დაამტკიცოს თავისი სიდიადე. "ბარსელონაში" მას თავდამსხმელის კონკრეტული ფუნქცია აქვს და პასის მიმწოდებლებიც არ აკლია, ნაკრებში კი ნამდვილი ლიდერის ტვირთი უნდა ზიდოს, რასაც ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვუყურებ.

რაც შეეხება ქართველებს, რა თქმა უნდა, მესხისტი ვარ, მაგრამ პაიჭაძე მაინც უდიდესია. იგი ქართული ფეხბურთის მედროშე იყო.

### უახლოესი მიზანი

საკმაო ხანია, ვმუშაობ დოკუმენტურ ფილმზე – "ეპიზოდები ქართული ფეხბურთის ისტორიიდან". ფილმი ოთხნაწილიანი უნდა იყოს: პირველი ნაწილი მოიცავს 1936-54 წლებს, მეორე – 1955-64 წლებს, მესამე – 1967-76, ხოლო მეოთხე – 1977-81 წლებს. მასში სრულად იქნება ასახული თბილისის "დინამოს" ისტორია და ვფიქრობ, გულშემატკივართა დიდ ინტერესს გამოიწვევს. უკვე დიდძალი სამუშაო გავწიე, არქივებში არაერთი დღე გავატარე.

ჩემი ოცნება ამ ფილმის დასრულებაა და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა

# ისევ სიმსივნე, ვილანოვა გადადგა!

## ბარსას დროებით რუბი მიხედავს



ტიტო ვილანოვა

**წუხელ, „ბარსელონას“ პრეზიდენტმა სანდრო როსელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა: „ბარსას“ 44 წლის მთავარ მწვრთნელ ტიტო ვილანოვას ისევ ყელის სიმსივნე დაუდგინდა. გუშინ სალამოს გავრცელებული ცნობები პრესკონფერენციაზე ოფიციალურად დადასტურდა: ვილანოვამ „ბარსელონას“ თავკაცის თანამდებობა დატოვა. მას ამ პოსტზე დროებით ასისტენტი ჟოან ფრანსესკ ფერერი შეცვლის.**

ამრიგად, **ტიტო ვილანოვას** დრამატული ერა „ბარსელონაში“ ახლა უკვე საბოლოოდ დასრულებულია. უმძიმესმა დაავადებამ უკვე მესამედ იჩინა თავი და ვილანოვას სიცოცხლე ისევ საფრთხეშია, რის გამოც ტიტო „ბარსელონაში“ ველარ იმუშავებს.

*„უახლესმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტიტომ ისეთი სამკურნალო კურსი უნდა ჩაიტაროს, რომელთან ერთად მწვრთნელის ფუნქციების შესრულებას ვერ შეძლებს,* - განაცხადა „ბარსას“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** პრესკონფერენციაზე, - *ახლა საშინელ ხასიათზე ვარ! არ მინდოდა, რომ ოდესმე ასეთი ინფორმაცია გამევრცელებინა. ეს „ბარსელონასთვის“ უდიდესი დარტყმაა. თუმცა წარსულში არაერთი მძიმე დარტყმა გადაგვიტანია.“*

ტიტო ვილანოვას სიცოცხლისთვის საშიში დაავადება პირველად 2011 წლის შემოდგომაზე აღმოაჩნდა, თუმცა მაშინ, სამწვრთნელო საქმიანობას ოპერაციის შემდეგ მალევე დაუბრუნდა. 2012 წლის დეკემბერში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ სიმსივნემ კვლავ იჩინა თავი, რის შემდეგად ვილანოვა აშშ-ში მკურნალობდა და კატალონიურ გრანდს თვეების განმავლობაში დააკლდა.

სწორედ ამ პერიოდში გაუფუჭდა მას ურთიერთობა „ბარსას“ ყოფილ თავკაც **ხოსეპ გვარდიოლასთან** – შეგახსენებთ, რომ სამშაბათს ვილანოვამ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, გვარდიოლაც ნიუ იორკში იყო, მაგრამ ერთხელაც არ მომინახულაო.

ვილანოვა ესპანეთში მარტის ბოლოს დაბრუნდა და მოგვიანებით, „ბარსელონასთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონობა იზეიმა.

რაც შეეხება ტიტოს შემცვლელს: ეს საკითხი საბოლოოდ ჯერ არ გადაწყვეტილა. გაირკვა მხოლოდ ის, რომ **ლეო მესის, ნეიმარსა** და კომპანიას დროებით **ჟოან ფრანსესკ ფერერი,** იგივე „რუბი“ უხელმძღვანელებს. ეს უკანასკნელი 43 წლის სპეციალისტია, რომელმაც „ჟირონა“ პლეი ოფში გაიყვანა და იქ „ალმერიასთან“ დამარცხდა.

„ბარსელონას“ დღეს „ლეგიასთან“ ამხანაგური მატჩი ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ეს შეხვედრა აღარ შედგება. მომავალ ოთხშაბათს კი კატალონიური გრანდი სწორედ პეპ გვარდიოლას „ბაიერნს“ უნდა ესტუმროს...

**გოტფრიდ ლენცი**

● ლა ლიგა

# ესპანეთი, ევროპის საბადო

## ამ ზაფხულს ლა ლიგამ უკვე 21 ესპანელი ვარსკვლავი დაკარგა

კანტერას (საბადო ქართულად) ესპანეთში სპორტული კლუბების ახალგაზრდულ გუნდებს უწოდებენ. „მარკა“ თავის სტატიაში, „ლა ლიგა, ევროპის კანტერა“ მიიჩნევს, რომ ესპანური ფეხბურთი ევროპულისთვის სწორედ კანტერად იქცა, ვარსკვლავთა საბადოდ. ესპანურ ფეხბურთს ისეთი სახის პრობლემა შეექმნა, როგორიც აქამდე არასოდეს ჰქონია...

ამ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა რაც გაიხსნა, ესპანეთის პრიმერადივიზიონმა 19 ვარსკვლავი დაკარგა ინგლისური, გერმანული, იტალიური და სხვა ლიგების სასარგებლოდ.

„მარკას“ მიაჩნია, რომ ამის ორი უმთავრესი მიზეზია - ეკონომიკური კრიზისი ესპანეთში და ესპანელ ფეხბურთელთა მაღალი რეიტინგი ევროპაში.

ოთხშაბათს **ალვარო ნეგრედო...** სამშაბათს **ტიაგო ალკანტარა...** წინა კვირებში **ხესუს ნავასი, ხოაკინი** და **ფერნანდო ლორენტე...** მოკლედ, მიგრაციამ უკვე შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო, რომელიც აქამდე ესპანური ფეხბურთისთვის იშვიათი ხილი იყო.

გასულ სეზონში ესპანეთს გარეთ 212 ესპანელი პროფესიონალი ფეხბურთელი თამაშობდა, მათ კიდევ 21 დაემატა. ახლახან დასრულებულ კონფედერაციათა თასზე „ფურია როხას“ 23 ნევრიდან 9 ლეგიონერი იყო (ან უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი უცხოურ კლუბთან) და ეს სია იზრდება. ესპანური დიასპორა გაცილებით სწრაფი ტემპებით იზრდება კიდევ უფრო დაბალ დონეზე.

**ხინეს კარვახალს** ესპანეთში ყველა იცნობს, როგორც **რაულისა** და **კასილიასის** აგენტს, თუმცა ის კიდევ ბევრი ცნობილი ფეხბურთელის წარმომადგენელია. სწორედ კარვახალი მიიჩნევს, რომ ესპანეთის ნაკრების თავბრუდამხვევმა წარმატებებმა ესპანელ ფეხბურთელებზე მოთხოვნა არნახულად გაზარდა. რა თქმა უნდა, ვის თუ არა კარვახალს, დაეჯერება.

*„ესპანური ფეხბურთი ყველგან ჭრის, იმიტომ რომ ყველას სურს ისე ითამაშოს, როგორც ამას ესპანეთის ნაკრები ახერხებს“,* - ამბობს კარვახალი, რომელიც სხვებთან ერთად **ჟერარდ დეულოფეუს** აგენტიცაა, „ბარსელონას“ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელის, რომელიც ახლახან ინგლისურ „ევერტონში“ გაანათხოვრეს. *„არ გამოვრიცხავ, რომ არცთუ დიდი ხნის მერე „ფურია როხა“ ძირითადად ლეგიონერებით იქნება დაკომპლექტებული. ნაკრების ყველა ის წევრი, ვინც „რეალში“ ან „ბარსელონაში“ არ თამაშობს, თავისუფლად შეიძლება აღმოჩნდეს ლა ლიგის მიღმა“.*

თქმა არ უნდა, რომ ესპანური საფეხბურთო კლუბების დელიკატური ეკონომიკური მდგომარეობაც დიდ როლს თამაშობს ფეხბურთელთა გადინებაში. ამის გამო ლა ლიგა უცხოელ სკაუტთა სათევზაო გუბურად იქცა. „მარკას“ ცნობით, უცხოელი სკაუტები მრავლდებიან, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. „რეალის“ და „ბარსელონას“ თამაშები საშუალოდ 25 უცხოელ აგენტს იზიდავს, მათ ხელისგულზეა




ბოლო დროს ლა ლიგამ ეს ვარსკვლავები დაკარგა

ყველა ესპანელი ვარსკვლავი. „რეალს“ და „ბარსელონას“ რა უჭირს - ამ ორ კლუბს შეუძლია ნებისმიერი წინადადების გაძლება და ფეხბურთელის შენარჩუნება. აი, სხვებს კი შანსი არ აქვთ ფინანსურად ჯანსაღ გერმანულ კლუბებთან თუ უმდიდრესი მფლობელების პატრონ ინგლისელებთან - არავითარი შანსი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ახლახან „ბეტისის“ ფეხბურთელმა **ადრიანმა** თავის გუნდს ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი უთხრა. სევილიური კლუბი ევროპალიგაზე ითამაშებს, ის კი არაფრით გამორჩეულ „ვესტ ჰემში“ გადავიდა, რომელიც პრემიერლიგაში მე-10 ადგილზე გავიდა.

ეკონომიკურმა სიტუაციამ ესპანეთი აქცია ფეხბურთელთა ექსპორტიორ ქვეყანად და ის ამას უნდა შეეგუოს.

თუმცა ბევრი სპეციალისტი სულაც არ ფიქრობს, რომ პესიმიზმის დროა, მონეტას ორი მხარე აქვს: *„ესპანური საფეხბურთო საბადო ამოუწურავია და უცხოელი სკაუტები მას ვერ დალევენ. ესპანელებს ყველაზე მეტი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ ევროპაში, რომელთა ნაწილისთვის უცხოური კარიერა ის შანსია, რომელიც მათ სამშობლოში არ ექნებოდათ“.*

### ინგლისში წავიდნენ

**ფერნანდო ამორებიეტა** (ბილბაო-ფულჰემი); **ადრიანი** (ბეტისი-ვესტ ჰემი); **ხოსე კანიასი** (ბეტისი-სუონსი); **ალეხანდრო პოსუელო** (ბეტისი-სუონსი); **იაგო ასპასი** (სელტა-ლივერპული); **ხორდი ამატი** (ესპანიოლი-სუონსი); **ხოსე კამპანია** (სევილია-კრისტალ პალასი); **ხესუს ნავასი** (სევილია-მანჩესტერ სიტი); **ალვარო ნეგრედო** (სევილია-მანჩესტერ სიტი); **ხავი ვენტა** (ვილიარეალი-ბრენტფორდი); **ლუის ალბერტო** (სევილია-ლივერპული); **მარკ მუნიესა** (ბარსელონა-სტოკ სიტი).

### იტალიაში წავიდნენ

**ფერნანდო ლორენტე** (ბილბაო-იუვენტუსი); **ხოაკინ სანჩესი** (მალაგა-ფიორენტინა); **რაულ ალბიოლი** (რეალი-ნაპოლი); **ხოსე კალეხონი** (რეალი-ნაპოლი);

### გერმანიაში წავიდნენ

**ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა-ბაიერნი); **ანდრეს პალოპი** (სევილია-ლევერკუზენი);

### სხვა ქვეყნებში წავიდნენ

**მანე** (ხეტაფე-მაკაბი); **ინიგო ლოპესი** (გრანადა-პაოკ); **მარკოს სენა** (ვილიარეალი-კოსმოსი);

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● პარი სენ-ჟერმენი

# მიზანი: ჩემპიონთა ლიგა

**ზედიზედ მესამე ზაფხულია „პარი სენ ჟერმენი“ მთელი ევროპის ყურადღებას აქტიური სატრანსფერო კამპანიით იპყრობს. პარიზელებმა ედინსონ კავანის, ლუკა დინის და მარკინიოსის შეძენით კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ წელს გუნდის მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება.**



ედინსონ კავანი

## ფრანგები შარშანდელ ევროთასებზე

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი ევროპაში მეხუთე პირველობად ითვლება, ფრანგული კლუბები ევროთასებზე და განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაზე, არც ისე კარგად გამოდიან.

დასრულებულ სეზონში, პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალში გააღწია, სადაც ორი მატჩის ჯამში „ბარსელონასთან“ დამარცხდა; „მონპელიე“ და „ლილი“ კი ჯგუფში ჩარჩნენ, თანაც ისე, რომ ბოლო ადგილი დაიკავეს და ჯამში სულ 5 ქულა მოაგროვეს. არანაკლებ ცუდად ითამაშეს ფრანგულმა კლუბებმა ევროპალიგაზე: „მარსელი“ ჯგუფში ჩარჩა, „ლიონი“ 1/16 ფინალში „ტოტენჰემთან“ დამარცხდა, „ბორდომ“ კი 1/8 ფინალში „ბენფიკასთან“ წააგო. ამ ყველაფრის გამო, უეფას რეიტინგში საფრანგეთის ჩემპიონატი უკვე მე-6 ადგილზეა - შარშან მას პორტუგალიის პირველობამ გადაასწრო.

## ისტორიული მიმოხილვა

ფრანგებს ევროტურნირებზე დიდი წარმატებისთვის არც ადრე მიუღწევიათ. ერთადერთი გუნდი, რომელმაც ევროპის ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებაში წარმატებას მიაღწია „მარსელი“ გახლავთ, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა 1993 წელს მოიგო და მაშინაც, ცნობილი სკანდალის გამო, ეს ტიტული კინალამ დაკარგა.

2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მონაკო“ გავიდა, მაგრამ **დიდიე დეშამის** გუნდი **ჟოზე მოურინიოს** „პორტუსთან“ დამარცხდა.

1956 და 1959 წლებში, ჩემპიონთა თასის ფინალში „რეიმსი“ გავიდა, თუმცა ორივეჯერ მადრიდის „რეალთან“ წააგო (3:4 და 0:2).

1976 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში „სენტ ეტიენმა“ ითამაშა და ფინალში „ბაიერნთან“ დამარცხდა.

„მარსელის“ გარდა, ევროთასი მხოლოდ „პარი სენ ჟერმენს“ აქვს მოგებული - 1996 წელს, პარიზელებმა ფინალში ვენის „რაპიდს“ მოუგეს, მომდევნო წელს კი გადამწყვეტ შეხვედრაში „ბარსელონასთან“ წააგეს. ამ ტურნირის ფინალამდე სხვა არცერთ ფრანგულ კლუბს არ მიუღწევია.

რანგით მეორე ევროტურნირი, რომელსაც თავიდან ბაზრობათა თასი, შემდეგ უეფას თასი, ახლა კი ევროპა ლიგა ჰქვია, ფრანგებს არასდროს მოუგიათ. „ბასტია“ (1978), „ბორდო“ (1996) და „მარსელი“ (1999 და 2004) ფინალში კი გავიდნენ, მაგრამ სამივემ წააგო.

2 გამარჯვება 3 ევროტურნირზე - ნამდვილად არაა ის შედეგი, რომლითაც შეიძლება იამაყო. შედარებისთვის: ესპანურმა კლუბებმა 33 ტურნირი მოიგეს (13 ჩემპიონთა თასი, 7 თასების თასი, 7 უეფას თასი და 6 ბაზრობათა თასი), იტალიური კლუბების ანგარიშზე 29 ტიტულია (12 ჩემპიონთა თასი, 7 თასების თასი, 9 უეფას თასი და 1 ბაზრობათა თასი), ინგლისელებმა 31 ტურნირზე იმარჯვეს (12 ჩემპიონთა თასი, 8 თასების თასი, 7 უეფას თასი და 4 ბაზრობათა თასი), გერმანელებმა კი 18 ტიტული მოიპოვეს (7 ჩემპიონთა თასი, 4 თასების თასი და 6 უეფას თასი) - სხვაობა მართლაც კატასტროფულია. ფრანგებზე მეტი გამარჯვება მოპოვებული აქვთ ჰოლანდიელებს (11), პორტუგალიელებს (7), შოტლანდიელებს (3) და ბელგიელებს (4).

ერთადერთი ტურნირი, რომელიც ფრანგულ კლუბებს ბევრჯერ აქვთ მოგებული და ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე არიან, ინტერტოტოს თასი გახლავთ, რომელიც ფრანგებმა 12-ჯერ მოიგეს, მაგრამ ეს მაჩვენებელი, ევროტურნირებზე მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, უფრო დამამცირებელია, ვიდრე საამაყო.

## პარი სენ ჟერმენი

დავანებოთ ისტორიას თავი და აწმყოს დავუბრუნდეთ. როგორც აღვნიშნეთ, პსჟ-ს მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და ამ ტიტულისკენ პარიზელები ნელ-ნელა, მეთოდურად მიიწევენ. საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი უკვე მესამე ზაფხულია ხმაურიან ტრანსფერებს ახორციელებს და გუნდიც თანდათან ძლიერდება.

2011 წელს პსჟ-მ **ნიკოლა დუშეზი, კევინ გამეირო, ბლეზ მატუიდი, ჟერემი მენეზი, მილან ბიშევაცი, მოჰამედ სისოკო, სალვატორე სირიგუ, ხავიერ პასტორე** და **დიეგო ლუგანო** შეიძინა. ეს იყო სუპერ-კლუბის შენების პირველი ეტაპი, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და პსჟ საჩემპიონო ბრძოლაში „მონპელიესთან“ დამარცხდა.

მეორე ეტაპი 2012 წელს დადგა, როდესაც დედაქალაქელებმა **მაქსველი, ალექსი, ტიაგო მოტა, ესეკილ ლავეცი, მარკო ვერატი, გრეგორი ვან დერ ვილი** და რაც მთავარია **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ტიაგო სილვა** შეიძინეს, სეზონის შუაში კი გუნდში უნიჭიერესი **ლუკას მოურაც** მივიდა.

**კარლო ანჩელოტიმ** მართლაც ვარსკვლავური გუნდი მიიღო, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა და ჩემპიონთა ლიგაზეც კარგად გამოვიდა.

## ტრანსფერები

2013 წლის ზაფხული პარიზელებმა მშვიდად, დიდი ხმაურის გარეშე დაიწყეს. კლუბიდან კარლო ანჩელოტი წავიდა და მის ნაცვლად **ლორან ბლანი** დაინიშნა. დიდი ხნის განმავლობაში, ყველაზე ხმაურიანი ცვლილება სწორედ ეს იყო, მაგრამ სიტუაცია 16 ივლისის შემდეგ შეიცვალა: 64 მილიონი ევრო **ედინსონ კავანის** სანაცვლოდ, 15 მილიონი ევრო **ლუკა დინის** ნაცვლად და 35 მილიონი ევრო **მარკინიოსში** - დედაქალაქელებმა 3 ფეხბურთელში 114 მილიონი ევრო გადაიხადეს!

დღესდღეობით, გუნდიდან მხოლოდ **სილვენ არმანი** და **სიაკა ტიენე** წავიდნენ - ორივემ გუნდი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ძირითადის ფეხბურთელად არცერთი არ ითვლებოდა. საუბრობენ ზლატან იბრაჰიმოვიჩის შესაძლო წასვლაზე, მაგრამ იბრა ჯერჯერობით გუნდშია და გუშინ საერთოდ ჯგუფთან ერთად, ახალი სეზონისთვის მზადებაც დაიწყო.

## 2013/14 წლების სეზონი

მართალია, ჯერ არ ვიცით, თუ რა ტაქტიკით ითამაშებს ბლანი, არც ის ვიცით ვინ წავა და კიდევ ვინ მოვა, მაგრამ მაინც ვცადოთ და წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება პსჟ-ს ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა მომავალ სეზონში.

აქვე დავამატებთ, რომ ეს დაყოფა პირობითია და იმის გამო, რომ პსჟ-ს სეზონში უამრავი მატჩი ექნება, როტაციის გამო, ძირითადი შემადგენლობის ზუსტად განსაზღვრა საკმაოდ რთული იქნება; უბრალოდ ამ გზით თვალნათლივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ძლიერი გუნდი ჰყავთ პარიზელებს.

მეკარეები

### სალვატორე სირიგუ და ნიკოლა დუშეზი

ორივე მეკარე საკმაოდ მაღალი დონისაა. თავიდან, პსჟ-ს ძირითად მეკარედ დუშეზი განიხილებოდა, რომელიც კლუბმა „რენისგან“ შეიძინა, მაგრამ ნიკოლამ სეზონის დაწყებამდე მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც, პარიზელებმა **სალვატორე სირიგუ** იყიდეს. იტალიელი პირველივე დღიდან გუნდის პირველი მეკარეა და მომდევნო სეზონშიც ასე იქნება.

**ძირითადი:** სირიგუ, სათადარიგო: დუშეზი

მარჯვენა მცველები

### გრეგორი ვან დერ ვილი და კრისტოფ ჟალე

შარშანდელ სეზონში ორივემ დაახლოებით თანაბარი რაოდენობის თამაში ჩაატარა, თუმცა სეზონის ბოლოსკენ ანჩელოტი უფრო ხშირად გამოცდილ **ჟალეს** ენდობოდა, ვინც ხშირად გუნდს კაპიტნობდა კიდეც. მწვრთნელი ისევ ანჩელოტი რომ იყოს, არჩევანს ამ უკანასკნელზე გავაკეთებდით, მაგრამ ახლა გუნდის მწვრთნელი ბლანია... ჩვენი პროგნოზით, სიტუაცია დიდად არ შეიცვლება და თამაშის საშუალება ორივეს საკმაოდ ხშირად მიეცემა, უბრალოდ ასაკის და პერსპექტივის გამო, უპირატესობას ჰოლანდიელს მივანიჭებთ.

**ძირითადი:** ვან დერ ვილი, სათადარიგო: ჟალე

ცენტრალური მცველები

### ტიაგო სილვა, მამადუ სახო, ზუმანა კამარა, ალექსი, დიეგო ლუგანო, მარკინიოსი, ანტუან კონტე.

მარკინიოსის მოსვლის შემდეგ, ამ პოზიციაზე კონკურენცია უაღრესად გაიზარდა. ერთი რამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: ტიაგო სილვა ძირითად შემადგენლობაში იქნება. აი, მისი პარტნიორობისთვის კი სერიოზული ბრძოლა გაჩაღდება. იმის გამო, რომ „რომას“ 35 მილიონი გადაუხადეს, ახალგაზრდა მარკინიოსის სათადარიგო სკამზე წარმოდგენა ძალიან რთულია. ამის გამო, უპირატესობას სწორედ მას მივანიჭებთ. სათადარიგო შემადგენლობის ცენტრალური მცველების დუეტი კი **ალექსმა** და **მამადუ სახომ** უნდა შექმნან.

დიდი ალბათობით, გუნდიდან წავლენ დიეგო ლუგანო და **ზუმანა კამარა**. ურუგვაელმა შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარი „მალაგაში“ გაატარა, 34 წლის. კამარას კი სათამაშო დრო არ უნდა მიეცეს, მითუმეტეს, რომ გუნდში ირიცხება ნიჭიერი, 19 წლის **ანტუან კონტე**, ვინც ბლანმა შესაძლოა სუსტ მეტოქეებთან და სათასო მატჩებში ათამაშოს.

**ძირითადი:** ტიაგო სილვა-მარკინიოსი, სათადარიგო: ალექსი-სახო

მარცხენა მცველები

### მაქსველი და ლუკა დინი

ლუკა დინი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მარცხენა მცველია, რომელმაც განსაკუთრებით კარგად შარშანდელი სეზონი ჩაატარა. 20-წლამდელთა მუნდიალის შემდეგ, პარიზელებმა „ლილს“ 15 მილიონი ევრო გადაუხადეს და მაქსველს ძალიან ძლიერი კონკურენტი მოუყვანეს. შარშანდელ სეზონში, ბრაზილიელმა მატჩების 90 პროცენტი ჩაატარა. წელს, სიტუაცია განსხვავებული იქნება და ისევე როგორც მარჯვენა მცველების შემთხვევაში, აქაც სათამაშო დრო თანაბრად გადანაწილდება. გამოცდილების და მოქალაქეობის გამო (ძირითადში ხომ ორი ბრაზილიელი ცენტრალური მცველია) უპირატესობას მაინც ვეტერანს მივანიჭებთ.

**ძირითადი:** მაქსველი, სათადარიგო: დინი

საყრდენი ნახევარმცველები

### მოჰამედ სისოკო, ტიაგო მოტა, მატიო ბოდმე, ბლეზ მატუიდი, კლემან შანტომი, მარკო ვერატი, ადრიენ რაბიო

ლორან ბლანის განკარგულებაში ძალიან ბევრი და რაც მთავარია, მაღალი დონის საყრდენი ნახევარმცველია. შვიდეულიდან, აუტსაიდერებად **მოჰამედ სისოკო** და **ადრიენ რაბიო** უნდა მივიჩნიოთ. შარშან ორივე განათხოვრებული იყო - სისოკო „ფიორენტინაში“ გახლდათ, რაბიო „ტულუზში“. გამორიცხული არაა, გუნდი ორივემ დატოვოს, ოღონდ თუ სისოკო შეიძლება გაყიდონ, რაბიოს ისევ გაანათხოვრებენ, რადგან 18 წლის ფეხბურთელი ძალიან ნიჭიერია და მასზე უდიდეს იმედებს ამყარებენ, უბრალოდ დღევანდელი გადმოსახედიდან, მას ძირითადში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება და სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ექნება. სხვათა შორის, რაბიო საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და წესით, დღეს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უნდა ითამაშოს.

დარჩენილი 5 ნახევარმცველიდან, ძირითად შემადგენლობაში **ბლეზ მატუიდის** და მარკო ვერატის მოვახვედრებთ. მატუიდი შარშან პსჟ-ს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ვერატი კი ძალიან პერსპექტიულია. იტალიელმა შარშანაც მაღალ დონეზე ითამაშა და დროა, კიდევ უფრო მეტი სათამაშო დრო მიეცეს.

**ძირითადი:** მატუიდი და ვერატი, სათადარიგო: ტიაგო მოტა, **მატიო ბოდმე, კლემან შანტომი**

შემტევი ნახევარმცველები

### ჟერემი მენეზი, ესეკილ ლავეცი, ხავიერ პასტორე, ლუკას მოურა

იმის გამო, რომ მარცხენა გარემარბის პოზიციაზე გუნდში მხოლოდ ჟერემი მენეზია, გადავწყიტეთ **ესეკილ ლავეციც** ამ პოზიციაზე „მოვსინჯოთ“. მართალია, არგენტინელი ფორვარდი გახლავთ, მაგრამ მას „ნაპოლიშიც“ და არგენტინის ნაკრებშიც ფლანგზე არაერთხელ უთამაშია. ლავეცის მარცხნივ გადაწევის ორი მიზეზი არსებობს: 1. ჟერემი მენეზს კონკურენტი გამოუჩნდა და 2. შეტევაში იბრა-კავანის დუეტის შესაქმენლად ადგილი გათავისუფლდა...

ამ პოზიციის ფეხბურთელებისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ მიხვდე: ბლანს თავის ტკივილი გარანტირებული აქვს. არჩევანის გაკეთება გვიჭირს ჩვენც, ამიტომ დამხმარედ შარშანდელ სეზონს გავიხსენებთ: ხავიერ პასტორე ძირითადის განუყოფელი წევრი იყო, ლუკას მოურა კი უმეტესად ცვლილებაზე გამოდიოდა, ამიტომ მარჯვენა შემტევად არგენტინელს დავაყენებთ.

მარცხნივ უფრო რთული სიტუაციაა, თუმცა შარშან, მთელი სეზონის ჯამში, გუნდისთვის ლავეცი უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე მენეზი, რომელიც რიგ შეხვედრებში საერთოდ არ ჩანდა.

**ძირითადი:** პასტორე და ლავეცი, სათადარიგო: ლუკას მოურა და მენეზი

თავდამსხმელები

### ედინსონ კავანი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, კევინ გამეირო

გამეირო ცუდ დღეშია... ამ პოზიციაზე დიდი ფიქრი საჭირო ნამდვილად არაა - ძირითადში კავანი-იბრაჰიმოვიჩის დუეტი იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიაა. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ იბრა შესაძლოა გუნდიდან წავიდეს, თანაც, გულზე ხელი დავიდოთ და კავანის და ზლატანის ერთად თამაში ძალიან ძნელი წარმოსადგენია...

მიუხედავად ამისა, ოცნებას ვერავინ დაგვიშლის, ამიტომ ძირითადში სწორედ ურუგვაელი და შვედი გავამწესოთ, გამეირო კი სათადარიგოთა გუნდში გავუშვათ.

**ძირითადი:** კავანი-იბრაჰიმოვიჩი, სათადარიგო: გამეირო

ძირითადი გუნდი

**მეკარე:** სირიგუ

**მცველები:** ვან დერ ვილი, ტიაგო სილვა, მარკინიოსი, მაქსველი

**ნახევარმცველები:** პასტორე, მატუიდი, ვერატი, ლავეცი

**თავდამსხმელები:** კავანი, იბრაჰიმოვიჩი

ტატო ბაციკაძე



ლუკა დინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. კარლოს ტევესი



კარლოს ტევესი

# ლიგას ვერ დაგეგმავ, მიზანი სკუდეტოა

## ტევესის იტალიური შთაბეჭდილებები

**კარლოს ტევესმა უკვე გამართა პირველი მატჩი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში და ეფექტური გოლიც გაიტანა. სამოყვარულო გუნდთან 29 წლის არგენტინელი მოტივირებული ჩანდა, რაც ნამატჩევს ანტონიო კონტემაც აღნიშნა. მოკლედ, ტურინული გრანდი საწვრთნელ პროცესს შეუდგა და ჟურნალისტებს ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება მიეცათ. ქვემოთ, კარლოს ტევესის ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ...**

**- როგორ გრძნობთ თავს ახალ გარემოში?**

- შესანიშნავად. უკვე მივხვდი, თუ რატომ თამაშობენ არგენტინელები გაცილებით კარგად იტალიაში, ვიდრე ინგლისში. კალჩო ჩვენ მენტალიტეტთან ახლოა და სიმართლე გითხრათ, უკვე ვნანობ კიდეც რომ იტალიაში უფრო ადრე არ გადმოვბარგდი. მით უმეტეს, ამის არაერთი შანსი მქონდა.

**- მაგალითად, გასულ ზაფხულს, როდესაც „მილანი“ გეპატიჟებოდათ...**

- „მილანში“ გადასვლის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ არა ხელფასის გამესამედების ხარჯზე. მაშინ, ლომბარდიელებმა არც თუ ხელსაყრელი პირობები შემომთავაზეს და უარის თქმა მომიწია. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა და გინდა თუ არ გინდა, მომავალზეც გიწევს ფიქრი.

**- მაინც რატომ გაგიჭირდათ ინგლისში შესაძლებლობების რეალიზება?**

- როგორც უკვე აღვნიშნე, ინგლისში სულ სხვა კულტურა და ცხოვრების წესია, რომელთან შეგუებაც გამიჭირდა. ამასთან, ბრიტანული ფეხბურთის სტილს ვერაფრით მოვერგე. პრესის მხრიდან უდიდესი ზეწოლა იყო და ამანაც გამირთულა საქმე. თუმცა უკვე იგრძნობა, რომ ამ მხრივ, ჟურნალისტები არც იტალიაში მოიკოჭლებენ.

**- გულშემატკივრებმა თქვენთვის 10-ნომრიანი მაისურის გადმოცემა გააპროტესტეს...**

- უმჯობესია ვთქვათ, რომ გულშემატკივართა ნაწილმა, რადგან უმეტესობამ ჩემდამი უდიდესი სითბო გამოხატა და არც ნომერზე დაუჩივლიათ. ტიფოზების დიდ ნაწილს რომ პროტესტი გამოეთქვა, 10 ნომერზე მე თვითონ ვიტყოდი უარს. ყველანაირად ვეცდები, რომ ალესანდრო დელ პიეროს ნომერი ღირსეულად ვატარო. 10-იანი დამატებითი სტიმულია ჩემთვის და არ მესმის იმ ხალხის, რომელიც ამ ნომრის თაროზე შემოდებას ითხოვს. ისევ გუნდისთვის არის კარგი, როდესაც ფეხბურთელს დამატებითი მოტივაცია და პასუხისმგებლობა აქვს. ალექს დელ პიერო ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და მისი ნომრის ტარება ჩემთვის უდიდესი პატივია.

**- ახალ თანაგუნდელებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?**

- თავდაპირველად უფრო ახალწვეულებთან დავმეგობრდი და ეს ბუნებრივია, თუმცა შემდეგ სხვებსაც დავუახლოვდი. თბილად მიმიღეს და მაგრძნობინეს, რომ ჩემი მოსვლა არ სწყენიათ. განსაკუთრებით სასიამოვნო ეს ფორვარდებისგან იყო, რომელთა კონკურენტადაც ვითვლები. ფაბიო კვალიარელამ და ალესანდრო მატრიმ წარმატებები მისურვეს და გარკვეული რჩევებიც მომცეს. მათი უზომოდ მადლიერი ვარ. მალე იტალიის ნაკრების ფეხბურთელებიც შემოგვიერთდებიან, ერთი სული მაქვს როდის შევხვდები ბუფონს და პირლოს.

**- „იუვენტუსის“ პრიორიტეტული მიზანი ალბათ ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება...**

- ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგაზე კონკრეტული მიზნების დასახვა წყლის ნაყვაა. შესაძლოა, პლეიოფში ბრწყინვალედ ითამაშო, მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობო და ერთი შეცდომის გამო ტურნირს დაემშვიდობო. „იუვენტუსის“ მიზანი კიდევ უფრო გაძლიერება და განვითარებაა, რომელმაც გუნდი მორიგ სკუდეტომდე უნდა მიიყვანოს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ყველაფერს ვილონებთ, რომ მაქსიმალურ წარმატებას მივაღწიოთ.

**- სკუდეტოსთვის ბრძოლაში ვის მიიჩნევთ მთავარ კონკურენტად?**

- „მილანს“ და „ნაპოლის“, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ სკუდეტოსთვის „ინტერმა“, „რომამ“, ‘ლაციომ“ და „ფიორენტინამ“ იბრძოლონ. იტალიაში დიდი კონკურენციაა და სკუდეტოს ვინ ჩივის, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაც კი ურთულესი საქმეა. თუმცა, ჩვენი ერთადერთი მიზანი ჩემპიონობის შენარჩუნებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

> უკვე მივხვდი, თუ რატომ თამაშობენ არგენტინელები გაცილებით კარგად იტალიაში, ვიდრე ინგლისში

**- კარლოს ტევესის და ფერნანდო ლორენტეს ტანდემზე დიდი იმედები მყარდება...**

- „იუვენტუსში“ კიდევ არაერთი მაღალი კლასის შემტევია და მეეჭვება, იმედები მხოლოდ ჩვენ ორზე მყარდებოდეს. ფერნანდო ბრწყინვალე ტექნიკის პატრონია და საგოლე ალღო აქვს; მის გვერდით თამაში ერთი სიამოვნება იქნება. თუმცა, იგივე შემიძლია ვთქვა ფაბიო კვალიარელაზე, ალესანდრო მატრიზე, მირკო ვუჩინიჩსა და სებასტიან ჯოვინკოზე. ვფიქრობ, „იუვენტუსს“ ყველაზე ძლიერი შეტევა ჰყავს იტალიაში და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ევროპაში.

**- ალბათ ეს თქვენი ბოლო ევროპული შანსია...**

- შანსი ალბათ დამწყებ ფეხბურთელებს ეძლებათ, ჩემთვის ეს ახალი გამოწვევაა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გაცემული ავანსები გავამართლო. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის წელი მოდის და გუნდში წარმატებული ასპარეზობა მუნდიალზე გამგზავრების ტოლფასი იქნება. მოკლედ, ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და ახალ სეზონს მოუთმენლად ველოდები.

ამბები

## შემდეგი სამიზნე: ვერატი

„იუვენტუსთან“ და „ნაპოლისთან“ ერთად, სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე აქტიური „ფიორენტინაა“. ფლორენციელებმა **სტევან იოვეტიჩი** ინგლისში გაუშვეს, მის ნაცვლად კი მიუნხენის „ბაიერნიდან“ **მარიო გომესი** გადაიბირეს. „ვიოლაში“ ითამაშებს **ხოაკინ სანჩესი** და კიდევ რამდენიმე ახალწვეული. ტოსკანური კლუბის პრეზიდენტის **ანდრეა დელა ვალეს** თქმით, გომესის გადაბირების შემდეგ, მისი მთავარი სამიზნე 20 წლის **მარკო ვერატია**:

*„ნახევარდაცვა კარგად გვყავს დაკომპლექტებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საინტერესო ფეხბურთელთა გადაბირებას აღარ ვაპირებთ. ჩვენი პრიორიტეტული სამიზნე მარკო ვერატია, რომელიც იტალიაში დაბრუნების წინააღმდეგი არ არის. პირველ რიგში, თავად ფეხბურთელის პოზიციის გაგება გვსურს და უახლოეს პერიოდში, კონკრეტული წინადადებით მივმართავთ, შემდეგ კი ფრანგებსაც შევეხმიანებით. მაქვს ინფორმაცია, რომ პარიზელები მარკოს გაყიდვის წინააღმდეგნი არ არიან“.*

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ანდრეა დელა ვალემ უკვე გაამზადა შეთავაზება ვერატისთვის, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა ნახევარმცველს სეზონურად 3 მილიონ ევროს ჰპირდება. აქვე ვთქვათ, რომ ამჟამად, მარკოს წლიური გასამრჯელო 1.5 მილიონი ევროა, რომლის გაზრდასაც პარიზელები 1.8 მილიონამდე აპირებენ. მოკლედ, თუ ვერატის იტალიაში სურს დაბრუნება, ფლორენციულ ვარიანტს მართლაც არაფერი დაეწუნება.

## სტროოტმანი ვან ბომელმა დაარიგა

პსვ-დან „რომაში“ გადასული **კევინ სტროოტმანი** უმალ მოექცა იტალიელ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში. „კორიერე დელო სპორტმა“ 23 წლის ჰოლანდიელს შთაბეჭდილების გაზიარება სთხოვა და ამ უკანასკნელმაც საინტერესო კომენტარი გააკეთა:

*„სანამ იტალიაში ჩამოვიდოდი, კარგა ხანს ვისაუბრე მარკ ვან ბომელთან, რომელსაც „მილანში“ თამაშის გამოცდილება აქვს. მითხრა, რომ სრულიად სხვა საფეხბურთო კულტურაში მოვხვდებოდი, სადაც თავის დამკვიდრება გაცილებით ძნელია, ვიდრე ჰოლანდიაში. ვიცი, რომ აქ უსაზღვროდ ემოციური გულშემატკივრები არიან, რომლებსაც შეუძლიათ მარცხის გამო სამტროდ გადაგეკიდონ. ჰოლანდიაში ასეთი რამეები არ ხდება და მეც ახალ რეალობას უნდა შევეგუო. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ტიფოზები მხოლოდ გახარებულნი იყვნენ. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი და როდის მომიწევს „იუვენტუსთან“, „ინტერთან“, „მილანთან', „ნაპოლისთან“ და სხვა ძლიერ გუნდებთან თამაში“.*

ვარსკვლავი



ჯანლუკა ძამბროტამ თამაში განაახლა

# ძამბროტა გატუზოს კვალზე

გასულ ზაფხულს **ჯანლუკა ძამბროტამ** კარიერის დასრულება განიზრახა და ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. მალევე, სამწვრთნელო ლიცენზია აიღო და ახალი პროფესიისთვის ემზადებოდა. რამდენჯერმე ისიც ითქვა, რომ ჯანლუკა „მილანის“ ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგებოდა სათავეში. თუმცა, მოულოდნელად, ძამბროტამ გადაწყვეტილება შეცვალა და 37 წლის ასაკში ფეხბურთელის კარიერა განაახლა. დიახ, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი შვეიცარიის მეორე ლიგის გუნდ „კიასოში“ ჩაირიცხა და მომდევნო სეზონს სწორედ იქ გაატარებს. ითქვა ისიც, რომ ძამბროტა მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც იქნება. კიასო შვეიცარიის იტალიური რეგიონის, ტიჩინოს ერთ-ერთი ქალაქია - საზღვართან ახლოს და როგორც ჯანლუკა აცხადებს, გადაწყვეტილების მიღებისას ეს ფაქტორი გადამწყვეტი გამოდგა:

*„ფეხბურთის თამაში მომენატრა და გადავწყვიტე, კიდევ ერთი სეზონით გავაგორო ბურთი. მთელი წელი გამიცდა და ფორმის აღდგენა იოლი არ იქნება, თუმცა ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. კიასო შესანიშნავი ქალაქია, იტალიის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში და გადაწყვეტილების მიღებისას, გადამწყვეტი სწორედ ეს ფაქტორი გამოდგა. ახალი გამოწვევა მივიღე და ვნახოთ, რა გამომივა. უახლოეს დღეებში, რინო გატუზოს დაველაპარაკები, რომელმაც კარიერა სწორედ შვეიცარიაში დაასრულა და საჭირო რჩევებს მივიღებ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

PREMIUM AUTOPARTS

პრემიუმ ავტონაწილები

NGK Continental CONTITECH BILSTEIN TEXTAR

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

მის:. ხოშარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

მანჩესტერ სიტი

# მანჩესტერ სიტის თავდასხმა შეივსო



„მანჩესტერ სიტიმ“ ალვარო ნეგრედო ოფიციალურად წარადგინა

„მანჩესტერ სიტის“ შემტევთა რიგები ჯერ იანვარში შეთხელდა, როცა „ეტიჰადიდან“ **მარიო ბალოტელი** „მილანში“ გადავიდა სათამაშოდ. ზაფხულზე მის კვალს **კარლოს ტევესიც** მიჰყვა, ვინც არჩევანი ტურინის „იუვენტუსზე“ შეაჩერა. ბუნებრივი იყო, რომ ამბიციური კლუბი თავდასხმის გასაძლიერებლად ყველაფერს გააკეთებდა. „ქალაქელებმა“ ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჩაიგდეს ხელთ. „სიტიმ“ **ალვარო ნეგრედო** უკვე წარადგინა. გადაწყვეტილია **სტევან იოვეტიჩის** ტრანსფერიც. მართალია, ოფიციალურ ვებგვერდზე კონტრაქტის დეტალები და ხანგრძლივობა მითითებული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენმა ბრიტანელმა კოლეგებმა მაინც დაადგინეს, რომ ესპანეთის ნაკრების წევრმა ხელშეკრულება 2017 წლის ივლისამდე გააფორმა, რომლის თანახმადაც კვირაში მისი ხელფასი 75 ათასი ფუნტი იქნება. „სევილია“ 25 მილიონი ევროს კომპენსაციას მიიღებს. საბოლოო ჯამში კი, ბონუსების ჩათვლით, თანხა, შესაძლოა, 28-მდეც გაიზარდოს. ნეგრედო „სიტიში“ კიდევ ერთ ყოფილ ანდალუსიელ **ხესუს ნავასს** შეუერთდება.

*„ყველას დიდი მადლობა. „სევილიაში“ გატარებული ოთხი წელიწადი დაუვიწყარი იყო. მადლობა სენიორ დელ ნიდოს, რომ მენდო თავის დროზე. ამ კლუბმა წარმოუდგენლად ბევრი რამ მომცა, მათ შორის ნამდვილი მეგობრები, დამაკავშირა უამრავ ფანტასტიკურ ადამიანს. მადლობა მწვრთნელებს, მადლობა ქალაქს, სადაც ჩემი შვილი დაიბადა. ამის წყალობით მე მასთან უკვე სამუდამოდ ვარ დაკავშირებული. ფეხბურთში ყველაფერი ეტაპობრივად ხდება. როგორც ჩანს, ეს საფეხური უკვე გავიარე. ცხოვრებაში გაჩერება არ შეიძლება. „მანჩესტერ სიტი“ ფანტასტიკური კლუბია. ნამდვილი გამოწვევა ჩემთვის. წინადადებები სხვა კლუბებისგან რომ მქონოდა, არსადაც არ წავიდოდი, მაგრამ ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ხესუსთან ერთად ისევ მომიწევს თამაში,“* - განაცხადა ალვარო ნეგრედომ.

### გზა ბიჭობიდან კაცობამდე

**სტევან იოვეტიჩის** ამბავი ბრიტანულმა წყაროებმა ხუთშაბათს გვიან ღამით დაადასტურეს. „ქალაქელებმა“ 23 წლის ჩერნოგორიელისთვის ბრძოლაში „იუვენტუსი“ დაამარცხეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გარიგება 25 ან 30 მილიონი ევრო დაჯდა, ფეხბურთელის ანაზღაურება კი კვირაში 100 ფუნტზე მეტი იქნება. ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებდა იტალიური მასმედია რამდენიმე დღის წინ. სტევანმა ფლორენციაში 5 წელი გაატარა და სერია A-ში ჩატარებულ 116 შეხვედრაში 35 გოლის გარდა 23 საგოლე გადაცემა მიითვალა. ახლა კი გაგაცნობთ, თუ რა უთხრა ფეხბურთელმა goal.com-ს:

*- ინგლისში გადასვლა ძალიან მიხარია. ამ თემაზე ჩემგან დამატებით რალაცების ლაპარაკი ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა. „სიტი“ პრემიერლიგის ერთ-ერთი უდიდესი კლუბია და ნამდვილად ძალიან მინდა იქ ასპარეზობა. ბედნიერი ვარ, რომ მანჩესტერში მეგობარი მატეა ნასტასიჩი დამხვდება* (სერბი მცველი „სიტიმ“ 2012 წლის 31 აგვისტოს იმავე „ფიორენტინადან“ შეიძინა. რედ).

*განუმეორებელი გუნდიდან მივდივარ. „ფიორენტინასთვის“ ჩემს გულში ადგილი ყოველთვის იქნება და სამუდამოდ მის გულშემატკივრად დავრჩები. იმედია, „იები“ სკუდეტოსთვის ბრძოლას მოახერხებენ. მომენატრება ფლორენცია, რომლის ქუჩებში არაერთი დღე გამიტარებია და სადაც თითქმის ყველასთან ვპოულობდი საერთო ენას. შეიძლება გულშემატკივრები ამ წუთას გალიზიანებულები იყვნენ ჩემი გადაწყვეტილებით, მაგრამ ეს მათი უფლებაა. მათზე არასოდეს ერთ გადაკრულ სიტყვასაც კი არ ვიტყვი. უბრალოდ მინდა, რომ ვთხოვო, ეცადეთ და გამიგეთ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ. აქამდე რაც შემეძლო „ფიორესთვის“ ყველაფერი გავილე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ცვლილებების დრო დადგა. ნუთუ ყველაფერი ასე ცუდია?*

*„ფიორენტინას“ ახლა მარიო გომესი ჰყავს. მე მას პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ აშკარაა, რომ ის მართლა ძალიან ძლიერია. კარგი იქნებოდა, მასთან ერთად თამაშის შანსი მომცემოდა. მაგრამ... ფლორენციაში პატარა ბიჭი ჩამოვედი და ახლა აქედან კაცად და ჩამოყალიბებულ ფეხბურთელად მივდივარ.*

ლივერპული

# სპონსორი ენფილდზე რჩება


„ლივერპულისა“ და „სტანდარდ ჩარტერდ ბანკის“ აღმასრულებელი დირექტორები იან ეირი და პიტერ სენდსი

„ლივერპულსა“ და „სტანდარდ ჩარტერდს“ შორის სპონსორული ხელშეკრულება პირველად 2010 წელს გაფორმდა. მას მერე მხარეები ერთმანეთთან თანამშრომლობით კმაყოფილნი არიან, რისი დასტურიც არის მათ მიერ ბანგკოკში 2016 წლის ზაფხულამდე გათვლილ ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა.

მხარეები სამი წელია, დაუღალავად მუშაობენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით პარტნიორი კომპანიების პოპულარიზაციის მიზნით. ისინი ერთად გეგმავენ და ახორციელებენ რიგ წარმატებულ სოციალურ პროექტებს. „ლივერპულის“ ფუნქციონერები და ფეხბურთელები ხშირად მონაწილეობენ მასშტაბური პრობლემების წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებში. მაგალითად, უსინათლოთა დასახმარებლად, შიდსის გავრცელების წინააღმდეგ საგანმანათლებლო აქციებში და ასე შემდეგ.

**ბილი ჰოგანი** („ლივერპულის“ კომერციული დირექტორი): *„როდესაც 3 წლის წინ „სტანდარდ ჩარტერდთან“ გავაფორმეთ ხელშეკრულება, მივხვდით, რომ ვიპოვეთ სანდო პარტნიორი, რომელიც იზიარებდა ჩვენს მისწრაფებებს და რომელთან ერთადაც შეიძლებოდა ბრძოლა უკეთესი მომავლისთვის. მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენ შორის თანამშრომლობა გრძელდება. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ერთგულებას ჩვენი საქმის მიმართ“.*

**პიტერ სენდსი** („სტანდარდ ჩარტერდის“ აღმასრულებელი დირექტორი): *„ჩვენი თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. მოხარულები ვართ, რომ პარტნიორულ ურთიერთობებს ვაღრმავებთ. „ლივერპული“ ძალიან პოპულარულია იმ ბაზრებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ბედნიერები ვართ, რომ ამ ფანტასტიკურ კლუბსა და მის ემოციურ გულშემატკივრებთან მუშაობას სამომავლოდაც გავაგრძელებთ“.*

### წავა თუ არა უისდომი?

20 წლის ლივერპულელ **ანდრე უისდომს** ერთნაირი წარმატებით შეუძლია როგორც მარჯვენა, ისე ცენტრალური მცველის პოზიციაზე ასპარეზობა. სწორედ ამის წყალობა იყო, რომ ფეხბურთელმა 2012/13 წლების სეზონში „წითლების“ რიგებში 19 თამაში ჩაატარა ყველა ტურნირზე. თუმცა მას კარგად ესმის, რომ მწირი პრაქტიკის პირობებში ის ვერ გაიზრდება. **ბრენდან როჯერსმა** მას პირადად შესთავაზა ერთწლიანი იჯარით რომელიმე კლუბში გადასვლა. უისდომის სამსახურით დაინტერესებულები არიან „ფულჰემი“ და „უიგანი“. ანდრე მსგავს პერსპექტივას დიდი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის გუნდის მწვრთნელის რჩევას მაინც გაითვალისწინებს. *„როჯერსმა მითხრა, რომ ის ყურადღებით გაეცნობა საიჯარო შემოთავაზებებს. „ლივერპული“ ევროთასებზე არ თამაშობს, რაც უკვე ნიშნავს იმას, რომ მომდევნო სეზონში თამაში ნაკლებად მომიწევს. იჯარა ერთ-ერთი ვარიანტია და ამისთვის მზად ვარ, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი მოსამზადებელ პერიოდში საუკეთესო თვისებებს წარმოვაჩენ, იქნება, ჩემი გაშვება საჭირო აღარც გახდეს,“* - განაცხადა ანდრე უისდომმა.

მანჩესტერ სიტი

# სიტიმ ლეგენდა დაკარგა

გუშინ 89 წლისა გარდაიცვალა „მანჩესტერ სიტის“ ლეგენდარული გერმანელი მეკარე **ბერნდ კარლ ტრაუტმანი**, ვინც 1949/64 წლებში 545 თამაში ჩაატარა „ქალაქელთა“ შემადგენლობაში. ის 1956 წელს ინგლისში წლის ფეხბურთელად მას მერე აღიარეს, რაც ასოციაციის თასის ფინალში „ბირმინგემთან“ ბოლო 15 წუთი კისერმოტეხილმა ითამაშა. აუტანელი ტკივილების მიუხედავად მან მინდვრის დატოვებაზე უარი თქვა. „სიტიმ“ 3:1 იმარჯვა. საფეხბურთო კარიერის დაწყებამდე ჰერ ტრაუტმანი მე-2 მსოფლიო ომში „ლუფტვაფეს“ შემადგენლობაში იბრძოდა. სიმამაცით განთქმული ჯარისკაცი ორჯერ ჩავარდა ტყვედ. წითელი არმიის ბანაკიდან მან თავს გაქცევით უშველა. მოკავშირეთა მიერ დაკავების შემდეგ კი ბრძოლა შეწყვიტა. ტრაუტმანი 5-ჯერ იყო დაჯილდოებული სხვადასხვა მედლით. მათ შორის გერმანული შეიარაღებული ძალებისთვის ყველაზე პრესტიჟული I ხარისხის „რკინის ჯვრით“.


ბერნდ კარლ ტრაუტმანი

ამბები

## ბრაზილიელი ირჩევს არსენალს

ბრაზილიის ნაკრებისა და „ატლეტიკო მინეიროს“ მარცხენა ნახევარმცველის, 20 წლის **ბერნარდის** შესაძენად ორი კლუბი იბრძოდა - დონეცკის „შახტარი“ და ლონდონის „არსენალი“. ბრაზილიური გამოცემების მტკიცებით, ფეხბურთელმა უპირატესობა უკანასკნელს მიანიჭა. სავარაუდოა, რომ ის კლუბს ლიბერტადორესის თასზე ასუნსიონის „ოლიმპიასთან“ (24 ივლისი) მატჩის შემდეგ გამოეთხოვება, და ლონდონში ჩავა სამედიცინო შემოწმების გასავლელად, რის შემდეგაც „მეთოფეებთან“ კონტრაქტზე მოაწერს ხელს. გარიგების სავარაუდო ღირებულების შესახებ პრესით ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. საკომპენსაციო თანხის ოდენობა 12-დან 20 მილიონ ევრომდე მერყეობს. უკრაინული წყაროების ცნობით კი დონეცკელები 22 მილიონსაც კი ჩამოდიოდნენ.

## ვესტ ბრომვიჩიდან ფულჰემში

„ფულჰემმა“ შეძლებული მეპატრონის გამოჩენის შემდეგ სატრანსფერო ბაზრისკენ გაიხედა. **მარტინ იოლმა** მზერა „ვესტ ბრომვიჩის“ 28 წლის მარცხენა მცველ **ლაიამ რიჯუელს** მიაპყრო, ვინც „ჰაუტორნსზე“ 2012 წლის ზაფხულიდან თამაშობს. იქამდე ის „ბირმინგემში“ ირიცხებოდა. ფეხბურთელი პრემიერლიგის 30 შეხვედრაში გამოჩნდა მინდორზე და აქედან 28-ჯერ ძირითადში. იოლს ის **იონ არნე რიისეს** შემცვლელად სჭირდება, ვისაც იანვარში „ფულჰემიდან“ წასვლა სურდა და მას მერე ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

## ლივერპული და ბენ არფა


ჰატემ ბენ არფა

აიაქსელი **კრისტიან ერიკსენისადმი** „ლივერპულის“ ინტერესზე არაერთხელ დაგვიწერია. საქმე გაიწელა. მერსისაიდელებს კი მაქსიმალურად სწრაფად სურთ შემადგენლობის ბოლომდე დაკომპლექტება. ამიტომ ისინი სარეზერვო ვარიანტებზე გადაერთვნენ. ამჯერად ლაპარაკია „ნიუკასლიდან“ 26 წლის **ჰატემ ბენ არფას** შეძენაზე. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელს შარშან სეზონის ნახევარზე მეტი ტრავმების წყალობით გაუცდა. ამის გამო მისი ფასი დაცემულია. „წითლებს“ ფეხბურთელის გადაბირება 10-12 მილიონ ფუნტად შეუძლიათ. „კაჭკაჭებთან“ მის ხელშეკრულებას ვადა 2015 წლის ზაფხულზე გასდის. ასე რომ, მოლაპარაკებათა პროცესი არც ამ შემთხვევაში უნდა იყოს იოლი.

## მოიესის პოზიცია არ შეცვლილა

სწორედ ეს განაცხადა სიდნეიში გამართულ პრესკონფერენციაზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა დევიდ მოიესმა, როცა ჟურნალისტები კიდევ ერთხელ დაეკითხნენ უეინ რუნის შესაძლო ტრანსფერზე. არ შეცვლილა ნიშნავს, რომ კლუბი 27 წლის ვარსკვლავთან გამოთხოვებას არ აპირებს. მოიესმა სესკ ფაბრეგასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზეც თქვა ორიოდე სიტყვა. ინტერვიუს ფრაგმენტები „იუნაიტედის“ ვებგვერდმა გამოაქვეყნა: „ამ ეტაპზე აღნიშნულით ედ ვუდვორდია დაკავებული. ის დეტალებზე ანგარიშს მეც მაბარებს. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში, შესაძლებელია, ხვალაც, რაიმე კონკრეტულის თქმა შემეძლოს. შემადგენლობის გასაძლიერებლად ყველაფერს ვაკეთებთ“.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ყაზარაშვილის ტურნირი


ზვიად პატარიძე

# ძლიერი და სასურველი შეჯიბრება

ხუთშაბათსა და პარასკევს რუსთავმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ **თემურ ყაზარაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს. მას შემდეგ, რაც გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის შეჯიბრება წლევანდელი განრიგიდან ამოვარდა, საერთაშორისო კალენდარში ორად ორი ტურნირი დაგვრჩა - ყაზარაშვილის ზემოაღნიშნული შეჯიბრება და შემოდგომაზე ბათუმში გასამართი **მუხრან ვახტანგაძის** სახელობის ტურნირი, რომელიც პირველად შარშან ჩატარდა.

**კვარცხლბეკი**

**42 კგ. 1. ნუგზარ წურწუმია (საქართველო)**; 2. ნოსალ ბაბაევი (აზერბაიჯანი); **3. ირაკლი აბულაძე (საქართველო)**, პოვია ნასერპოური (ირანი).

**46 კგ.** 1. მონფარედ მოჰამადი (ირანი); **2. ჯონი ხეცურიანი (საქართველო)**; 3. ხოსროვ ადამიანი (სომხეთი), მურატ განკაია (თურქეთი).

**50 კგ.** 1. ერკემ ეზტური (თურქეთი); 2. მურად ჰარუთიანიანი; 3. ნორაირ ჰაკოიანი (ორივე - სომხეთი), **კახა ირემაძე (საქართველო)**.

**54 კგ.** 1. საინ ჰუსეინი (თურქეთი); 2. ელჩინ მამადოვი (აზერბაიჯანი); **3. დავით ჩხარტიშვილი (საქართველო)**, მორთეზა მირზაპოურმაკი (ირანი).

**58 კგ.** 1. ცერგიზ არსლანი (თურქეთი); 2. ზაჰიდ ალაკბარზადე (აზერბაიჯანი); **3. ბექა მამუკაშვილი (საქართველო)**, აბდი სუცუ (თურქეთი).

**63 კგ.** 1. ზოლტან ლევაი (უნგრეთი); **2. გურამ კვერღელიძე (საქართველო)**; 3. არმან ვარდუმიანი, კორიუნ ამირიანი (ორივე - სომხეთი).

**69 კგ. 1. ირაკლი ჩხარტიშვილი (საქართველო)**; 2. მეჰრაი კერიმოვი (აზერბაიჯანი); 3. სერხან აკკოიუნი (თურქეთი), სეიედჰამიპ ტაიმოვრიკორა (ირანი).

**76 კგ.** 1. ცენქიზ ალი (თურქი); 2. მილად მოჰამადი (ირანი); **3. ნუკრი შავაძე (საქართველო)**, დმიტრი ჯიოევი (რუსეთი).

**85 კგ.** 1. ვლადიმერ შავლოხაშვილი (რუსეთი); **2. გიგა ქოქოლაძე (საქართველო)**; 3. მანეშ ფატაჰი (ირანი), ენეს იესილგიგეკი (თურქეთი).

**100 კგ. 1. ზვიად პატარიძე (საქართველო)**; 2. გინაი ბილალი (თურქეთი); 3. ცავიდ ფეიეზიევი, ადამბეკ სიდიკოვი (ორივე - აზერბაიჯანი).

სამწუხაროდ, უცხოური ხანგრძლივვადიანი მივლინების გამო, თავისივე სახელობის შეჯიბრებას ყაზარაშვილი ვერ დაესწრო.

ეს ტურნირი ჭაბუკებში იმართება და ჩვენებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებისთვის გუნდის დასაკომპლექტებლად (თუმცა ევროპის ჩემპიონატი ზოგჯერ წინ უსწრებს მას). ხშირად ჩვენს მოზარდებს უცხოეთში გასვლის საშუალება არ აქვთ და სახლში საერთაშორისო რანგის შეჯიბრების ჩატარება მათთვის გამოცდილების მიღების საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო, რომ წლევანდელი ტურნირი უჩვეულოდ ძლიერი და ხალხმრავალი გამოდგა - ჩამოვიდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, რუსეთისა და უნგრეთის გუნდები. დაგვეთანხმებით, ყველა მათგანი გამორჩეულად ძლიერ საჭიდაო ქვეყნებს მიეკუთვნება. შეიძლება მათი ნაწილი ადრეც მუდმივად ჩამოდიოდა, თუმცა გეოგრაფია ასე ფართო არასოდეს ყოფილა და რაც მთავარია - უმეტესობა ლამის ოპტიმალური შემადგენლობით გვესტუმრა. ჩვენი არ იყოს, მეტოქეებიც მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან და ლიდერებს ცდიან. ცხადია, გარკვეული საკადრო ექსპერიმენტი ყველა გუნდშია და იქნებ მწვრთნელებმა ლიდერთა ნაწილი დაასვენეს, მაგრამ უმეტესობა „საბრძოლო“ შემადგენლობით ჩამოვიდა. სტუმართა შორის ბევრი იყო რეგიონული პირველობების მონაწილე და ბევრსაც ვიხილავთ მსოფლიოს პირველობაზე. ძლიერმა შემადგენლობამ ტურნირის მაღალი დონეც განაპირობა და სავსებით სამართლიანად შენიშნავდნენ მასპინძლები, რომ ეს შეჯიბრება ასე ძლიერი არასოდეს ყოფილა. დაეტყო კიდეც ჩვენს შედეგებს - დავით ბედინაძის შეგირდთა მონაგარი 11 მედალია - 3-3 ოქრო-ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ცხადია, ურიგო შედეგი არც ესაა, მაგრამ ადრე ჯილდოების უმეტესობა ჩვენებს რჩებოდათ, წლეულს კი ასე ვეღარ გაილაღეს. ოღონდაც ამას მივესალმებით კიდეც - რაც უფრო ძლიერ კონკურენციაში მოიპოვებენ მედლებს და სანაკრებო ადგილს, მით მეტი შანსი ექნებათ პირველხარისხოვან ტურნირებში წარმატებით გამოსვლისა. არადა, შეჯიბრებები მართლაც დაძაბული და საინტერესო გაიმართა. შეიძლება ითქვას, რუსთავში ჩვენმა ჭაბუკებმა საჭიდაო ზეიმი მიიღეს საჩუქრად.

ბედინაძის თქმით, ევროპის პირველობასთან შედარებით, ამ ტურნირის შედეგებმა სამ წონაში მართლაც შეცვალა მსოფლიოს პირველობაზე წასაყვანი კადრი, ოღონდ დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. ევროპირველობაზე ნაჭიდავებ შემადგენლობას თუ გადავხედავთ, დიდი ჩაღრმავება არ სჭირდება ამ სამი წონის გამოცნობას, ოღონდაც დაველოდოთ მწვრთნელის მიერ ოფიციალურად გამოცხადებას. ნაკრები მსოფლიომდე შეჯიბრებებში მეტად აღარ იასპარეზებს და მთლიანად მზადების საშეკრებო ეტაპზე გადავა. დარჩენილ კითხვებსაც იქ გაეცემა პასუხი.

დასასრულს ერთიც უნდა შევნიშნოთ: რატომღაც ამ ტურნირმა რუსთავის ხელმძღვანელთა ვერავითარი ინტერესი ვერ გამოიწვია, რომ თუნდაც გახსნის ან დახურვის ცერემონიალზე მისულიყვნენ საკუთარი ქალაქის გამოჩენილი შვილის დასაფასებლად. ყაზარაშვილის ტიტულს თავი დავანებოთ და არც რუსთავია განებივრებული საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებით. თან, ამხელა ქალაქიც ბევრად უკეთეს დარბაზს იმსახურებს.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. მოსკოვის ტურნირი

# ნიკლაურის მოსკოვური ტრავმა

## მუზარადზე წილისწყრა

მოსკოვში „დიდი მუზარადის“ სერიის მორიგი ტურნირი გაიმართება, რომელსაც ჩვენი ნაკრები უსიამოვნო ამბით იწყებს - მოსკოვში ჩასვლისას, ვარჯიშზე ფეხი იტკინა ევროპის პრიზიორმა **ლევან ნიკლაურმა** (81). ჯერჯერობით ტრავმის სირთულეზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან საფუძვლიანი გამოკვლევა არ გაუვლია, თუმცა პირველადი დასკვნებით, დიდი შანსია, მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოტოვოს.

მოსკოვში ჩვენგან **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა**, **ტრისტან ფეიქრიშვილი** (ორივე - 66), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ზვიად გოგოჭური** (90), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ნოდარ მეტრეველი** (ორივე - 100), **ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (+100) იჭიდავებენ.

ევროპის ჩემპიონი პაპინაშვილი პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი ბრაზილიელი **ერიკ ტაკაბატაკესა** და ჰოლანდიელი **ხეროენ მოორენის** პაექრობაში გაირკვევა. ამავე ქვეჯგუფშია აზერბაიჯანელთა მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ილგარ მუშკიევი**, მაგრამ მასთან ჩვენებურებს დადებითი ბალანსი აქვთ, კონკრეტულად პაპინაშვილმა კი კარიერაში ყველა - სამივე შეხვედრა მოუგო. ჩვენებურს ჯგუფში ისეთი არავინ ჰყავს, ნახევარფინალში ვერ გავიდეს, იქ კი ერთ-ერთ შესაძლო მეტოქედ რუსეთის სახელით მოჭიდავე **რობერტ მშვიდობაძეც** ელოდება.

ევროპის მესამე პრიზიორი რეხვიაშვილი პირველ წრეში რუსთა ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მურატ კოძოკოვს** დაეჭიდება, ამ ჯგუფში კი ყველაზე სოლიდური მეტოქე ბელგიელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **დირკ ვან ტიხელტია**, თუმცა რეხვიაშვილმა მას წლევანდელ ევროპირველობაზე დამაჯერებლად მოუგო.

პირველ წრეში გოგოჭურიც თავისუფალია, რომელიც ბრაზილიელი **ედუარდო სილვასა** და ყირგიზი **ჩინგიზ მამედოვის** ორთაბრძოლას დაელოდება მეტოქის ვინაობის გასარკვევად.

ვალერი ლიპარტელიანს მწვრთნელებმა ამჯერად წონა არ დააკლებინეს და 100-ში აჭიდავებენ, თორემ მსოფლიოსთვის 90-ს დაუბრუნდება. პირველ წრეში მისი მეტოქე იაპონელი **იუსიკე კუმაშიროა**, ამ წყვილში გამარჯვებულს კი მომდევნო წრეში უზბეკი **რამზიდინ საიდოვი** ელოდება. მეტრეველი თავდაპირველად რუს **ხაიბულა მაგომედოვს** ხვდება, მას თუ გასცდება და ყაზახ მსოფლიოს ექსჩემპიონ **მაქსიმ რაკოვს** დაეჭიდება.

ლევან მატიაშვილს პირველ მეტოქედ აზერბაიჯანში გადასული ადამ ოქრუაშვილის ძმა - **ვახტანგ ბიტიევი** (დედის გვარით ჭიდაობს) ერგო, თავად ევროპის ვიცე-ჩემპიონი ოქრუაშვილი კი პირველ წრეში თავისუფალია. სამაგიეროდ, მეორე წრეში ელოდება მძიმე ბრძოლა, სადაც, სავარაუდოდ, იაპონელ **რიუტა იშისთან** მოუწევს შეხვედრა - ვფიქრობთ, აზიელმა მანამ უპრობლემოდ უნდა მოუგოს რუს **სერგეი კესაევს**.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით 66-ის წილისყრაზე, რადგან ტექნიკური ხარვეზების გამო, ამ წონის ამბები ოქმში არასრულყოფილადაა შეტანილი - რუსებმა, რომელთა საიტებიც არასოდეს გამოირჩევა სანდოობითა და ოპერატიულობით, ჩვეულებას არც ამჯერად უღალატეს და ვერ უზრუნველჰყვეს ინფორმაციის სრულად მოწოდება.

შაბათს ვაჟებიდან 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, ქალებიდან - 48, 52, 57 და 63-ის წარმომადგენლები, დანარჩენები კი ტატამზე კვირას გავლენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. მადრიდის ტურნირი




# შარიფოვი დაბრუნდა

ამ დღეებში მადრიდმა „ესპანეთის დიდ პრიზს“ უმასპინძლა ოლიმპიურ საჭიდაო სახეობებში, თუმცა ჩვენები იქ მხოლოდ „თავისუფალში“ გამოდიოდნენ. ტურნირი ფრიად წარმომადგენლობითი გამოდგა - სამივე სახეობაში 35 ქვეყნის 250 ათლეტი ასპარეზობდა. ჩვენებურთა მონაგარი ერთი ბრინჯაო აღმოჩნდა, რომელიც 60 კილოგრამში მოჭიდავე **ზურაბ კოტორაშვილმა** მოიპოვა. პრიზიორთა შორის კიდევ ერთი ქართველია - **ლევან მეტრეველი**, რომელიც 55 კილოგრამში მეორე ადგილზე გავიდა, ოღონდ მ,ან ესპანეთის სახელით იჭიდავა.

შეჯიბრება საინტერესო იმ მხრივაც გამოდგა, რომ ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ პირველად იასპარეზა აზერბაიჯანელთა ჩემპიონმა **შარიფ შარიფოვმა**. ბრიტანული ტრიუმფის შემდეგ მან ცოლი მოიყვანა და სპორტისგან აქამდე ისვენებდა. ეტყობა, უქმობა მის წონაზეც აისახა და მადრიდში 96 კილოგრამში იასპარეზა, თუმცა თავი არც ახალ წონაში შეურცხვენია. აღსანიშნავია, რომ ამ წონაში აზერბაიჯანელთა ლიდერმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა **ხეტაგ გოზიუმოვმა** გაიმარჯვა.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 7-21 ივლისი

# ანტირეკორდის გამეორების საფრთხე

ნაგოიას ბაშო 2 დღით ადრე მოიგო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**. მონღოლმა ზედიზედ მე-13 გამარჯვება მოიპოვა და იმპერატორის თასი 25-ედ დაიბევა. უკვე 43 ორთაბრძოლაა იოკოძუნას ბეჭი ვერავინ დაადებინა დოჰიოზე, ბოლოს ის იანვარში დამარცხდა.

**თეიმურაზ ჯულელმა** (გაგამარუ) კი მე-11 მარცხი განიცადა, მას **სადანოფუჯიმ** სუკუინაგეს ილეთით აჯობა. ჩვენებურის მომდევნო მეტოქე **დაიდოა**.


თიმურაზ ჯულელი

გაგამარუ ისე ცუდად ასპარეზობს, რომ მის თანამემამულე **ლევან გორგაძესაც** ჩამორჩება, რომელმაც მე-5 დღეს ტრავმა მიიღო და ტურნირი მიატოვა.

სხვათა შორის, ბაშოზე 2 მოგება თეიმურაზის ანტირეკორდია (2011 წლის ნოემბრის ბაშო) ახლა ის ამ ანტირეკორდის გამეორების საფრთხის წინაშეა.

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოოშუ (იორიკირი), კისენოსატო-ჰარუმაფუჯი (აბისეტაოში), კოტოშოგიკუ-ტოკიტენკუ (იორიკირი), კაკურიუ-ჩიოტაირიუ (იორიკირი), მიოგირიუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), გოეიდო-იკიოი (იორიკირი), სადანოფუჯი-გაგამარუ (სუკუინაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**13-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა)**

**10-3: კისენოსატო (ოძეკი), აოიამა (მაეგაშირა 9), კაისეი (მ 12)... 3-10: ტოჩინოშინი (მ 11)... 2-11: გაგამარუ (მ 2).**

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, ჰაკუჰო-კისენოსატო, კაკურიუ-ოკინოუმი, კოტოოშუ-შოჰოზანი, გოეიდო-აოიამა, მიოგირიუ-იკიოი, გაგამარუ-დაიდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელოელები და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ლონდონში „ლელოს“ საკუთარ კორესპონდენტს პაატა თოთაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

მხატვრული ტანვარჯიში

# მეორე ადგილს არ გასცილებიან

ცნობილი მწვრთნელების — **ლუბოვ სერგოვანცევას** და **ინგა კიკვაძის** რვა შეგირდი მონაწილეობდა სომხურ გიუმრიში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში. ისინი რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში იბრძოდნენ მედლებისთვის. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მრავალჭიდში ორი ოქროს და 5 ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს.

13-წლამდელებში შესანიშნავად იასპარეზა **ვიქტორია შელიამ**, რომელმაც ყველა მეტოქე დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

10-წლამდელებში მას მხარი აუბა **მარიამ კუპრავამ**, რომელიც თანატოლებში პირველი იყო. ლიზი აფაქიძემ, ნინია როხვაძემ, მარინე კაკაბაძემ, ანასტასია არველაძემ და ნუცა სიდამონიძემ მეორე ადგილები დაიკავეს.

**ვაჟა დანელია**


ვიქტორია შელია

ძიუდო. ოლიმპიური ფესტივალი

# ვერცხლის დასასრული

ქართველმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ოქროთი დაიწყეს და ვერცხლით დაასრულეს - ჰოლანდიურ უტრეხტში მიმდინარე ამ სპორტულ ღონისძიებაში პირველ ორ დღეს თუ ოქროები მოიპოვეს, მომდევნო ამდენივე დღის განმავლობაში ვერცხლს დასჯერდნენ. ასე მოხდა პარასკევსაც, როცა ტურნირის ბოლო დღეს მძიმეწონოსანი **გიორგი ძებისაშვილი** ფინალში დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ბიჭების გუნდმა ორ დღეში სამი ფინალი წააგო, მთლიანობაში კი 8-დან 5 ფინალში იჭიდავა.

ძებისაშვილი პირველ წრეში ისვენებდა და ფინალამდე სამი ორთაბრძოლა იპონით მოიგო - ლიტველ **მარტინას ვასკოვიჩიუსთან**, რუმინელ ევროპის მესამე პრიზიორ **ალექსანდრუ მირჩეა კროიტორიუსთან** და ნახევარფინალში ჰოლანდიელ **ხურ სპიხკერსთან.** ფინალში მისი მეტოქეთა ჭაბუკებში ევროპის მოქმედი ჩემპიონი, რუსი **რუსლან შახბაზოვი** აღმოჩნდა, ვინც ევროპის შარშანდელი ვერცხლის მედალოსანიცაა. სამწუხაროდ, ძებისაშვილი მასთან ვერაფერს გახდა, ორი ვაზარი გაატარა და ოქროს მედალიც დათმო.

პარასკევს **გიორგი გველესიანიც** (90) ჭიდაობდა, მაგრამ პირველივე შეხვედრა წააგო ბრიტანელთა მომავალ მესამე პრიზიორ **ჯონ ჯაინესთან.**

ამდენად, ჩვენმა ძიუდოისტებმა უტრეხტში 7 მედალი მოიპოვეს - 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. შეგახსენებთ, რომ ფესტივალის ჩემპიონები **ერეკლე არხოზაშვილი** (55) და **გიორგი კაციაშვილი** გახდნენ, მეორეზე **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **იესო კვირიკაშვილი** (81) და ძებისაშვილი გავიდნენ, მესამე პრიზიორები კი **სიმონ მამარდაშვილი** (66) და გოგოების ნაკრების წევრი **მარიამ ჯანაშვილი** (52) გახდნენ.

**ბიჭები: 90 კგ.** 1. სულთან აბდულაევი (რუსეთი); 2. მარტii პუუმალაინენი (ფინეთი); 3. ჯონ ჯაინე (ბრიტანეთი), როკ პოლაზცეკი (სლოვენია). **+90 კგ.** 1. რუსლან შახბაზოვი (რუსეთი); 2. გიორგი ძებისაშვილი (საქართველო); 3. ფედირ პანკო (უკრაინა), ხურ სპიხკერსი (ჰოლანდია). **გოგოები: 70 კგ.** 1. კამილა პასტერნაკი (პოლონეთი); 2. ელეონორა გერი (იტალია); 3. მარინა ბუკრეევა (რუსეთი), სარა როდრიგესი (ესპანეთი).

**ირაკლი თავაძე**

# მძლეოსნები უმედლოდ

უტრეხტში ხუთმა მძლეოსანმა იასპარეზა. **გოგა მაღლაკელიძემ** (სამხტომი, 14.31 მ) და **მარი ძაგნიძემ** (სიგრძეზე ხტომა, 5,81) მეხუთე ადგილები დაიკავეს, ხოლო **გიორგი ონიანი** (ურო, 57,63) და **თემურ აბულაშვილი** (ბადრო, 44,70) მე-11 ადგილებს დასჯერდნენ. უკვე გაუწყეთ, რომ მოცურავე **აკაკი ვაშაკიძე** 100 მეტრზე ბატერფლაით (57,41) მე-10 ადგილზე გავიდა. მანვე ამავე ყაიდით 200 მეტრზე მოსინჯა ძალები და 2.08,34-ით ისევ მეათე იყო.

**ვაჟა დანელია**

სპორტი ყველასათვის

# ქართული ნარდი ლუდის ფესტივალზე

როგორც ცნობილია, ამ დღეებში თბილისში ჩატარდა „ნატახტარის“ ლუდის ფესტივალი. ვარდების მოედანზე გაიმართა შთამბეჭდავი კულტურული ღონისძიებები, მაგრამ სპორტი პირველად იყო წარმოდგენილი. საპატრიარქოსთან არსებული გვარი და გვარიშვილობისა და საქართველოს ნარდის ასოციაციის თაოსნობით გაიმართა გვარებს შორის გუნდური (4 მამაკაცი, 1 ქალი) ტურნირი ქართულ ნარდში. ფინალისტები 8 გუნდს შორის გამოვლინდა. მჭედლიშვილებმა 3:2 აჯობეს ბრეგვაძეებს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. პირად პირველობაში გაიმარჯვა **დავით ბრეგვაძემ.** ტურნირის უხუცესი მონაწილე იყო **იოსებ მჭედლიშვილი,** რომელსაც მალე დაბადების 85 წელი უსრულდება.

„ნატახტარის“ მესვეურები კმაყოფილები დარჩნენ ასპარეზობით. ამ კომპანიის წარმომადგენელმა **ნინო სურმავამ** შეჯიბრების ტრადიციად დამკვიდრებისა და ნარდის ასოციაციასთან შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა. ორგანიზატორებმა და „ნატახტარმა“ გულუხვად დააჯილდოვეს მონაწილეები, რისთვისაც მათი და ასოციაციის მადლობა დაიმსახურეს. ერთ-ერთმა მონაწილემ **ალკაზარ კაკულიამ** ექსპრომტიც გაახმოვანა: „თუ ქართველი ხარ ნამდვილი, არ შეგეშლება მგონია, ლუდის სმა ნარდის გარეშე, - აბა ვის გაუგონია!“

ორგანიზატორები წარმატებას ულოცავენ გვარის წინამძღოლებს **ირაკლი ბრეგვაძეს** და **ნიკოლოზ მჭედლიშვილს.**

®



ფინალისტების შეხვედრა



გამარჯვებული მჭედლიშვილები

ევრობასკეტი. მოსაზრება უკანახაზელებზე

# ვისზე ნაკლებები ვართ?



შერმადინი და ჰიკმანი „მაქაბიში“

*დასაწყისი „ლელოს“ გუშინდელ ნომერში*

ამ სტატიის პირველ ნაწილში გავაანალიზეთ ევრობასკეტზე ჩვენი მეტოქეების უკანა ხაზი. დავინახეთ, რომ თუნდაც ამ კომპონენტის მიხედვით ჯგუფიდან გამსვლელ სამ საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრა შეგვიძლია.

ახლა საკითხავია, რომელ კალათბურთელს რა ფუნქცია დაეკისრება. ერთი პატარა მაგალითი შორს მიმავალი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს:

2012 წლის 5 სექტემბერს, შესარჩევ ეტაპზე ბოსნიას ვუმასპინძლეთ. საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე **მანუჩარ მარკოიშვილმა** სამქულიანით 103:102 დაგვაწინაურა. ორიოდე წამში **მირზა ტელეტოვიჩმა** ურთულესი პოზიციიდან სამქულიანი ჩააგდო და ბოსნიამ ორი ქულით გაგვასწრო. მატჩის დასრულებამდე 12 წამით ადრე საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **ჯეიკობ პულენმა** სამქულიანით სცადა თამაშის მოგება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ნამატჩევს მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** აღნიშნა: პულენი ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყოო. შემდეგ გაირკვა, კომბინაცია ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ბურთი უნდა მიეღო **ზაზა ფაჩულიას,** რომელიც მარცხენა ფლანგზე გადავიდა და ნახევარი ბოსნია მას გადაჰყვა. შესაბამისად, მარჯვნივ მარკოიშვილი თავისუფალ პოზიციაში დარჩა და პულენს პასი მისთვის რომ გადაეწოდებინა, მანუს სამქულიანის ტყორცნაც შეეძლო და ფარქვეშ შესვლისთვისაც დარჩებოდა დრო.

არ გეგონოთ, თითქოს ნაგების ტვირთს ნატურალიზებულ ამერიკელს ვკიდებდეთ. მის ადგილას შესაძლოა, ქართველსაც სამქულიანი ესროლა, მაგრამ გამოცდილი კალათბურთელი (თუნდაც ამერიკელი ყოფილიყო) მარკოიშვილის მისამართით პასს თუ არ გაიმეტებდა, მეურვეს მოატყუებდა და ფარქვეშიდან „მშვიდ“ ორქულიანს ჩააგდებდა (აკი გითხარით, ნახევარი გუნდი ფაჩულიას გადაჰყვა-თქო). სწორედ ასე მოიქცა მაკედონიელი **ბო მაკალები** ევრო-2011-ზე, საქართველოს ნაკრებთან მატჩის ბოლო წამებზე - 65:63 გვაჯობა. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა **რიკი ჰიკმანი** „მაქაბი“-“მონტეპასკის“ შეხვედრის მსვლელობისას - სიენელთა ფარქვეშ შეძვრა და თელავიველებს სირენასთან ერთად გამარჯვების ორქულიანი მოუტანა.

მიხვდებოდით, რისი თქმაც გვსურს - ჰიკმანს საკმარისი გამოცდილება აქვს და იცის, უმაღლესი რანგის მატჩებში რა სიტუაციაში როგორ მოიქცეს. რატომლაც, ჩვენს ნაკრებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ბოლო წამებზე თამაშს საკუთარ თავზე უცხოელი იღებს. გავიხსენოთ **ტაირონ ელისი** და შვედეთთან მატჩი, **ტორინ გრინი** და ბულგარეთთან შეხვედრა... მაგრამ გვავიწყდება, რომ მარკოიშვილი „კანტუში“ კრიტიკულ მომენტში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა. ასე დაამარცხა მადრიდის „რეალი“, ცოტა დააკლდა „ფენერბაჰჩესთან“. სხვათა შორის, მანუ გამთამაშებლადაც ისეთივე სასარგებლოა, როგორც მსროლელად (ამის მაგალითი „კანტუსა“ და „კიევის“ თამაშებია), მაგრამ ჩვენი ნაკრების თავკაცს მსგავსი „ექსპერიმენტი“ არ ჩაუტარებია.

...და გიორგი ცინცაძე? მან შორეულ 2008 წელს, ევროჩელენჯზე, ესტონური „ტარტუ როკის“ მაისურით რუსულ „ურალ გრეიტს“ მეოთხე პერიოდში 15 ქულა ჩაუგდო და გათამაშებიდან გამოაგდო. შესძლებია? ეს მან წლეულსაც დაამტკიცა, „ბუდიველნიკის“ შემადგენლობაში რიგ მატჩებში ლიდერობას კისრულობდა და უკრაინის ჩემპიონიც გახდა.

არის ერთი ოღონდ: საქართველოს ნაკრების მაისურით რომელიმე კალათბურთელი მოედანზე 35 წუთს რომ გაატარებს, ბოლო წამებზე ლიდერობის ტვირთის ასაღებად ძალა როგორ შერჩება? მწვრთნელმა ეს წინასწარ უნდა განსაზღვროს და იცოდეს, ცინცაძეს რამდენი წუთი ჰყოფნის დასასვენებლად, მარკოიშვილს - რამდენი და ა.შ. უკრაინის ჩემპიონატში „ბუდიველნიკის“ მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** ერთ-ერთ სერიოზულ მეტოქესთან შეხვედრის პირველ ტაიმში გიორგი ცინცაძე მხოლოდ 5 წუთი ათამაშა. გაგიკვირდებოდათ, რადგან „ბუდიველნიკში“ გიორგიმ მოკლე დროში კარგად გაისარჯა. თურმე ბაგაცკისს სხვა ჩანაფიქრი ჰქონდა: პირველ ტაიმში ქართველი პლეიმეიქერი დაასვენა, რომ მეორეში სრულად დაეტვირთა - ასეც მოხდა, მესამე პერიოდის შუაში მოედანზე რომ შეიყვანა, მას მერე აღარ გამოუცვლია და კიეველებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს.

■ ■ ■

2012 წელს, შესარჩევზე საქართველოს ნაკრები იოლად გასაშიფრი გუნდი იყო: ყველა მეტოქემ იცოდა, რომ ძირითადად 6 კალათბურთელით თამაშობდა და მეოთხე პერიოდში ისეთივე ტემპში ვერ დარბოდა, როგორც დასაწყისში. ამიტომ წავაგეთ ბოლო პერიოდები ლატვიასთან, ბოსნიასთან, ჰოლანდიასთან... ისიც ყველამ იცოდა, რომ ბურთი ცინცაძეს უნდა გაეთამაშებინა და როცა ისვენებდა, პლეიმეიქერობას ჯეიკობ პულენი კისრულობდა... მეტოქეთათვის ცნობილი იყო, რომ პერიმეტრზე პულენი და მარკოიშვილი უნდა გადაეკეტათ. ცინცაძე, სანიკიძე და სხვა კალათბურთელები შორი დისტანციიდან კი სტყორცნიდნენ, მაგრამ იშვიათად...

ზაზა ფაჩულიას გამოკლებით არა მხოლოდ წინახაზელთა ტაქტიკა-სტრატეგია შეიცვლება, პერიმეტრის მოთამაშეებისაც. შედარებით მსუბუქი წინახაზელის, **ნიკა ცქიტიშვილის** მოედანზე გასვლის შემთხვევაში, თამაში სწრაფ ტემპში შეგვიძლია წარვმართოთ. ამ საქმეში დიდი წვლილი ტანდაბლებმა უნდა შეიტანონ.

თუ ევრობასკეტზე წარმატების მიღწევა გვსურს (ეს რეალურია), ჩვენმა მეტოქეებმა არ უნდა იცოდნენ პერიმეტრიდან რომლისგან უფრო მეტ ხიფათს ელოდნენ - ჰიკმანისგან, მარკოიშვილისგან თუ ცინცაძისგან. სამივე კარგად ისვრის სამქულიანებს... მეტოქეებისთვის დამაბნეველი იქნება სხვადასხვა მომენტში გამთამაშებლად სამი კალათბურთელის ხილვა... შენგელია - მსროლელად... და რაც მთავარია, ზედმეტად ერთი კალათბურთელიც არ უნდა დაიტვირთოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო წამებისთვის „დამრტყმელი ძალა“ ენერგიით იყოს სავსე, იმიტომაც, რომ მომდევნო დღეს არანაკლებ რთული ბრძოლა იქნება. საქართველოს ნაკრებს ხომ 6 დღეში 5 თამაშის ჩატარება მოუწევს. ასე რომ, იგორ კოკოშკოვს სათადარიგოთა პოტენციალის ბოლომდე ამოქმედება მართებს.



ცინცაძე და მარკოიშვილი (11) ბელარუსთან ამხანაგური შეხვედრისას

ისევე როგორც 2011 წლის ევრობასკეტზე ვიცოდით, საქართველო შემადგენლობით უკრაინაზე, ბულგარეთსა და ბელგიაზე უკეთესი იყო, წლევანდელ ევრობასკეტზეც შესწევს ჯგუფიდან გასვლის ძალა. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მშვილდოსნობა. ევროპის თასი

# მხოლოდ გოგოებმა გაიბრძოლეს

ბუქარესტში, ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა ევროპის თასზე გუშინ პლეი ოფები გუნდურ პირველობაში გაიმართა, ჩვენიო ოთხიო ნაკრებიდან კი პირველი წრე მხოლოდ ახალგაზრდა გოგოებმა დასძლიეს. **თეონა კუტალაძის, ნინო დევაძისა** და **თეონა არჯევანიძის** სამეული რუმინელებს ხვდებოდა და სოლიდური, 20-ქულიანი უპირატესობით მოუგეს - 184:164. მომდევნო შეხვედრა მათ მომავალ ჩემპიონ უკრაინასთან დათმეს - 176:207.

პირველი წრის დაძლევასთან ახლოს იყვნენ ახალგაზრდა ბიჭებიც, რომლებიც გადასროლაში დამარცხდნენ ბრიტანელებთან. აქ ძირითადი სერია ფრედ დასრულდა - 210:210 და წესისამებრ, ორივე გუნდის სამივე მონაწილემ თითო ისარი ისროლა. უფრო ზუსტნი კუნძულელები აღმოჩნდნენ, რომლებმაც დამატებითი სერია 29:27 მოიგეს.

რუმინელებს ხვდებოდნენ 17-წლამდელი გოგოებიც, თუმცა უფროსთაგან განსხვავებით, კარპატელებთან ვერაფერს გახდნენ - 175:202 წააგეს. ამავე ასაკის ბიჭები ბულგარელებთან დამარცხდნენ - 192:219.

ბუქარესტში დღეს ფინალების დღეა ანუ გაიმართება მედლებისთვის შეხვედრები, თუმცა ჩვენთვის ტურნირი გუშინ დასრულდა.

**ირაკლი თავაძე**

ზე რაგბი

# ყველაფერს ინდივიდები წყვეტენ

**ზე რაგბის გათამაშებაში ბოლო, გადამწყვეტი ეტაპის დრო დადგა. ნახევარფინალის შესარჩევ მატჩებში ახალზელანდიური ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ ავსტრალიურ ბრისბენის „რედსს“ უმასპინძლებს. „წითლების“ თანამემამულე კანბერას „ბრამბიზი“ კი, სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“ მიიღებს.**

ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ წლევანდელი სეზონი არასტაბილურად დაიწყო და ლიდერთა შორისაც არ იყო. „ჯვაროსნებმა“ საჭირო მომენტში მაინც მოახერხეს სასურველ ფორმაში შესვლა და ბოლო სამი თვის განმავლობში მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს.

ბრისბენელებთან საშინაო მატჩში, ცხადია, ფავორიტი „კრუსეიდერზია“. თავად განსაჯეთ. ამ გუნდს მსოფლიოში საუკეთესო მესამე ხაზი ჰყავს: **ჯორჯ ვაითლოქი, მეთ ტოდი** და **კირან რიდი.** აქვე თამაშობს ბრწყინვალე მგეზავი **დენ კარტერი** და ყველაზე საშიში უკანა ხაზელები: **იზრაელ დაგი, ტომი მარშალი, ზაკ გილფორდი.** ალარაფერს ვამბობთ მსოფლიოს საუკეთესო მესამეხაზელზე, ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერსა და კაპიტან **რიჩი მაქოაზე,** რომელმაც ტრავმა ახლახან მოირჩინა და გუნდის მწვრთნელმა სათადარიგოთა შორის გაამწესა.

ერთია, როგორ გამოიყურება გუნდის შემადგენლობა ქალალდზე და სხვაა, რამდენად შეძლებს მწვრთნელი მის ხელთ არსებული მორაგბეების პოტენციალის გამოყენებას. ბრისბენელები, რომლებიც შარშანწინდელი გათამაშების გამარჯვებულები არიან, ამ შედეგის გასამეორებლად ყველაფერს გააკეთებენ.



„წითლების“ შემადგენლობაში გამორჩეული მოთამაშეები ცხრა ნომერი **ვილი გენია** და მგეზავი **ქუადე კუპერი არიან,** რომლებსაც ინდივიდუალურად შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. ამ წყვილში გამარჯვებული ნახევარფინალში სტუმრად ეთამაშება სამხრეთაფრიკულ პრეტორიის „ბლუ ბულზს“.

### კრუსეიდერზი–რედსი

**კრუსეიდერზი:** 15. იზრაელ დაგი, 14. ტომი მარშალი, 13. რაიან კროფტი, 12. ტომ ტეილორი, 11. ზაკ გილფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ენდი ელისი. 1. ვაით კროკეთი, 2. კორი ფლინი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სემ ვაითლოქი, 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. მეთ ტოდი, 8. კირან რიდი.

16. ბენ ფუნელი, 17. ჯო მუდი, 18. ლუკ ვაითლოქი, 19. რიჩი მაქოა, 20. ვილი ჰეინცი, 21. ტაილერ ბლეინდაალი, 22. ადამ ვაითლოქი.

**რედსი:** 15. ბენ ლუკასი, 14. დომ შიპერლი, 13. ბენ ტაპუაი, 12. ჯონო ლენსი. 11. კრის ფეაუაი-საუიტია, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. გრეგ ჰოლმსი, 2. საია ფაინგაა, 3. ჯეიმზ სლიპერი, 4. რობ საიმონსი, 5. ჯეიმზ ჰორვილი, 6. ედი ქუირკი, 7. ლიამ გილი, 8. ჯეკი შატცი.

16. ალბერტ ანაე, 17. ჯონო ოუენი, 18. ედ ოდონჰუე, 19. რადეკი სამო, 20. ბო რობინსონი, 21. ნიკ ფრისბი, 22. ლუკე მორაჰანი.

მეორე წყვილში, როგორც უკვე ვთქვით, ავსტრალიური კანბერას „ბრამბიზი“ შინ მიიღებს სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“. ამ უკანასკნელს სეზონის დაწყების წინ პლეი ოფში არავინ ელოდებოდა. ჩიტაზელებმა უკან მოიტოვეს ისეთი სამხრეთაფრიკული „ვეშაპები“, დურბანის „ნატალ შარქსი“ და კეიპთაუნის „სტორმერზი“ რომ არიან.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ ასეთ კარგ ასპარეზობას არც კანბერელებისგან ელოდებოდა ვინმე. ამ ფაქტს რაგბის სპეციალისტები იაპონიიდან „ბრამბიზში“ დაბრუნებულ მესამეხაზელ **ჯორჯ სმითს** მიაწერენ. ის მართლაც ძალიან მაგარი მორაგბეა, მაგრამ, ფაქტია, რომ მარტო ვერას გახდებოდა. მით უფრო, რომ კანბერელებმა ავსტრალიის კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავეს. სმითის გარდა „ბრამბიზში“ წამყვანი მოთამაშეები **კრისტიან ლეალიფანო** და **მეთ ტოომუა** არიან.

„ჩიტაზის“ ნახევარფინალში გასვლის შანსი, ვფიქრობთ, მაინც მინიმალურია. თუმცა წარმატების შემთხვევაში ბლუმფონტეინელებს სტუმრად მოუწევთ თამაში ზე რაგბის ამჟამინდელ ჩემპიონთან, ახალზელანდიურ ჰემილთონის „ჩიფსთან“.

### ბრამბიზი–ჩიტაზი

**ბრამბიზი:** 15. ჯესი მოგი, 14. ჰენრი სპეიგთი, 13. ტევიტა კურიდრანი, 12. კრისტიან ლეალიფანო, 11. კლაიდ რათბონი, 10. მეთ ტოომუა, 9. ნიკ ვაითი. 1. სკოტ სიო, 2. სტივენ მური, 3. ბენ ალექსანდერი, 4. სკოტ ფარდი, 5. სემ კარტერი, 6. პეტერ კიმლინი, 7. ჯორჯ სმითი, 8. ბენ მოვენი.

16. სილვია სილვია, 17. რუან სმითი, 18. ფოტუ აუელა, 19. კოლბი ფაინგაა, 20. იან პრიორი, 21. ენდრიუ სმითი, 22. ჯო ტომანე.

**ჩიტაზი:** 15. ჰენი დანიელი, 14. ვილი ლე რუ, 13. ჯოან სედი, 12. რობერტ ებერსონი, 11. რაიმონდ რულე, 10. რაიან სმითი, 9. პიტ ფან ზილი. 1. კოენ ოსტჰუიზენი, 2. ადიან სტრაუსი, 3. ლორან ადრიანსე, 4. ლუდ დე იაგერი, 5. ლიგტორინგ ლანდმანი, 6. ჰაინრიც ბრსოუ, 7. ლაპის ლაბუსჰაჰნი, 8. ფილიპ ფან დერ მერვე.

16. რინო ბარნსი, 17. ტრევორ ნიაკანე, 18. ვოლტიე ვერმულენი, 19. ბუმ პრინსლოო, 20. სერელ პრეტორიუსი, 21. ელგარ ვოტსი, 22. რეინო ბენიამინი.

ამხანაგური მატჩი



# ტულონი VS მარსელი

ტულონში „სტად დე მაიოლზე“ უცნაური მატჩი გაიმართა. ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ინიციატივით, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გამარჯვებული, **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი“, ამავე ქვეყნის საუკეთესო საფეხბურთო გუნდს, „მარსელს“ დაუპირისპირდა.

შეხვედრა უცნაური იმით იყო, რომ გუნდებმა პირველ ტაიმში ფეხბურთი ითამაშეს. შესვენების შემდეგ საფეხბურთო კარები სარაგბოთი შეცვალეს და გუნდებმა ოვალური ბურთით თამაში გააჩაღეს.

ალსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში მატჩის არბიტრი ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი **ერიკ კანტონა** იყო. თუმცა მერე, როცა გუნდებმა რაგბის თამაში დაიწყეს, „ტულონის“ კვართი ჩაიცვა და სარაგბო კლუბის ღირსებას იცავდა. ერთ-ერთი ლელოს გატანის შემდე გარდასახვა კანტონას დაარტყმევინეს. მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავმა 22 მეტრიდან ბურთი ხარიხას გაარტყა.

თამაში კი „დაძაბულ ბრძოლაში“ წარიმართა და „მარსელის“ გამარჯვებით დასრულდა მინიმალური სხვაობით - 36:35.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



კალათბურთი

# დოკ რივერსი: არჩევანს არ ვნანობ

**ამ ზაფხულს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დოკ რივერსის გადაწყვეტილებამ "სელტიქსიდან" "კლიპერსში" გადაბარგების თაობაზე. ბევრის აზრით, სწორედ ამ სპეციალისტის ფაქტორი მისცემს საშუალებას კალიფორნიულ კლუბს ახალ სეზონში სიმპათიური და სანახაობრივი გუნდიდან ჩემპიონობის ნამდვილ პრეტენდენტად გადაიქცეს.**
**მიუხედავად ამისა, დოკმა კარგად იცის, რომ ის მარტო ვერ შეძლებს ამის გაკეთებას. მას არ დავიწყებია "სელტიქსში" მუშაობის ის პერიოდი, რომელსაც მოკლედ შეიძლება ვუწოდოთ - "ბოსტონი" "დიდ ტრიომდე". 2004-05 და 2005-06 წლების სეზონში მისი გუნდი ახლოსაც არ იყო იმ თამაშთან, რაც შემდგომ წლებში ვნახეთ. და "კელტების" არც ერთი ფანი არ აიყვანდა იმ პერიოდში კოლორიტულ მწვრთნელს ცაში.**
**შემდეგ დადგა 2007 წლის ივლისი, რომელმაც „ააფეთქა" საკალათბურთო საზოგადოება და შეცვალა NBA. კევინ გარნეტი და რეი ალენი შეუერთდნენ "სელტიქსის" უცვლელ კაპიტანს პოლ პირსს და შეიქმნა პირველი ორიგინალური "დიდი ტრიო". ამის შემდეგ, "ბოსტონმა" მოიგო ჩემპიონობა და ყოველ მომდევნო სეზონში ტიტულის პრეტენდენტად მიიჩნეოდა. და ამაში რივერსის დიდი წვლილია. დღეს მან ახალი გამოწვევა მიიღო - ლოს ანჯელესის მუდმივად მეორე გუნდი NBA-ის ჩემპიონად უნდა აქციოს.**

**- დოკ, თქვენს კარიერაში ყოფილა მსგავსი მომენტები. დაგვეთანხმეთ, "კლიპერსის" ახალბედების პრეზენტაცია ჰგავდა იმ დღეს, როცა "ბოსტონმა" პუბლიკას წარუდგინა "დიდი ტრიო". შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში ანალოგის გავლება? მაშინაც და ახლაც, გუნდში დიდი ფული ჩაიდო და მიზნებიც მაღალი დაისახა.**

- ჩემი აზრით, ის დღე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო როგორც კლუბისთვის, ასევე მთლიანად ლიგისთვის. რაც არ უნდა იყოს, ერთ გუნდში ისეთი ოსტატების შეკრება, როგორებიც არიან პოლ პირსი, რეი ალენი და კევინ გარნეტი - ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო. ამ ტრიოდან თითოეული გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახლდათ. "კლიპერსში" კი სხვა სიტუაციაა. რა თქმა უნდა, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ კრის პოლი, ბლეიკ გრიფინი და დაენდრე ჯორდანი მომავალში NBA-ის დიდების დარბაზის წევრები გახდებიან. მაგრამ ამათ გარდა, ჩვენ გუნდში დავამატეთ ახლები. მეტ ბარნსი, დარენ კოლისონი, ჯეი ჯეი რედიკი და ჯარედ დადლი უკვე დასახელებულ მოთამაშეებთან ერთად ქმნიან გუნდის ბირთვს. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს კარიერაში ასეთი დღე დადგებოდა.

**- ამ "კლიპერსის" შემხედვარე, როგორ აფასებთ თქვენი კლუბის ამბიციებს? რა ამოცანები იქნება რეალისტური თქვენი შეგირდებისთვის?**

- ამ მომენტისთვის, ეს ჩემთვისაც კი უცნობია. ისე ჩანს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია, მაგრამ ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. სწორედ ამაშია "კლიპერსის" განსხვავება "სელტიქსისგან". როცა ჩვენ ერთ გუნდში შევკრიბეთ პირსი, გარნეტი და ალენი, ზუსტად ვიცოდით - ეს ბიჭები დაიღალნენ თავიანთ კლუბებში სატურნირო ცხრილის ფსკერზე ყოფნით. NBA-ში დიდი გამარჯვების გარეშე გატარებული ხანგრძლივი დროის შემდეგ, მათ ყველაფერი დაივიწყეს და ერთი მიზნით გაერთიანდნენ. რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ გუნდს, აქ გაცილებით ახალგაზრდა მოთამაშეები არიან შეკრებილნი. და ბევრისთვის საინტერესოა იმის გაგება, შეძლებენ თუ არა ისინი ბევრი რამის გაწირვას ჩემპიონის ტიტულისთვის. ბევრი მათგანისთვის რთულია მაშინვე იმის გაცნობიერება, რომ თუ გამარჯვება გსურს, აუცილებლად უნდა გადააბიჯო პირად ამბიციებს.

**- არსებობს შიში იმისა, რომ შეიძლება არ გამოგივიდეთ?**

- შეიძლება იყო მაქსიმალურად ალტრუისტული გუნდის ინტერესების მიმართ და შენ ამის გამო ყველა თავზე გადაგისვამს ხელს, მაგრამ, ამასთან, შენ და შენს გუნდს არაფერი დაგრჩებათ. ეს არის ზღვარი, რომლის შეგრძნება მხოლოდ ძალიან გამოცდილ მოთამაშეებს აქვთ. ჯერ ბოლომდე კარგად არ ვიცნობ ჩვენს ყველა კალათბურთელს. რაც ზემოთ ვთქვი, პირველ რიგში, სწორედ მათ ეხებათ. დეანდრეს, კრისისა და ბლეიკის არჩევანზე იქნება დიდწილად დამოკიდებული ჩვენი სამუშაოს შედეგი. და თუ ისინი შეძლებენ ამის გაგებას, მაშინ წარმატებული სეზონი გველოდება. სწორედ ამისთვის დავაბრუნეთ "კლიპერსში" ბარნსი, ამიტომაც ლამობდა ჩვენთან მოსვლას რედიკი, რომელსაც ორ ფინალურ სერიაში უთამაშია, მაგრამ ორივე წააგო. მან იცის, რომ ხშირად ფინალამდე გზა უფრო რთულია, ვიდრე თავად ფინალი. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშე ვერ ხვდება, რას ნიშნავს ეს. და იმედი მაქვს, რომ ჩვენი ახალბედები გაუზიარებენ მათ საკუთარ გამოცდილებას.

**- როცა გუნდის ახალბედებზე ლაპარაკობთ, მიგაჩნიათ, რომ ისინი შეძლებენ გრიფინის ტემპით პროგრესირებას? რაც შეეხება თავად ბლეიკს, უკვე დაალაგეთ მასთან კონტაქტი?**

- არ შემიძლია იმის თქმა, რომ უკვე ვინმესთან მჭიდრო კონტაქტი გვაქვს. ეს პროცესი სწორედ ახლა მიმდინარეობს. ბლეიკი და დეანდრე ძალიან კარგად მუშაობენ ვარჯიშებზე, რაც მახარებს. უახლოეს დღეებში ჩვენ შევხვდებით მათ არაოფიციალურ სიტუაციაში, მაგრამ უკვე დღეს ვარ შთაბეჭდილებების ქვეშ ამ ორი ბიჭის გამო. მათი ბუნებრივი ნიჭი გამყარებულია დაუჯერებელი შრომით. და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**- რამდენად მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე თითოეულ მოთამაშესთან მჭიდრო კავშირის დამყარება?**

- ამაზე ვიმუშავებთ მთელი ზაფხული. მინდა ბიჭებმა გაიგონ, რას ვითხოვ მათგან. მათ უნდა შეიგრძნონ მიმდინარე პროცესის მნიშვნელობა, რათა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანდნენ.

**- ვიცით, რომ წარსულის გახსენება არ გიყვართ, მაგრამ გვინდა გავიგოთ, რამდენად უმტკივნეულოდ მოხდა "სელტიქსთან" დაშორება? ხომ არ დარჩა გაურკვეველი საკითხები ყოფილ კლუბთან? შეძლეს ხელმძღვანელობამ და გულშემატკივრებმა თქვენს გადაწყვეტილებასთან შეგუება?**

- ყველას ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ. ვიღაცამ შეძლო ეს, ვიღაცამ – ვერ მოახერხა. მაგრამ გაკეთებულს ვერ დააბრუნებ. მე ახლა "კლიპერსის" მწვრთნელი ვარ და ამას ვერავინ ველარ გამოასწორებს. პირადად მე მოხარული ვარ იმის გამო, რომ კალიფორნიაში გადავედი. მივიღე საშუალება უფრო ხშირად მოვინახულო ქალიშვილი, რომელიც აქ ცხოვრობს. ვიცი, რომ "ბოსტონის" გენერალურმა მენეჯერმა დენი ეინჯმა ამ სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღო. ცოტამ თუ იცის, სინამდვილეში როგორ მოხდა ყველაფერი. მეორეს მხრივ, ბოსტონის მოსახლეობამ შესანიშნავად უწყის, რა გავაკეთე ქალაქისთვის და გუნდისთვის. მე მათ სრულად მივეცი საკუთარი თავი. და როცა ცვლილებების დრო მოდის, მხოლოდ იმით უნდა იცხოვრო, რაც შენთვის არის მომზადებული. ერთხელ ჩაკ დეილიმ თქვა, რომ შენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას აქვს წარმატების 50 პროცენტი შანსი. მე გავაკეთე ჩემი არჩევანი და არ ვნანობ ამას. ბოსტონში კი გავატარე ცხრა შესანიშნავი წელი და ეს მხოლოდ სპორტულ მიღწევებს არ უკავშირდებოდა.

**- მაგალითს მოგვიყვანთ?**

- მე შევხვდი მასაჩუსეტსში სამ ადამიანს, რომლებიც მთელი ცხოვრება ჩემს მეგობრებად დარჩებიან. მე მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს, კალიფორნიაში გადასვლის შემდეგაც. ამას არასოდეს დავივიწყებ. მაგალითად, ამასწინ დენი ეინჯს შევხვდი და ორლანდოში გოლფი ვითამაშეთ. რაც შეეხება გულშემატკივრებს, იმედია, ისინი გამიგებენ და მიიღებენ ჩემს გადაწყვეტილებას.

**- ბევრჯერ გითქვამთ, რომ ყველამ არ იცის სიმართლე იმაზე, რატომ გადაწყვიტეთ გუნდის შეცვლა. ნუთუ არის ისეთი რამ, რაც ადამიანებმა არ უნდა იცოდნენ?**

- არ მინდა ამის გარჩევა. ბევრი მადანაშაულებს იმაში, რომ თითქოს მე ვიყავი "სელტიქსიდან" წასვლის ინიციატორი, მაგრამ ეს შორს არის სიმართლისგან. სწორედ აქედან მოდის ჩემი საქციელის სრული გაუცნობიერებლობა და გაუგებრობა. მიუხედავად ამისა, როცა ეს მოხდა, დიდი წინააღმდეგობა არ გამიწევია. კარიერის გაგრძელების შესანიშნავი შესაძლებლობა მივიღე და ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი.

**- იქნებ საქმე იმაშია, რომ დენი ეინჯი მიხვდა - ახალი გუნდის მშენებლობის დრო იყო და თქვენი წასვლა ამ პროცესს დააჩქარებდა.**

- ჩემი აზრით, "სელტიქსის" მენეჯმენტმა გიგანტური სამუშაო გასწია. მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს ბრედ სტივენსი, რომლის დიდი ფანი გახლავართ. დენი ეინჯმა მთხოვა მას გავსაუბრებოდი იმის გასაგებად, რამდენად მზად იყო NBA-ში სამუშაოდ.

**- ლაპარაკი იყო მის მუშაობაზე მწვრთნელად თუ ასისტენტად?**

- მწვრთნელად. და ერთი თვის შემდეგ მან ჩემი ადგილი დაიკავა. მე მას ვეუბნებოდი, რომ ის NBA-ში შესანიშნავი მწვრთნელი გახდება, რომ მზად არის ამ სამუშაოსთვის. როგორც ჩანს, ის დააკვირდა "სელტიქსიდან" ჩემი წასვლის პროცესს და ასევე გადაწყვიტა, რომ მის ცხოვრებაში ცვლილებების დრო იყო.

**- ისე გამოვიდა, რომ თქვენ უბიძგეთ მას სტუდენტური კალათბურთის დატოვებისკენ?**

- იმედია, რომ ეს ასე არ არის.



დოკ რივერსი

ამბები

## პირველი ჩინელი პანათინაიკოსში

ბერძნული პრესის ინფორმაციით, "პანათინაიკოსმა" ხელშეკრულება გააფორმა ფორვარდ **პინგ შენგთან**, რომელიც ჩინეთის პირველი წარმომადგენელი იქნება ბერძნული გრანდის ისტორიაში. ხელშეკრულება ერთი წლით გაფორმდება.

შენგი თამაშობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში - ნებრასკასა და ილინოისის კოლეჯში. ბოლო სეზონი კი კალათბურთელმა სამშობლოში ჩაატარა, როცა "კინგდაოს" რიგებში გამოდიოდა.

## ამარეს ისრაელის ნაკრები შესთავაზეს

სააგენტო AP იუწყება, რომ ისრაელის პრეზიდენტი **შიმონ პერესი** "ნიუ იორკ ნიქსის" ერთ-ერთ ლიდერს **ამარე სტაუდმაიერს** შეხვდა ამ უკანასკნელის საქველმოქმედო მოღვაწეობის განსახილველად. საუბრის დროს წამოიჭრა საკითხი ამარეს ისრაელის ნაკრებში სავარაუდო გამოსვლის შესახებ.

უცნობია რა უპასუხა "ნიქსის" ვარსკვლავმა პრეზიდენტს, მაგრამ იურიდიულად ამის განხორციელება რთული იქნება, რადგან სტაუდმაიერს აშშ-ის ნაკრებში ნათამაშები აქვს - ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ბოლოს მან "დრიმ თიმის" რიგებში 2007 წელს ითამაშა.

აღვნიშნავთ, რომ სტაუდმაიერი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ კალათბურთთან. ამასწინ, ფორვარდი შეუერთდა ინვესტორთა ჯგუფს, რომელიც გეგმავს იერუსალიმის "ჰაპოელის" შეძენას და ახლა ისრაელში იმყოფება, სადაც უახლოეს კვირას გაწვრთნის კანადის გუნდს მაკაბაიადაზე.

## დევისს დაბრუნება მოუნდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა გამთამაშებელმა **ბაირონ დევისმა** NBA-ში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. კალათბურთელმა დაასრულა მუხლის ტრავმის მკურნალობა.

დევისი ბოლოს მოედანზე 2011-12 წლების სეზონში "ნიუ იორკ ნიქსის" მაისურით გავიდა. ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მცველი აღდგენით კურსს გადიოდა მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ.

*"მინდა სექტემბრისთვის აღვიდგინო ოპტიმალური ფორმა. დიახ, ვგეგმავ NBA-ში დაბრუნებას. შემოდგომაზე ასოციაციის რამდენიმე კლუბთან ჩავატარებ ვარჯიშებს და იმედია, რომელიმესთან კონტრაქტს გავაფორმებ"*, - განაცხადა დევისმა თავის ბოლო ინტერვიუში.

2011-12 წლების სეზონში გამთამაშებელმა 29 მატჩი ჩაატარა "ნიუ იორკის" რიგებში და საშუალოდ 6.1 ქულა და 4.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

## შარლოტი ისტორიას იბრუნებს

2013-14 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, "შარლოტ ბობკეტსი" თავის ისტორიულ სახელწოდებას დაიბრუნებს.

1988-2002 წლებში "ჰორნეტსი" შარლოტში თამაშობდა, მაგრამ შემდეგ, კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა **ჯორჯ შინმა** გუნდი ნიუ ორლეანში გადაიყვანა. 2004 წელს, შარლოტში გაჩნდა ახალი გუნდი, რომელსაც "ბობკეტსი" ეწოდა, მაგრამ მან ვერ მოიპოვა ადგილობრივი პუბლიკის სიმპათია და ვერც იმ მიზერულ შედეგს მიაღწია, რომელიც **ალონზო მოურნინგისა** და **ლარი ჯონსონის** დროს ჰქონდა - "ჰორნეტსი" თავისი არსებობის ისტორიის პირველი ათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გავიდა პლეი ოფში.

მას შემდეგ, რაც "ნიუ ორლეანმა" გადაწყვიტა "ჰორნეტსის" "პელიკანსით" შეცვლა, "შარლოტის" ხელმძღვანელობამ გამოთქვა ქალაქში ისტორიული სახელწოდების დაბრუნების სურვილი. გუშინ, კლუბის თხოვნა ერთხმად დააკმაყოფილა NBA-ის მმართველმა საბჭომ. კლუბისთვის სახელის შეცვლა ოფიციალურად 2013-14 წლების სეზონის შემდეგ მოხდება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრე "შარლოტ ჰორნეტსი" ერთ-ერთი ყველაზე დასწრებადი გუნდი იყო ასოციაციის კლუბებს შორის - რვა სეზონი ლიდერობდა NBA-ს მაყურებლის საშუალო რაოდენობით და გააფორმა ზედიზედ 364 ანშლაგი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# როგე ბუბკას აქებს



სერგეი ბუბკა და ჟაკ როგე

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** აზრი გამოთქვა თავის პოსტზე მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

„როგორც ხვდებით, მე არ გავამხელ პირად აზრს ექვსივე კანდიდატის შესახებ. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს საინტერესო იყო. ყურადღებით მოვისმინე ექვსივე პრეზენტაცია. ყველას ერთი იდეა გააჩნია - ხარისხიანი ოლიმპიური თამაშების აუცილებლობა, ოლიმპიური ღირსებების დაცვა, უკანონო ფსონებისა და დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა, სტაბილური ფინანსირება... რა თქმა უნდა, კანდიდატთა პროგრამებს შორის განსხვავებაც არსებობდა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ამ პრეზენტაციებმა გვიჩვენეს - კანდიდატებს სურთ ევოლუცია და არა რევოლუცია.

სერგეი ბუბკას განაცხადში იგრძნობა არა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის, არამედ მოგების ამბიცია. მას ძლიერი განაცხადი აქვს, ის მუშაობს, როგორც სერიოზული კანდიდატი. არ მგონია, რომ სერგეი ამზადებს მეორე განაცხადს მომავლისთვის, ეს კი უბრალოდ პლაცდარმია ამისთვის. მეეჭვება ასე იყოს. მართალია, ის მხოლოდ 49 წლისაა, მაგრამ ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ პიერ დე კუბერტენი მხოლოდ 30 წლის იყო, როცა 1894 წელს, პარიზში ოლიმპიური თამაშების აღორძინებას მიაღწია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი კარგი მენეჯერი უნდა იყოს. ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია - მხარი დავუჭიროთ სპორტს, განვავითაროთ ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამა, დავეხმაროთ საერთაშორისო ფედერაციებს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს. ლაპარაკია დაახლოებით 5-მილიარდიან ბიუჯეტზე ოთხი წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საჭიროა გამოცდილება ფინანსურ საკითხებში", - განაცხადა როგემ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტის არჩევნები 2013 წლის სექტემბერში გაიმართება.

■ ■ ■

გარდა ამისა, ჟაკ როგემ თავისი აზრი გამოთქვა ოლიმპიური თამაშების ოპტიმალურ ღირებულებაზე.

*„პირველ რიგში, თამაშები არ შეიძლება ძალიან ძვირფასი იყოს, რათა კანდიდატი ქალაქების მაქსიმალურმა რაოდენობამ განაცხადოს პრეტენზია ოლიმპიადის ორგანიზებაზე"*, - განაცხადა როგემ.

მისი სიტყვებით, მონაწილე სპორტსმენთა რიცხვი 10 500 ადამიანს არ უნდა აღემატებოდეს.

*„სპორტსმენებს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეთ ცხოვრება, ტრანსპორტი, კვება, უსაფრთხოება... ეს ყველაფერი ემატება სხვა ხარჯებს და ამიტომაც, საჭიროა ვიცოდეთ საზღვრები"*, - მოჰყავს პრეზიდენტის სიტყვები სააგენტო AP-ს.

მძლეოსნობა

# მოულოდნელი სიკვდილი

ეთიოპიელი მორბენალი, 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **მესკერემ ლეგესე** 26 წლის ასაკში გარდაიცვალა. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, სპორტსმენი მეცხრე თვეში იყო ფეხმძიმედ. ის კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰემდენში რესტორანში სადილობდა, როცა მოულოდნელად გონება დაკარგა. ლეგესე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მძლეოსანი გარდაიცვალა. ექიმებმა ბავშვის გადარჩენა მოახერხეს.

სპორტსმენის სიკვდილის მიზეზი უცნობია. ლეგესეს მეგობრის თქმით, ადრე მორბენალი გულის ავადმყოფობას უჩიოდა.

ლეგესე ათენის ოლიმპიადაზე 1500 მეტრზე სირბილში გამოდიოდა და იქ ფინალში გასვლა ვერ შეძლო. მოგვიანებით, სპორტსმენი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა, სადაც სხვადასხვა ტურნირში იღებდა მონაწილეობას.

ეთიოპიელს ახალდაბადებული ბავშვის გარდა, ორი წლის ვაჟი დარჩა.




მესკერემ ლეგესე

ბეისბოლი



მასიელ სივერიო

# გაქცევა კუნძულიდან

ბეისბოლში კუბის ნაკრების მოთამაშემ, 24 წლის პიტჩერმა **მისაელ სივერიომ**, რომელიც აიოვას შტატში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ჩავიდა, აშშ-ში დარჩენა გადაწყვიტა.

ამერიკულ გამოცემა Nuevo Herald-თვის მიცემულ ინტერვიუში სივერიომ განაცხადა, რომ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება რთული იყო, მაგრამ ეს შეგნებულად გააკეთა. მისი სიტყვებით, ის ოცნებობს ბეისბოლის მთავარ ლიგაში (MLB) თამაშზე.

კუბელი სპორტსმენები აშშ-ში სამშაბათს ჩავიდნენ ხუთი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. იმავე დღეს სივერიომ დატოვა სასტუმრო, სადაც მისი გუნდი გაჩერდა. კუბელთა დელეგაციამ ბეისბოლისტის საქციელზე კომენტარისგან თავი შეიკავა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კუბელი ბეისბოლისტები ამერიკაში გარბიან. ბოლო ორი წლის განმავლობაში, საკუთარი ქვეყანა დატოვა ორმა კუბელმა, რომლებიც ახლა "ოკლენდსა" და "ლოს ანჯელესში" თამაშობენ.

ერთ-ერთი ადრეული მაგალითია ბეისბოლისტ **ორლანდო ერნანდესის** წარმატებული კარიერა კლუბ "ნიუ იორკ იანკიზში". მან 1997 წელს, კუბიდან აშშ-მდე ნავით მიაღწია.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013

# რუი კოშტას დუბლი

გუშინ ტურ დე ფრანსზე მე-19 ეტაპი გაიმართა. პორტუგალიელმა **რუი კოშტამ** წლევანდელ ტურზე მეორე ეტაპი მოიგო, გენერალურ კლასიფიკაციაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა.

**XIX ეტაპი**

**ბურ დ'უაზანი–ლე გრან-ბორნანი. 204.5 კმ**

1. **რუი კოშტა** (პორ, Movsitar) - 5:59.01; 2. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RadioShack-Leopard) - +0.48; 3. **იან ბაკელანტსი** (ბელ, RadioShack-Leopard) - +1.44; 4. **ალექსანდრ გენისი** (საფ, FDJ) - +1.52; 5. **დანიელ ნავარო** (ესპ, Cofidis) - +1.55; 6. **ბარტ დე კლერკი** (ბელ, Lotto-Belisol) - +1.58...

**საერთო ჩათვლა**

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტ, Sky) - 77:10.00; 2. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Saxo-Tinkoff) - +5.11; 3. **ნაირო კინტანა** (კოლ, Movistar) - +5.32; 4. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, Saxo-Tinkoff) - +5.44; 5. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპ, Team Katusha) - +5.58; 6. **ბაუკე მოლემა** (ჰოლ, Belkin) - +8.58...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




რუი კოშტა

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ინგოლშტადტი-აუე | 1:2 |
| ზანდჰაუზენი-აალენი | 0:0 |
| სტ. პაული-მიუნხენი | 1:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ჰალეშერი-ლაიპციგი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბაიერნ ჰოფი-ნიურნბერგი II | 2:1 |
| ზელიგენპორტენი-ჰაიმშტეტენი | 4:1 |
| აინტრახტი (ბ)-ფიურტი II | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბოლუ-ფენერბაჰჩე | 0:4 |
| ჰოფენჰაიმი-აპოელ | 3:0 |
| აინტრახტი-ბურსა | 5:1 |
| აჩილესი-მალიორკა | 1:3 |
| მარიტიმუ-მორეირენსე | 1:0 |
| ლიერსი-ვიტესი | 2:1 |
| კოლჩესტერი-ტოტენჰემი | 0:0 |
| ვერდერი-აიაქსი | 2:3 |
| ანენი-კარლაილი | 2:1 |
| ბრიუგე-ვოლფსბურგი | 2:1 |
| კიდერმინსტერი-პორტ ვეილი | 1:1 |
| იეოვილი-სუონსი | 0:5 |
| როვერსი-დერბი | 0:2 |
| ოლანენე-რედინგი | 1:5 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-მიდტიულანდი | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ვაასა-მიუპსა | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ჰორნი | 3:2 |
| ჰარტბერგი-ვენა | 4:1 |
| პარნდორფი-აუსტრია (ლ) | 0:0 |
| სტ. პოლტენი-კაპფენბერგი | 4:0 |
| ლიფერინგი-მატერსბურგი | 3:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| შემროკი-უნივერსიტი | 1:1 |
| შელბურნი-ლიმერიკი | 2:1 |
| კორკი-დანდალკი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-გალვეი | 1:0 |
| მერვუ-ფინ ჰარპსი | 4:0 |
| უექსფორდი-უოტერფორდი | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| დუკლა-ზნოიმო | 1:1 |
| პლზენი-ბოჰემიანსი | 5:0 |
| სლავია-ბანიკი | 1:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| მორავცე-რუჟომბეროკი | 1:3 |
| **რუსეთი** | |
| დინამო (მ)-ანჟი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| გაზოვიკი-როტორი | 0:0 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-დნიპრო | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-პოგონი | 0:2 |
| ვისლა-გურნიკი | 0:0 |
| **ხორვატია** | |
| დინამო (ზ)-ზადარი | 3:0 |
| **რუმინეთი** | |
| ტიმიშოარა-დინამო (ბ) | 2:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-ჩერნო მორე | 1:0 |
| **ბელარუსი** | |
| ბატე-დნეპრი | 3:1 |
| **ესტონეთი** | |
| ლევადია-კურესაარე | 2:1 |
| ტრანს ნარვა-ინფონეტი | 1:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ჰამბურგი** | |
| მონაკო-ალმაგრო | 6:4, 0:6, 3:6 |
| ვერდასკო-დელ ბონისი | 7:6, 6:7, 4:6 |
| ფონინი-ჰაასი | 6:2, 6:4 |
| ფედერერი-ფ. მაიერი | 7:6, 3:6, 7:5 |
| **ATP. ბოგოტა** | |
| კარლოვიჩი-მანარინო | 7:6, 7:6 |
| ანდერსონი-ხირალდო | 6:3, 6:3 |
| **WTA. ბად გაშტაინი** | |
| კნაპი-ბეკი | 6:0, 6:1 |
| რუსი-მოისბურგერი | 1:6, 6:7 |
| მეირ ახლაიტნერი-სვიტოლინა | 3:6, 0:6 |
| მოზერი-ჰლავაჩკოვა | 3:6, 6:7 |
| **WTA. ბაშტადი** | |
| ზაკოპალოვა-ჰოგენკამპი | 6:2, 6:3 |
| რაზანო-პენეტა | 1:6, 3:6 |
| ლარსონი-იოჰანსონი | 6:1, 6:2 |
| ს. უილიამსი-დომინგეს ლინო | 6:1, 6:1 |

TV პროგრამა

**20 ივლისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - მანჩესტერ სიტი.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
12:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
13:30 ამხანაგური მატჩი. ავსტრალიის ლიგის ნაკრები-მანჩესტერ იუნ (LIVE).
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
16:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - არსენალი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აუგსბურგი.
21:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - მანჩესტერ იუნაიტედი.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი.
01:00 ამხანაგური მატჩი. ავსტრალიის ლიგის ნაკრები-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი.
12:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
12:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლიპერსი.
15:00 რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-ს. აფრიკა.
17:00 ძიუდო. გრანპრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. რობერტა ვინჩი-სარა ერანი. პალერმო. იტალია.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ეფესი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰამბურგი. გერმანია.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.

**21 ივლისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ამხანაგური მატჩი. ავსტრალიის ლიგის ნაკრები-მანჩესტერ იუნ.
12:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი.
16:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი - ლივერპული.
17:45 ამხანაგური მატჩი. მალაიზიის ნაკრები-ჩელსი (LIVE).
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-შალკე.
22:00 სეზონის მიმოხილვა. ინგლისის ჩემპიონატი – ტოტენჰემი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
01:30 ამხანაგური მატჩი. მალაიზიის ნაკრები-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოკლაჰომა.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 NBA ACTION.
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
17:00 ძიუდო. გრანპრი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
19:30 რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა.
21:30 კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-პანათინაიკოსი.
23:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
01:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოკლაჰომა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 19 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 29 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 18 | 28 | (მზე) |
| გორი | 17 | 28 | (მზე) |
| თელავი | 19 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 15 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 11 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1700 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6557 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5208 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1102 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# რა ემუქრება ექლსტოუნს?

რომორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, გერმანულმა პროკურატურამ ოფიციალურად წაუყენა ბრალი **ბერნი ექლსტოუნს** თანამდებობის პირისთვის ქრთამის მიცემის გამო. არსებობს ალბათობა იმისა, რომ სასამართლო გარჩევა არ შედგება, მაგრამ ამის შანსი თითქმის არ დარჩა. The Telegraph-ის ჟურნალისტი **ტომ კერი** ცდილობს გაარკვიოს, რა ემუქრება ამ ისტორიით ფორმულა 1-ის ბოსს...

## რამდენად სერიოზულია ბრალდება ბერნი ექლსტოუნის წინააღმდეგ?

ძალიან სერიოზული. მთელი ეს ისტორია დაიწყო 2005-06 წლებში, როცა გერმანელი ბანკირი **გერჰარდ გრიბოვსკი**, იმ დროს სახელმწიფო ბანკის BayernLB-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კურირებდა ფორმულა 1-ზე უფლებების გაყიდვას კერძო საინვესტიციო კომპანია CVC Capital Partners-ისთვის. მოგვიანებით გაირკვა, რომ გრიბოვსკის მიერ შექმნილი ავსტრიული ფირმის ანგარიშზე, არსაიდან გაჩნდა 44 მილიონი დოლარი. 2011 წლის იანვარში ბანკირი დაიჭირეს. ექლსტოუნი, რომელმაც უფლებების გაყიდვიდან უდიდესი ბონუსი მიიღო, გამოძიების ფიგურანტი გახდა.

## რა დაემართა გერმანელ ბანკირს?

ციხეში გატარებული თითქმის ერთი წლის შემდეგ, გრიბოვსკი 2011 წლის შემოდგომაზე მიუნხენში სასამართლოს წინაშე წარსდგა და გასული წლის ზაფხულში რვაწლინახევრიანი პატიმრობა მიესაჯა. ის დაადანაშაულეს გადასახადებისთვის თავის არიდებაში და ექლსტოუნისგან ქრთამის მიღებაში.


ბერნი ექლსტოუნი

## რას ეფუძნება ექსლტოუნის დაცვა?

თავიდან ის უარყოფდა ქრთამის მიცემას, მაგრამ, მოგვიანებით, შეცვალა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ გრიბოვსკი მას აშანტაჟებდა – იმუქრებოდა, რომ ბრიტანეთის საგადასახადო სამსახურს ცრუ ჩვენებებს მიცემდა იმაზე, რომ ექლსტოუნი უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა საოჯახო ფონდების მართვაში (ლაპარაკია იმაზე, რომ ბერნი თითქოს საიდუმლოდ ხელმძღვანელობდა საოჯახო ოფშორულ კომპანია Bambino Holdings-ს, რომელსაც მისი ყოფილი მეუღლე **სლავიკა** ედგა სათავეში). ცხადია, რომ პროკურორმა მას არ დაუჯერა.

## შეინარჩუნებს თუ არა ექლსტოუნი პოსტს?

ეს სერიოზული საკითხია. სპორტის ბევრ სახეობაში რთული წარმოსადგენია, რომ ხელმძღვანელმა შეინარჩუნოს პოსტი მისთვის წაყენებული ასეთი სერიოზული ბრალდების შემდეგ. მაგრამ, ფორმულა 1 არ არის სპორტის ჩვეულებრივი სახეობა, და არც ექლსტოუნია - ჩვეულებრივი ადამიანი. თანხმობის ახალ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები ჯერ ისევ გრძელდება, რაც სიტუაციას კიდევ უფრო დელიკატურს ხდის. ამასთან, "ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** ადრე აცხადებდა, რომ ექსლტოუნისთვის ბრალის წაყენების შემთხვევაში, ბერნი უნდა წავიდეს – სპორტის ინტერსებიდან გამომდინარე.

## რა იქნება შემდეგ?

ექლსტოუნს აქვს დრო აგვისტოს შუა რიცხვებამდე, რათა უპასუხოს წაყენებულ ბრალდებებს, სასამართლო გარჩევა კი სექტემბრამდე არ დაიწყება. მაგრამ თავად წავა ბრიტანელი თუ გაუშვებენ – ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. გასულ წელს, ექლსტოუნმა აღიარა, რომ ეს ისტორია შეიძლება მისი კარიერის დასასრული გახდეს. *"თუ გერმანელები ჩემი საქმით დაკავდებიან, CVC, სავარაუდოდ, იძულებული იქნება მომიშოროს"*, - თქვა მან დეკემბერში.

ჩოგბურთი


ალისა კლეიბანოვა

# აშშ-ის ღიას კონტურები

რუსი ჩოგბურთელი **ალისა კლეიბანოვა** მონაწილეობას მიიღებს სეზონში „დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირში - US Open-ში.

ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი, როცა აშშ-ის ღია პირველობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ჩოგბურთელთა სია, რომლებიც ძირითად ბადეში მოხვდებიან. მათ შორის ვხედავთ რეიტინგის TOP100-ის 98 სპორტსმენს. ქალთა ტურნირში ტრავმის გამო მონაწილეობაზე უარი თქვეს **რომინა ოპრანდიმ** და **გარბინ მუგურუსამ**. მათ **ტიმეა ბაბოში** და **დინა პფიცენმაიერი** შეცვლიან.

ოთხი ჩოგბურთელი, მათ შორის, კლეიბანოვა, გამოიყენებს დაცული რეიტინგის პუნქტს, რომლითაც სამჯერ შეიძლება სეზონის განმავლობაში სარგებლობა. რუსი მოთამაშის გარდა, ასეთი უფლება მიიღეს **ალექსანდრა ვოზნიაკმა, პეტრა ჩეტკოვსკამ** და **ალექსანდრა დულგერუმ**.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს, რუს ჩოგბურთელს ონკოლოგიური დაავადების - ჰოჯკინის ლიმფონის დიაგნოზი დაუსვეს, რის გამოც, კლეიბანოვას საჩოგბურთო კარიერის შეწყვეტამ მოუწია. ჩოგბურთელს უიმბლდონზე გამოსვლა სურდა, მაგრამ უაილდ-ქარდზე მისი მოთხოვნა ორგანიზატორებმა არ დააკმაყოფილეს.

ამერიკის ღია პირველობაზე ქალთა ძირითადი ბადის კიდევ 16 მონაწილე საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ გახდება ცნობილი. რვა სპორტსმენს ორგანიზატორები უაილდ-ქარდს მიანიჭებენ.

მოტოსპორტი

# რა მოხდება ამერიკაში?

მომავალ უქმეებზე ავტომოტოსპორტში მთავარი მოვლენა აშშ-ის ეტაპი იქნება მოტოგრანპრიში. რა თქმა უნდა, მთავარი ფავორიტი "ჰონდას" პილოტი **მარკ მარკესი** იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ლაგუნა-სეკას ტრასაზე ის არასოდეს გამოსულა. მარკესის კონკურენტებმა - **ხორხე ლორენსომ** და **დანი პედროსამ** გერმანიაში ტრავმები მიიღეს და მართალია, მაინც მოახერხეს აშშ-ში ჩასვლა, მაგრამ ეტაპისთვის ასპროცენტიან მზადყოფნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, გამოცდილმა ესპანელებმა მაქსიმალურად უნდა მოინდომონ, რათა შორს არ გაექცეთ გენერალურ კლასიფიკაციაში მარკესი.

**აშშ-ის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი:** ლაგუნა-სეკა (აშშ

**წრის სიგრძე:** 3.610 კმ

**წრის რეკორდი:** 1:21,229 (დანი პედროსა, 2012)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკესი (Honda) - 138 ქულა
2. პედროსა (Honda) - 136
3. ლორენსო (Yamaha) - 127
4. კრატჩლოუ (Yamaha) - 107
5. როსი (Yamaha) - 101
6. დოვიციოზო (Ducati) - 74

**უქმეების განრიგი**

19 ივლისი, 21:25 - I პრაქტიკა

20 ივლისი, 01:05 - II პრაქტიკა

20 ივლისი, 21:25 - III პრაქტიკა

21 ივლისი, 01:10 - კვალიფიკაცია

22 ივლისი, 01:00 - რბოლა

* * *

ამასობაში, ამერიკელმა **ნიკი ჰეიდენმა** გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში აღარ დაიცავს "დუკატის" საქარხნო გუნდის ღირსებას.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი, რომელმაც ეს ტიტული "ჰონდას" რიგებში მოიპოვა, "დუკატიში" 2009 წელს ჩაირიცხა. ამერიკელის საუკეთესო შედეგი ამ პერიოდში მეშვიდე ადგილი იყო 2010 წელს. ამასთან, ის არც ერთ რბოლაში არ ასულა მესამე პოზიციაზე ზემოთ.

ჰეიდენის მომავალი სამუშაო ადგილი არ არის ცნობილი. გამორიცხული არ არის ის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ამერიკელი დატოვებს მოტოგრანპრის.

კრივი

# რეკორდი და განაწყენებული პაკიაო

ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერსა** და მექსიკელ **საულ ალვარესს** შორის ბრძოლის ორგანიზატორმა **რიჩარდ შეფერმა** დაასახელა ამ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ზუსტი თანხა.

ადრე შეფერი ამბობდა, რომ 14 სექტემბერს დანიშნული ბრძოლის ბილეთების რეალიზაცია გადააჭარბებდა 18.4 მილიონ დოლარს. ეს არის რეკორდი, რომელიც 2007 წელს მეივეზერსა და **ოსკარ დე ლა ჰოიას** შორის ბრძოლისას დამყარდა.

შეფერი თავის პროგნოზში ზუსტი აღმოჩნდა - მეივეზერ-ალვარესზე ბილეთების გაყიდვიდან მიღებულმა თანხამ 19.5 მილიონს გადააჭარბა. შეგახსენებთ, ამ ბრძოლაზე ყველა ბილეთი ერთ დღე-ღამეში გაიყიდა.

* * *

ამასობაში, ფილიპინელი **მენი პაკიაო** განაწყენებულია ფლოიდ მეივეზერზე და შესაძლოა, საკრივო სამყარომ ბოლოს და ბოლოს იხილოს ასე ნანატრი ბრძოლა თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივეებს შორის.

საულ ალვარესთან ბრძოლის სარეკლამო ტურის დროს, მეივეზერმა რამდენჯერმე აუგად მოიხსენია მენი პაკიაო და ისიც დაამატა, რომ ფილიპინელის კარიერა, ფაქტობრივად დასრულებულია.

პაკიაო, რომელიც ნოემბერში პირველად გავა რინგზე 2012 წლის დეკემბერში **ხუან მანუელ მარკესისგან** მიღებული მძიმე ნოკაუტის შემდეგ, ამერიკელზე გაბრაზდა და მას რინგზე ურთიერთობის გარკვევა შესთავაზა.

*„ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის მეივეზერის განცხადება უბრალო ლაყბობაა. რატომ არ შეწყვეტს ყველას ტალახში გასვრას და არ დათანხმდება ჩემთან ბრძოლაზე? არ ღირს ჩემზე წარსულ დროში ლაპარაკი - მე ჯერ ისევ შემიძლია ბრძოლების მოგება. მარკესთან იმის გამო არ წავაგე, რომ კლასში ჩამოვრჩებოდი მას. მარკესს გაუმართლა, როცა ძლიერი დარტყმა გამოუვიდა"*, - განაცხადა პაკიაომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


მენი პაკიაო

ამბები

## შარაპოვა კონორსზე დაიბოლმა

ქალთა რეიტინგის მეორე ნომერმა, რუსმა **მარია შარაპოვამ** თავის გულშემატკივრებს შთაბეჭდილებები გაუზიარა ლეგენდარულ ამერიკელთან **ჯიმი კონორსთან** პირველი ვარჯიშების შემდეგ.

*„ცოტათი მაღიზიანებს ის, რომ მას ჩემზე ოთხით მეტი „დიდი სლემი" აქვს მოგებული"*, - იხუმრა თავის „ტვიტერზე" შარაპოვამ.

შეგახსენებთ, რომ მარიამ ჯიმი კონორსის ხელმძღვანელობით მუშაობა უიმბლდონის შემდეგ დაიწყო.

## მარეის სახელობის მარკა

ბრიტანეთის საფოსტო სამსახურის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ სპეციალური საფოსტო მარკის გამოშვებას აპირებს, რომელიც უიმბლდონზე ენდი მარეის გამარჯვებას მიეძღვნება.

როგორც ბრიტანული პრესა იტყობინება, მარკები გაყიდვაში აგვისტოში გამოვა და ერთი ცალის ფასი 3.76 ფუნტი სტერლინგი იქნება.

## მარტინამ მეორე დაგეგმა

მსოფლიოს ყოფილმა პირველ ჩოგანმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** WTA-ის მეორე ტურნირში გამოსვლა დაგეგმა. ის 16-24 აგვისტოს მონაწილეობას მიიღებს ნიუ ჰევენის შეჯიბრებაში. შვეიცარიელი წყვილთა თანრიგში აპირებს თამაშს.

*„მოუთმენლად ველი ნიუ ჰევენში დაბრუნებას, სადაც დუეტებში გამოვალ. ამერიკის ლიგაში - World Team Tennis-ში გამოსვლის შემდეგ, კარგ ფორმაში ვიმყოფები"*, - ამბობს ჩოგბურთელი ნიუ ჰევენის ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, ადრე ჰინგისმა განაცხადა, რომ ამერიკის ქალაქ კარლსბადის ტურნირზე აპირებს წყვილებში თამაშს, რომელიც ივლისის ბოლოს დაიწყება. ეს იქნება მარტინას დიდ ჩოგბურთში დაბრუნება ექვსწლიანი შესვენების შემდეგ.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

9772233382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**